“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№7 (271)
ივლისი
2021 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამესამე წელი "LITERATURULI MESKHETI"

## ვაჟა-ფშაველა – 160



# ფიქრები

## ვაჟა-ფშაველა

უნდა ვიფიქრო, ვინაიდგან ფიქრი აღკრძალული არ არის. ფიქრი სხვაა, საქმე სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი. ღმერთმა დაიფაროს, ფიქრისთვისაც რომ სასჯელი იყოს დაწესებული, ათასში ერთი თუ გაჰბედავდა ფიქრს, თორემ ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი დაემსგავსებოდა იმ ლოდებს, ჩემ პირდაპირ ბექიდან რომ გამოიყურებიან გამტკნარებულნი, გალეულუჩებულნი, საწყლად, ბეჩავად. შესრულდა ორმოცი წელი, რაც მე იმათ შევჩერებივარ, ან კი საით ავცდები? რა წამსაც სახლის კარებში თავს გამოვყოფ, თვალებში ისინი მეცემიან. დიაღ, შევჩერებივარ მე იმათ, – ისინი – მე და აბა, არ იქნა, ერთხელ ხმაკრინტი არ დაუძრავთ... საშინელებაა! მაგრამ ვითმენ იმიტომ, რომ რაც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვაღებინებ. ენას ვერ ჩავუდგამ. ბრაზი კი მომდის, ღვთის წინაშე, და ამიტომ იმათ მაგივრად მე მოვყვები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ, რა არის, მინდა რომ იუბნონ და ამითი ჩემს თავს მევე ვატყუებ. მეც სწორედ ისე მემართება, როგორც ოდესმე ერთს ხევსურს დაჰმართნია. ძმობილმა სიზმარში ფრანგული (ხმალი) აჩუქა და ეს უარზედ დადგა: „არ მი ეგ, რად მი (მინდა)?! მაგას დავითფერულ (ხმალია) მირჩევ მე!“ ისე ხმამაღლა განაცხადა უარი, რომ თავის ყვირილზე გამოეღვიძა და, რა ნახა თავისი თავი უნუგეშოდ დარჩენილი, შემოიკრა თავში და პირში, რა მინდოდა, ხმალი ჩამომერთვაო. ადგა და ხელმეორედ დაიძინა, იმედი ჰქონდა, იმავე სიზმარსა ვნახავ და ხმალსაც ვიშოვიო. მაგრამ ამაოდ, სიზმარი აღარ განმეორდა. რატომ, თავის მოტყუებაც კარგია, როცა იგი სიამოვნებასა ჰგვრის ადამიანს, მაგრამ საკეთილდღეოდ თუ სავალალოდ, ეს თქვენ თითონ განსაჯეთ, ჭკვათამყოფელი ადამიანი თავს ტყუილით არ დაუწყებს კვებას, სინამდვილეს პასუხს მისცემს.

სინამდვილე რაღა ხილია?

– სხვა რა უნდა იყოს, თუ არ ის, რასაც თვალით ნამდვილად ყველა ვხედავთ და რაც ყურით გვესმის; ისიც კი უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ, რასაც ნახულისა და გაგონილის გამო ვგრძნობთ. მაშასადამე, სინამდვილეა – ცხოვრება ჩვენი და მისნი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება გვაქვს, და თვით ბუნება გარემო ჩვენსა. რა თქმა უნდა, ნამდვილია, რომ ჩვენ, ქართველები, ერი ვართ და როგორი მერე? ამის პასუხად ისეთს ვერას ვიტყვით, რომ ან ჩვენ თითონ არ გვეთქვას და არ ვამბობდეთ თავის თავზედ, ან სხვას, უცხოელს, გარეშე ადამიანს არ ეთქვას ჩვენზედ. სიმართლე და სინამდვილე კი ის იქნება, ვთქვათ, – ქართველებს ისეთი ავი ზნე არაფერი გვჭირს, სხვა ერსაც არა სჭირებოდეს, ან არა სჭირდეს, მაგრამ იმათ არსებობას, სიცოცხლეს და ბედნიერს მომავალს არც ერთი ჭკვიანი ადამიანი არ უარჰყოფს. ჩვენ კი, აწმყოსაგან გამწარებულნი, ეჭვისთვალით, უსასოოდ შევყურებთ მომავალს, ქართველი ერი დაბერდაო. ამისთანა აზრი განა ჭკუისა და ცოდნის ნაყოფია?

– სრულიადაც არა. მაშ რისა, ან ვისი ბრალია? ჯერ ერთი, იმისა, რომ ყველაფერს, რასაც წიგნიდგან ამოიკითხავს კაცი, დაიჯერებს აუწონ-დაუწონავად და, მეორეც იმასა, წაკითხულს სწორედ ვერ გაიგებს. მოგეხსენებათ, მეცნიერმა ოგიუსტ კონტმა, ერის სიცოცხლე შეუდარა ადამიანის სიცოცხლეს და სთქვა – ერი იმავე ხანებს გამოივლის სიცოცხლისას, რასაც ადამიანი თავის განაჩენის დღიდგანაო, ე.ი. სიყმაწვილეს, სიჭაბუკეს, დავაჟკაცებას და სხვადასხვ. ხოლო კონტს არსად არ უთქვამს, რომ აუცილებლად, უსათუოდ ყველა ერს სიბერე და სიკვდილი მოელისო. კიდეც რომ ეთქვა, განა უნდა დავიჯეროთ? განა კონტებმა, კანტებმა და სპენსერებმა რომ სისულელე წამოროშონ, ვინაიდგან კაცნი ვართ, რის გამოც ბევრჯელ შევცდებით და მოვტყუვდებით, ჩვენ იმათ პირიდგან ამოსული ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ?! განა სპენსერი არ მოტყუვდა ადამიანის სხეული საზოგადოებრივს სხეულს რომ შეუდარა და შეუბადლა, რათა გაემართლებინა, პირნათლად გამოეყვანა ქვეყნის თვალში მონარქიული ბურჟუაზიული წესწყობილება? („საფუძვლიანი სოციოლოგიისა“), მაგრამ არც ერთმა ჭკუა-გონების პატრონმა ნასწავლმა არ მიიღო ეს შებადლება ბაჯაღლო ოქროდ. ბოლოს იპრიანა ღმერთმა და თითონ სპენსერმავე სხვა თავის თხზულებაში („განვითარება პოლიტიკური დაწესებულებათა“) უარჰყო ეს აზრი.

ერის სიბერეს და სიკვდილს ისინი დაიჯერებენ მარტო, ვინც ცხოვრების პირობების გარეშე სხვა რაღაც უხილავს ძალას ჰხედავენ, რომელიც არც ცაში და არც დედამიწაზედ არ არსებობს და ჟამთა ბრუნვის სივრცეშია ვითომ გაბნეული ან კიდევ სადმე წიგნში სწერია. რატომ ღრმად არ უნდა ვიყვნეთ დარწმუნებულნი, რომ ერი მუდამ ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე მისი ყოფა-ცხოვრების პირობები მაცხოვრებლის თვისებანი არიან? რომელ ერსაც ეს კარგად ესმის და სასიცოცხლო პირობებს იცავს, ინახავს, იგი მუდამ ცოცხალი, ბედნიერი, ჯან-ღონით სავსეა, იმას არც სიბერე მოეკიდება, არც სიკვდილი. რომის იმპერიაო, გაიძახიან, დაბერდა და დაეცაო. დაბერდა ოღონდაც, მაგრამ სხვამ ხომ არ დააბერა იგი, არამედ თავი თვისი თვითონ დააბერა და დააუძლურა. ყველა ერსაც ესევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრებისთვის გამოსადეგს ვითარებას არ ჰქმნის და, თუ აქვს, არ ინახავს, მაგრად არ უჭიდია ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია, აშკარაა.

ინტელიგენციას ან კი რა უფლება გვაქვს – ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?! ვისი დახასიათებაც გინდა, ჯერ უნდა იმას კარგად იცნობდე, მისი გარემოება, ავი და კარგი შეგნებული გქონდეს, რომ განაჩენიც სამართლიანი გამოდგეს. ჩვენთვის კი ეს ჭეშმარიტება საჭირო არა ყოფილა. ამ ლაყე, შხამიანს აზრს კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ღრმად მოვთხაროთ და ფესვები ამოვუჩინოთ, მხოლოდ იქ ვიპოვნით მიზეზს ამ უკეთურის განაჩენისას... მოვთხარეთ კიდეც და ვიცით, იქიდგან რა ხმა და სამდურავი მოისმის: ამოდენა ვიშრომეთ, ვილვაწეთ და არ იქნა ქართველ ერს თვალები ვერ ავახილებინეთო. ყველა ჩვენგანსა ჰგონია, დიდი და ბევრი რამ გავაკეთე საქვეყნოდ და არსად მოიტანა ნაყოფი, – ღვაწლი და შრომა ჩემი დაიკარგა უქმადაო, თორემ ამდენი სხვა ქვეყანაში რომ მეშრომა, იმასაც გავაბედნიერებდი და ჩემს თავსაცაო. ამ უხამსის განაჩენის მიზეზი და სათავე, თუ გნებავთ, აქედან იწყობა. ცოტა შევჩერდეთ და ჩვენსავ თავს დავეკითხოთ: მართლაც რა გავარიგეთ, რა გავაკეთეთ ქართველმა ინტელიგენციამ საქვეყნოდ, საერთოდ? თუ მე მკითხავთ, გულახდილად გეტყვით – არაფერი. ინტელიგენციამ ჯერ ის ვერ შევიძელით გვესწავლებინა ერისათვის (ხალხისათვის), რომ მთელი „რჯულ-საქრისტიანო“ არაა საქართველო, – ვერ ვასწავლეთ, რა არის, რასა ჰქვიან მამული, სამშობლო... დეპოები სადმე დაარსდა, თავის „რეჩებით“ ისინიც ინტელიგენციამდე დაღუპა. კეთილ ნიადაგზედ სადმე არსდება საზოგადოება და თუ ლვარძლი გამოერია იქ, იცოდეთ, რომ ეს ინტელიგენციისავე უნარი უნდა იყოს. ნამდვილ სახელად ინტელიგენციად ის ჩაეთვლება, რომ გაზეთები და წიგნები მის მეოხებით საკმაოდ იბეჭდება და არავინ კი არ კითხულობს, ან საიდგან და როგორ უნდა წაიკითხოს კაცმა წიგნი, თუ კითხვა არ ეცოდინება?! აი, როგორი ამშენებლები ვყევართ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი დიდი ღვაწლი განიზომება იმ გარემოებით, რომ ამდენი ლიტერატურული ჰაი-ჰუით, ბევრი-ბევრი რომ ვთქვათ, 1500 მკითხველი შევიძინეთ სამ მილიონ ქართველთაგან და ისიც უეჭველად, ცოტად თუ ბევრად, ინტელიგენტები... დანარჩენი ქართველობა, ერი, მდაბიო ხალხი, რომელიც არის ჭეშმარიტი ძალა ჩვენის ქვეყნისა, დაგვრჩა ღობეს გარეთ, არც ჩვენ გავეცანით, არც ისინი გავიცანით და ვერც ჩვენი ხმა მივაწვდინეთ იმათ. ეხლა კაბინეტში ვსხედვართ და გულ-მკერდს ვიმჯიღავთ: აფსუს, ჩვენო ამაგო!.. მახლას, მახლას! ჩვენ ინტელიგენციასაც სწორედ ის ემართება ამ შემთხვევაში, რაც მე დამემართებოდა, ამ თხოვნით რომ მომემართა: თქვენი ჭირიმე, ძმებო, რაც შეიძლება მალე, დაწვრილებით, მარეხის ამბები მაცნობეთო!

რა გგონიათ, ჩვენმა ინტელიგენციამ მარეხისა მეტი იცის, ვიდრე თავისის ქვეყნისა ხალხისა? განა ეს ღვაწლი კმარა ინტელიგენციისათვის? განა ამიტომ მეტი არ მოეთხოვება ინტელიგენციას? ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება, იგი ბელადია, სარდალი და, ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება. არა აქვს ჩვენს ინტელიგენციას გარკვეული საერთო პროგრამა და გეგმა მოქმედებისა, უამისოდ კი ყოვლად შეუძლებელია გაკეთდეს რამ თვალსაჩინო. ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც სწორედ ერთს პროგრამას და ერთს გეგმას მოქმედებისას ჰსაჭიროებს. ეს ვერ შევიგენით, ვერ გავიგეთ დღესაქამომდე. ასევე იქნება მომავალშიც, თუ ჩვენს ხალხს, მის ცხოვრებას არ შევიგნებთ, არ გავიცნობთ კარგად, – მანამდე ვერც საერთო მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს ინტელიგენცია, არც ჩვენის ერის სიბერისა და სასიკვდილოდ განმზადების ეჭვები გამოუვა თავიდან, – მანამდე არც მდურვას ქართველის ერის გულგრილობა-დაუდევრობის გამო ექნება დასასრული. მე რომ მკითხოთ, როგორც ბევრად თუ ცოტად მცოდნეს ჩვენის მდაბიო ხალხის და ჩვენის ცხოვრებისა, – რომელი უფრო სინდისიერად ასრულებს თავის მოწოდებას, თუ მოვალეობას, უკანასკნელი გლეხი, თუ თავმომწონე რომელიმე ინტელიგენტიო? გლეხი-მეთქი, გიპასუხებთ. ამითი ღმერთმა დამიფაროს სწავლა-განათლების მგმობელი ვიყო, არა, მაგრამ ასეა დღეს და მოდი რას იზამ.

რადაო? იკითხავთ. იმიტომ, მოგახსენებთ, რომ უბირი გლეხი თავის ცოდნას, თავის გამოცდილებას, თავის ძალ-ღონეს არა ჰზოგავს, დილიდგან მოყოლებული საღამომდე წელებზე ფეხს იდგამს, რომ აცხოვროს თავი და ცოლ-შვილი, გაუძღვეს ამასთანავე ათასნაირ ხარჯს და სხვ. ეტყვის მკითხავი, სადმე ხატისას – კურატით უნდა მიხვიდე და ილოცოო, იმდენს იწოწიალებს, იმდენს თავში ქვას იხლის, ტანზე პერანგს აღარ შეირჩენს, საითაც იქნება, თუ თითონ არა ჰყავ, იყიდის, და ხატ-ღმერთთან კი პირშავად არ გამოვა, და არც თავის სინდისთან არის პირშავი, რის გაკეთებაც შეუძლიან, აკეთებს; როგორც ეხერხება თავის ხშირად ყალბი გრძნობის დაკმაყოფილება, ისე აკმაყოფილებს; რაც აზრი და რწმენა აქვს, იმისდაგვარად შესაფერად იქცევა, და ეს მას სრულ ადამიანად ჰქმნის. რა ვუყოთ, მართალია, მისსავე სუფრაზე რომ ჩვენის ქვეყნის – საქართველოს სადღეგრძელო დაჰლიო, ვითარცა ინტელიგენტმა და თამადამ, იგი ასე განიმეორებს „გაუმარჯოს რჯულ-საქრისტიანოსაო!“ ჩვენებური ტვინფრატუნა კოსმოპოლიტებს (ნუ გიკვირთ) არ გეგონოთ კი, რომ ეს კოსმოპოლიტობით მოსდიოდეთ, ვინაიდგან რჯულ-საქრისტიანო ქვეყნის ერობაზედ დიდი და თითქმის მთელ განათლებულ ქვეყნებს შეიცავს, არამედ იმის გამო ემართება, რომ არა აქვს არავითარი ცოდნა თავის ქვეყნისა და საქართველოს გარეშე ვერ წარმოუდგენია „რჯულ-საქრისტიანო“, სულ სათათრეთი ჰგონია...

ჩვენი ინტელიგენტილა? ჰმ! რა ვქნა და რა ვთქვათ?! რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისის აზრისა და გრძნობის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზისა გამო, ჩემთვის სულ ერთია, და რომ სტყუის, ეს უეჭველად ასეა, თითონაც კარგად უწყის და არც იუარებს, ხშირად თავსაც დროსა და გარემოების მიზეზით ჰმართლულობს... ამას აზრი და გრძნობაც ვრცელი აქვს, იდეალებიც დიდი, მაგრამ იმის მეათასედსაც ვერ აკეთებს, რასაც ჰგრძნობს და ჰსაზრობს. ეს მოვლენა შეგნებულ ადამიანისათვის ყოვლად აუტანელია, მტანჯველი და იგი ჰქმნის ჩვენებურს ინტელიგენტს ნახევარ ადამიანად, უბედურს, ცხოვრებისაგან უკმაყოფილოს, პესიმისტს. მე ამას ვიკმარებ და დანარჩენის განსხვავების აღმოჩენა ინტელიგენტს და მდაბიო კაცის შესახებ, მკითხველო, თქვენთვის მომინდვია. იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ ეს უკანასკნელი ერის ნივთიერ სიმდიდრის შემოქმედია და ფეხიც არ მოუსხლეტია, მაგრად უდგა სამშობლო მიწა-წყალსა და მამა-პაპის კერაზედ. იმას თუ ჩირაღდანი კარებზედ არ მიუტანე, იმისთვის სოფლიდგან ქალაქში არ გამოიქცევა, იმდენად თავს არ შეიწუხებს და მამა-პაპური სანთლით, კერაზე დანთებულის ცეცხლით იოლად გამოვა. სკოლაში რომ შვილი მიაბაროს, სრულიადაც არა ჰფიქრობს იმას, რა მეთოდით, წესით ასწავლიან იმის შვილს და რამდენის თვის უკან დააწყებინებენ უცხო ენაზე სწავლას... ენა, სამშობლო, მან ანდით იცის და არა გონებით, ამიტომ მას არ ძალუძს რიგიანად ან ერთს გაუწიოს პატრონობა, ან მეორეს... როგორმე რომ მოხდეს და ერთს პატიოსან დღეს მისი შვილი სკოლიდგან ისეთი განსწავლული დაბრუნდეს, ინჩიც აღარ ესმოდეს ქართულისა და უცხო ენაზედ კი გამაშირებით საუბრობდეს, შვილის ასეთი გარდაქმნა იმითი თუ დაალონებს, რომ ველარაფერს გააგონებს და ველარც რას შვილის ნათქვამიდგან გაიგებს, სხვაფრივ კიდეც გაუხარდება, დიაღ, გაუხარდება, რადგან არ იცის, რა შედეგი მოსდევს ამისთანა შვილის ყოლას, იგი ძალიანაც კმაყოფილი დარჩება, რადგან მეზობლები იტყვიან: „ეჰე, ჩვენ დემეტრეს როგორი ნაჰწავლი შვილი გამოსვლია, ქართულ სულ ველარ ლაპარაკობსო!“ ასე გახლავთ, თუმც შეიძლება ზოგიერთმა არც კი დაიჯეროს, ნება აქვს, მე კი მაინც იმას ვიტყვი, რაც ვიცი და რაც ჩემის ყურით გამიგონია. დიაღ, დემეტრე ისე ჰფიქრობს, რომ ქართულის სწავლება ქართველი ბავშვისთვის სრულადაც საჭირო არ არისო, რადგანაც იცის, ვითომ და ნაცოდნზე დროის დაკარგვა მეტ, უქმ შრომად მიაჩნია, თორემ განა სძულს, ან ეჯავრება თავისი ღვიძლი ენა.

ყველა ეს უვიცობის, უმეცრების ბრალია, რაშიაც თვით ინტელიგენციასაც წილი უძევს. რა მიგიციათ, რასა სთხოვთ, ამაზე მეტი ხათაბალა იქნება?! რაც ცოდნა და გამოცდილება მამა-პაპამ უანდერძა გლეხკაცობას, ამან კარგად შეინახა: საცა ვენახი ხარობს, მშვენივრად შემუშავებული ვენახი აქვს; საცა საქონლის მოშენებას უწყობს ადგილი ხელს – საქონელი ჰყავს მოშენებულიო და, ხვნა-თესვას თუ ვიტყვით, რიყესა და კლდეზედაც სულადი, პური მოჰყავს. არც ერთს ახალს საშუალებას, თუ მანქანას არ უფრთხის იგი. როცა დაინახავს მის სარგებლობას – ვენახების შეწამვლა, ახალის ჯურის გუთნების შეძენა, ყველგან გახშირებულია, როგორც კახეთში, ისე ქართლში და სხვ. საწყალმა არ იცის ბევრი რამ და ყველაზედ მეტად ის, რითაც ჩვენ უფრო თავს შეგვაყვარებდა ეს – ინტელიგენციის სულიერი მისწრაფება, მისი იდეალები...

მარტო თავადაზნაურობა არ არის ერის ძალა და ისინი თუნდა დიდიდგან დაწყებული პატარამდე საუკეთესო აზრების, გრძნობით გაიმსჭვალნენ, საუკეთესოდ იმოქმედონ, მაინც ვერაფერს გავხდებით, უკეთუ მდაბიო ხალხიც ბანს არ მისცემს... რას აკეთებენ მღვდლები? სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს და რა დასაჯერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5-6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოაღვიძოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერობისა რომ გაეგებოდეთ?! ჩვენ ამას ვერა ვხედავთ, ან კი საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადმე.

თხზ. გვ. 664-671. 1901 წელი



„ – არა, ჩვენ, მწერლებმა, ახლა „კალამი უნდა ძირს დავსდვათ, გზა კი ვაჟას უნდა დავუთმოთ!“

ილია

# „ჩემი ვაჟა" – ჩემი მეგზური სამყაროებს შორის

ლელა რაზიკაშვილი

*– „მოიცა ცეცხლო, ნუ მედები, ვერ დაგიწვივარ და ვერც დამწვავ,*
*– მოიცა გულო, ნურც შენ მებრძვი, ვერ მოგიკლივარ და ვერც მამკლავ...*
*– სიკვდილო, ტყუილად მოგაქვს თავი, სირცხვილზე მეტი არც შენა ხარ..."*

ეს სტრიქონები უმაღლესი პოეტური ნიჭის მიერ ქაღალდზე კალმით დაწერილი შედევრი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონებს ჰყავს კონკრეტული ავტორი, ისინი ლექსად არ დაბადებულან, ტრადიციული გაგებით. ისინი, ვაჟა-ფშაველას ძმის, ნიკო რაზიკაშვილის პატარა ქალიშვილის გარდაცვალებისას, სამძიმარზე მყოფმა ერთ-ერთმა მოკეთემ მოისმინა, სწორედ მაშინ, როცა მარიამ გურასპაული, გარდაცვლილ შვილს თავით უჯდა და მის წინ ატუზულ სიკვდილს ღირებულებებზე ესაუბრებოდა...

მსოფლიოში ბევრი არ არის ლიტერატურული შედევრი, რომელიც ამ სტრიქონებს პოეტური აზრის სიმაღლით, უსაშველო განცდის უბადლო ესთეტიური ტექნიკით გადმოცემის უნარით და გრძნობების სიმძაფრით გაუწევდა კონკურენციას!

როგორც მსოფლიო, ასევე ქართულ ლიტერატურაში უამრავი შედევრია, სადაც სიკვდილის, სიცოცხლის, ღირსების, სიყვარულის და სხვა ღირებულებების რანგირებისას, სიცოცხლე ან სიკვდილი პირველ ნიშნულზე არ დგას. მარტო ,,ლექსი ვეფხისა და მოყმისა" რად ღირს, როცა ერთადერთ შვილზე მოტირალი დედა, სტრიქონებს შორის, თვალსა და ხელს შუა იმართება მხრებში, თითქოს ბრწყინდება და სიამაყის შვებით ამბობს:

„მათ დაუხოცავთ ერთურთი, არ დარჩნეს სირცხვილიანი..."

მარიამის ლექსად ნატირალის თემაც თითქმის იგივეა, მაგრამ მოყმის დედისგან განსხვავებით, მარიამ გურასპაული პოეტური სახე არ არის. ის ერთი ჩვეულებრივი ფშაველი ქალია, რომელიც შვილის ცხედართან ზის და გამაოგნებელი სიცხადით საუბრობს სიკვდილთან, როგორც ჭირის საწყენად მოსულ მეზობელთან, რომელსაც იქვე, სამძიმარზე ჩამომჯდარი სამყარო, სინანულისა და დანაშაულის გრძნობით უგდებს ყურს...

ეს მოცემულობა არის ხორციელი, ადამიანის შეხვედრა სხვა განზომილებასთან, ეს არის დიალოგი სამყაროებს შორის, იმდენად გულწრფელი და იმდენად ცხადი, რომ ვერც კი ხვდები, ამ სტრიქონებთან ერთად როგორ აღმოჩნდი შენც, მკითხველიც იქ, მოსაუბრეებს შორის, თითქოს კედელში გახვედი...

მარიამ გურასპაული არ იყო გამონაკლისი ნიჭი, ან ერთეული შემთხვევა. ამ სტრიქონებს და მის წამკითხავ მსოფლიოს ძალიან გაუმართლა, რომ ავტორი, დიდი რაზიკაშვილების რძალი იყო და მის ნათქვამს გადარჩენა ეწერა. არავინ იცის ადამიანისა და სამყაროს რამდენი ასეთი შეხვედრა უკვალოდ ჩაიკარგა მიგდებულ სოფლებში და წასულ წლებში.

ეს იყო გარემო, დრო, ადგილი და სოციუმი, სადაც ადამიანი გამუდმებით ახლო იდგა სიკვდილთან. ამ სიახლოვის გადასახედიდან კი ადამიანი ისეთი სიცხადით ხედავდა სამყაროს, ცის სიმაღლეს, მიწის სიღრმეს, ჩვეულებრივთათვის უცნაურ სინათლესა და მასში ასვეტილ ლანდებს, როგორც მხოლოდ სიკვდილის წინაშე მდგომები ხედავენ ხოლმე!

შეუცნობელთან მუდმივ შეხებაში ყოფნა ბუნებრივად აყალიბებდა ჩვეულებრივ ურთიერთობას ადამიანსა და არყოფნის სხეულს, როგორც კონკრეტულ პერსონას შორის და ამ ურთიერთობას თან ახლდა არა მხოლოდ ტრაგიზმი, არამედ ესთეტიკა, ღირებულებითი მოთხოვნები და, რაც მთავარია, არტისტიზმი...

ვაჟა-ფშაველას პოეტური და აზრობრივი სხეულის სრულყოფილად დანახვა, მხოლოდ მის გამომზრდელ გარემოში გამოჭრილი სარკმელიდან შეიძლება, სარკმელიდან, რომელსაც მარგალიტებივით სტროფების სახე აქვს!

მარიამ გურასპაულის სიტყვისა და აზრის გარემოში დაიბადა ის ლუკა რაზიკაშვილად, აქ დაუმეგობრდა ის სამყაროს და იქცა ვაჟა-ფშაველად, ადამიანად, ვისთვისაც სხვა სამყარო არ არის ვარსკვლავს იქეთა მცნება, ადამიანი, ვისთვისაც სხვა განზომილება აქვეა და თუ მას მისწვდები გონებით და გრძნობით, მისწვდები ხელითაც!

მისი ამქვეყნად მომავლინებელი დედა, გულქან-ბაბალე, მარიამ გურასპაულისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ის გამჩენმა გაანებივრა და არასოდეს დასჭირვებია შვილთან განშორების სიმწარე ესაყვედურებინა განგებისთვის. თუმცა ისიც, ამბის გადმოცემის უბადლო ნიჭით დაატარებდა თავის შვილებს ლანდების სამყაროში. თან ისე დამაჯერებლად უყვებოდა პატარებს მათი არყოფნიდან ყოფნის სივრცეში შემობრძანების ამბებს, რომ ვაჟას მთელი სიცოცხლის მანძილზე სჯეროდა და ხედავდა, თუ როგორ გადმოვიდა ის მთებზე გადაჭიმული, ანგელოზებით დახუნძლული ოქროს ჯაჭვიდან, რომელიც დედამისმა ქალიშვილობაში ნახა და როგორ იქცა დროებით, მხოლოდ დროებით ჩვეულებრივ ადამიანად.

სხვისი არ ვიცი და პირადად მე, ქართული ლიტერატურიდან, განზომილებებში ასე მოსეირნე, სიკვდილ-სიცოცხლესთან საჭოროდ ჩამომჯდარი, გოდერძი ჩოხელი მახსენდება, უცხოურიდან კი მარკესი.

ვაჟას ჯიბიდან გადმოუვარდიო – ამბობდა გოდერძი, ამ მსგავსებით ამაყობდა და მართალიცაა. ის ნამდვილად ჰგავს რაზიკაშვილების რძლების, მარიამისა და გულქან-ბაბალეს კალთაში გამოზრდილ ბარტყს. ის სისხლხორცეულად იგივე გარემოს შვილი იყო და მიტომაც გრძნობდა თავს ამ ლანდებს შორის, როგორც თევზი წყალში...

რაც ეხება მარკესს, მისი ფანტაზიებიც შეიძლება გარემოს გავლენით იყოს გაძლიერებული, არც მის გარშემო იყო სიცოცხლე მყარი და უსაფრთხო, სიკვდილი კი შორეული...

თუმცა ჩემთვის, ვაჟას გამოჩენა კაცობრიობაში ძალიან ჰგავს ერთ ხმაურიან მოვლენას, რომელთან დაკავშირებითაც მსოფ-



ლიო ჯერ ვერ გარკვეულა ლიტერატურის სფეროა ის თუ, ზოგადად, მეტაფიზიკის...

გასული საუკუნის შუა წლებში, მსოფლიო შოკში ჩააგდო ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის პროფესორის ეთნოგრაფიულმა დღიურებმა მექსიკის ერთ-ერთი სოფლიდან.

კასტანედას ეფექტი იყო გამაოგნებელი! მკითხველი თითქოს იქვე, გვერდიდან ადევნებს თვალს დიალოგს ორ სამყაროს შორის, ხედავს თუ როგორ ესაუბრებიან ერთმანეთს ადამიანი და კოიოტი და, რაც მთავარია, საუბრის შინაარსი გასაგებია მისთვისაც, რადგან დიალოგია იმდენად ცხადი და ნატურალური, რომ რთულია ეჭვის შეტანა მის ნამდვილობაში.

ვაჟათი გაოცება რაღაცით წააგავს მსოფლიოს შეხვედრას ბებერ დონ ხუანთან, თუმცა ძალიან ღრმაა და მსოფლმხედველობრივი მათი განსხვავებაც, მიუხედავად მსგავსებისა განზომილებითი, ანუ სივრცითი მასშტაბის კუთხით.

ბებერი ხუანი სამყაროს ეკონტაქტება საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნის მეშვეობით, ცოდნისა, რომელსაც ხშირ შემთხვევებში აქვს გარკვეული მიზანი – მოახდინოს გავლენა ადამიანისა და საზოგადოების ნებაზე, ან მართოს პროცესები...

თითქმის საუკუნით ბებერი კავკასიელი მინდიას სიბრძნე კი არ არის შემოსაზღვრული საუკუნეებით. ის ცისა და მიწის უსასრულობიდან იღებს სათავეს. ორივესაგან იწოვს მხოლოდ სიკეთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მართავს ადამიანს და მის უგუნურ ბუნებას, ვერც საზოგადოებას. ამ უკანასკნელს არასოდეს ესმის მისი და მუდმივად დევნის მას, მაგრამ თავისი თანაარსებობით საზოგადოებასთან, მუდმივად აძლევს მას შანსს იყოს უკეთესი!

ვაჟაზე ვიტყვით, რომ ის არის პოეტი, დიდი პოეტი, ან თუნდაც, გენიოსი, მაგრამ მის ფენომენს ამით ვერ გამოვხატავთ სრულყოფილად.

ის არის მსოფლმხედველობა, ის არის სწავლება და მისით აღფრთოვანება არის მიმდევრობა ამ სწავლების....

სწორედ მსოფლმხედველობრივი მასშტაბი ქმნის მის მიმართ მიზიდულობის უცნაურ ძალას მისსავე მკითველში, ასაკის, სქესის ეროვნების მიუხედავად. არ ვიცი ვინმე დაფიქრებულა თუ არა იმაზე, რომ ვაჟას თაყვანისმცემლობა არა გემოვნების, არამედ ღირებულებების თანხვედრის თემაა, ანუ ისინი საოცრად ენათესავებიან ერთმანეთს ღირებულებითი სისტემით. ამის გამო მე მათ ერთ-ერთ იუბილეზე, ვაჟათი ნათესავებიც კი ვუწოდე!

ვაჟას მსოფლმხედველობის ძირითადი ღერძი თავისებური დამოკიდებულება და გაგებაა სიცოცხლის და სიკვდილის...

სიცოცხლე მისთვის სულაც არ არის დანაწევრებული სულიერად და უსულოდ, უტყვად და მეტყველად, ადამიანად, პერსონებად, რასად და ა.შ. სიცოცხლე ერთი დიდი სინათლეა, ერთიანი განუყოფელი, ერთმანეთში ჰარმონიულად შეწყობილი სისტემა და მისი, თუნდაც ერთი სხივის, თუნდაც ერთი პატარა ნაგლეჯის ჩაქრობა აზიანებს მთელ სისტემას. სწორედ ამიტომ, სიცოცხლის ნებისმიერი ფორმის გაფრთხილება, ჩვენი თუ სხვისი ჩვენს გარშემო, ნიშნავს სიცოცხლის ერთიანი სხეულის დაცვას. ამ ერთიან სისტემაში, სიცოცხლის ერთიანი სხეულის შენარჩუნებაში, პასუხისმგებლობის დიდი წილი ადამიანზე მოდის!

ვაჟამ შექმნა სამყაროს გეოლოგიური და სულიერი არქიტექტურის მისეული მოდელი, როგორც სამყაროს ჰარმონიის ფორმულა, სადაც ადამიანი ჰარმონიის დამაგვირგვინებელია, ამ ჰარმონიის ერთგვარი სახეა, მხოლოდ თავისი ადამიანური სახით და ბუნებით!

,,ხევი მთას მონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცენარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ...."

თუ ეს ადამიანური საწყისი დარღვეულია, მაშინ ირღვევა სამყაროს ჰარმონია, ქრება სიცოცხლის ერთიანი სხეულის სხივები და ამ ჩაშავებულ ლაქებს სიცოცხლის სხეულზე, ანუ ბოროტებით შეცვლილ სიკეთეს, აქვს სწორედ სიკვდილის სახე. დიახ, ვაჟასთან სიკვდილს არყოფნის სახე არ აქვს, არყოფნა საერთოდ არ არის, ბოროტებას აქვს სიკვდილის სახე!

მისი რჩეული ალუდაა ამის მაგალითი. ის ცხოვრობს, ცოცხლობს ჩვეულებრივი თემის წესით, ერთხელ გამოდის მტრობის სიბნელიდან, რასაც კაცის ხორცის ჭამის სახედ შეხედავს. ბოროტების ველიდან, თითქოს სიკვდილიდან სიცოცხლეში გადადის, ღვთის მიერ შექმნილ ადამიანურ სახეში!

სივრცესთან ერთად ვაჟას სწავლებას არ აქვს შემოსაზღვრული დროც, კონკრეტული პერიოდი ან თარიღი. მის ლიტერატურულ დროს შეიძლება მარტივად ბიბლიური დრო დავარქვათ, ანუ მარად ძველი და მარად ახალი. ის ნაწარმოებებიც კი, რომლებსაც სიუჟეტური კუთხით განსაძღვრული პერიოდი აქვთ, მაგალითად ,,ბახტრიონი", პერსონაჟების ქცევით, მისტიური პერსონაჟებითა და თემებით, უფრო ბიბლიური დროისაა, ვიდრე მე-16 საუკუნის!

მისი ლიტერატურული ნააზრევიც ხშირად ძველი და ახალი აღთქმის იგავების ფუნქციას ატარებს. თითქოს ცდილობს უზადო მხატვრული ფორმით, მხატვრული პერსონაჟების მეშვეობით, დაანახოს თავის ლიტერატურულ მრევლს, შემოქმედის სწავლების სინამდვილე მარადიული სიცოცხლის შესახებ. სიმღერ-სიმღერით, არტისტულად, პოეზიის ენით დაგვაჯეროს ყველაფერი ის, რისიც ცოცხალ ადამიანს ჯიუტად არ სჯერა. მაგალითად ისე, როგორც ალუდას მაგალითზე გვაჩვენა, როგორ შეიძლება არა მხოლოდ გიყვარდეს მტერი შენი, არამედ თავი გასწირო მისთვის!

ერთადერთი, რაც ვაჟას გარკვევით აქვს შემოსაზღვრული უდროო და უსივრცო სამყაროში, ეს ღირებულებათა ველია, ღირებულებათა ერთიანი სისტემა, რომელსაც მისი გმირები თავიანთი ქცევით აყალიბებენ, როგორც ინდივიდებსა და საზოგადოებებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების ფორმულას!

საოცარია, მაგრამ იმ ბევრჯერ დაკერებულ ჩოხასაც, ,,ჩოხის ძველას", როგორც თავად ეძახდა, მისი ფენომენის ერთიან სახეში თავისი განუმეორებელი ადგილი აქვს. მის შეჭირვებულ ყოფაშიც კი არ იყო შეუძლებელი ახალით ჩოხით ეკეკლუცა, ისე, როგორც ბევრ ფოტოში ვხედავთ, მაგრამ მეხსიერებაში, მისი ლანდი მაინც დაკემსილი ჩოხით დაფრიალებს. გაურკვეველია ჩვენ ავირჩიეთ ძველი ჩოხა მისი, როგორც ლიტერატურის ქურუმის რიტუალურ სამოსად, თუ თავად, ალბათ, ორივემ ერთად. ერთი კია, რომ ეს სამოსი თითქოს სიმბოლოა ნათელ და მარადიულ არსზე და გონებაზე შემოცმული სხეულისა, წუთისოფლისა, რომელიც აუცილებლად ცვდება და ზუსტად ასე საცოდავად გამოიყურება მარადისობაში...

გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ ხმები მისი უხრწნელობის შესახებ, უფრო და უფრო იკიდებს ფეხს, არა მხოლოდ მისით აღტაცებულ ლიტერატურულ მრევლში, ღვთისმსახურებშიც. მე მინახავს მაღალი იერარქიის მღვდელმთავრებიც, რომლებიც მას წმინდანად მოიხსენიებენ, მაგრამ ეს მაინც იმ დალოცვილის განსაკუთრებული უფლებაა, ვინაც მისი ჩვენს განზომილებაში შემოსეირნება დაუშვა.

ამ განზომილებებს შორის მოსეირნე პილიგრიმს დიდ ხანს არ უცხოვრია, სულ რაღაც 54 წელი. მისი ცხოვრებაც ძალიან ჰგავდა მისივე გმირებისას და უფლის რჩეულებისას. იცხოვრა ტანჯვით. მუდამ ეძებდა ლუკმას თავისი მშიერ-ტიტველა ოჯახისთვის, სამართალს თავისთვის და ყველასთვის გარშემო, ვისაც კი დასჭირდებოდა. მუდამ ეძებდა სანთლის შუქს იმ პატარა, ნესტიანი ქოხისთვის, სადაც ხდებოდა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ კაცობრიობისთვის, ვიდრე მსოფლიოს საუნივერსიტეტო ქალაქებში!

... 1915 წლის 27 ივლისს, ლაზარეთის ნათელ ოთახში, ის იყო მარტო, ოჯახის გარეშე. მასთან არ იყო მისი არც ერთი დამტირებელი – ქალიშვილები, ცოლი, არც მისი და...

ძმები არ ითვლება, ისინი თავისებურად, კაცურად მიდმოდიოდნენ სარეცელთან ახლო, მისი ადამიანური სურვილების შესასრულებლად...

ნათქვამია, შექმნა ღმერთმა ხატად და მსგავსად თავისაო, მაგრამ განსხვავებაც ბევრია ხოლმე. მაგალითად, უფლისგან განსხვავებით მას უკანასკნელი სურვილი შეუსრულეს, მთის წყარო მოურბენინეს, ბალახები და მინდვრის ყვავილებიც.

,,მუხთალო წუთისოფელო,
ტანჯული შვილი გშორდები,
თუ ვინმეს ვალი მიმყვება,
იქედან გავუსწორდები..."

ბიოგრაფები ირწმუნებიან, რომ, ეს ლექსი იმ დღეს თქვა, ჩურჩულით. როგორც ჩანს, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა წასვლა და იქედან ხშირ-ხშირად, ჩვენს ყოველ დაძახებაზე შემორბენა, დედამიწიდან ვალად წაღებული სინათლის დასაბრუნებლად!

მისი სიკვდილი იყო მის მიერვე ჩატარებული ბოლო, ერთდროულად მხატვრული და სიმბოლური აქტი.

მხატვრული-სამყაროს პოეტის გარდაცვალებისა ველურ ყვავილებს შორის,

სიმბოლური-სამყაროს ნათელი ნაწილის გასვლისა კიდევ სხვა სამყაროში, დედამიწის მთავარი სილამაზით, მინდვრის ყვავილებითა და ბალახებით შემკული კარიბჭით ლაზარეთის იატაკზე...

დედამიწამ მაინც გაუკეთა ბოლო საჩუქარი მას, ყვავილებთან ერთად, კაცადყოფნის ერთ-ერთი მთავარი ღირსება, კაცის დამტირებელი ლამაზი ქალის ცრემლიც აჩუქა...

ასე 7 საათი იქნებოდა,

ლაზარეთის ცარიელ ოთახში, იატაკზე გაშოტილ ვაჟას ცხედართან, კუთხეში მარტო მდგარი მედდა, ანიკო კობიაშვილი ტიროდა...

## როლანდ გიორგაძე



# ჭიამაიები



ნახ. სოფიო ჭელიძისა

– ჩვენი ბრალია ყველაფერი, ჩვენი. დაგვეჯერებინა უფროსებისთვის, ქარსა და გრიგალში რომ მოვინდომეთ ფრენა, რომელი არწივები ჩვენ ვიყავით.

– რა ვიცი, მზიანი ამინდი იყო და, მინდვრიდანაც ისეთი სურნელი მოდიოდა, ვერ გავუძელით ცთუნებას და კი ვართ, ახლა, ასეთ დღეში. ფრთები დაგვიზიანდა და ახლა ჩვენც ჭიანჭველებივით დავბოჭიალებთ. ისე, აქაც ბევრი საინტერესო რამ ყოფილა, ყვავილებიც უფრო კარგად გავიცანით, ჭიანჭველებსაც დავუმეგობრდით. არა, არა, მომწყინდა მიწაზე ხოხიალი, ფრენა მინდა!

მიბოჭიალობდა ორი ლამაზად დაწინწკლულკაბიანი ჭიამაია და თავიანთ უბედობას ჩიოდნენ. სახლამდე ჯერ კიდვ შორი გზა ქონდათ გასავლელი, სახლი კი ქვაყუნცაიის ქვეშ მოეწყოთ, წვიმისაგანაც იცავდათ და მზისაგანაც. სანამ სახლში მივიდოდნენ, გზად ერთი ანკარა რუ უნდა გადაელახათ. ადრე ასეთ დაბრკოლებებს აინუნშიც არ აგდებდნენ, ახლა კი, ფრთაჩამოვარდნილები და არაქათგამოცლილნი, ძლივს მიბობღავდნენ.

მიადგნენ ნაპირს, გახედეს მოლიკლიკე წყლის ნაკადს და ჩამოისვენეს. გაღმა ნაპირზე, გვირილებით გადაპენტილი ვრცელი მინდვრის დანახვაზე, ცრემლები მოადგათ.

– რა გვეშველება? ღამე შეგვცივდება და შეიძლება დავიღუპოთ. არა, არა, მე ფრენა მინდა, ფრენა, – ხმალლა აქვითინდა ერთი მათგანი.

დაღვრემილ და საგონებელში ჩავარდნილ ჭიამაიებს თავს პატარა ბატკანი წამოადგათ:

– რა გაგჭირვებიათ, ფრთახალიანებო, რას დაღონებულხართ?!

ცრემლმორეულმა ჭიამაიებმა თავიანთი გასაჭირის შესახებ უამბეს. ბატკანმა ჩაიკიკინა, მერე წინა მარჯვენა ფეხი მიწაზე დააბაკუნა და დაღვრემილ ჭიამაიებს მიმართ:

– ახლა ყურადღებით მომისმინეთ! ტირილით საქმეს ვერ უშველით, აუყევით ამ ნაპირს, მოსახვევში, ტირიფთან წყლის ზამბახია გადაწვენილი, შესანიშნავი ხიდია. რომ იცოდეთ, ჭიანჭველებიც მაგ ხიდით სარგებლობენ. აბა, თქვენ იცით, – დამშვიდობების ნიშნად ისევ მარჯვენა ფეხი ასწია ბატკანმა და მერე სამჯერ მიწაზე დააბაკუნა.

გუნებაგამოკეთებულმა ჭიამაიებმა მადლობა გადაუხადეს ბეკეკას და გზას გაუდგნენ. პატარა ხნის მერე ისევ ბეკეკას კიკინი შემოესმათ:

– შეჩერდით, შეჩერდით! – ჭიამაიები შეყოვნდენ, – ჭიამაიებო, გული ამიჩივლა თქვენმა სატკივარმა. ცრემლებიც კი მომადგა თვალზე, არა ხართ თქვენ მიწაზე სახოხიალოდ გაჩენილნი, თქვენი ადგილი ცაშია. ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ, ერთადერთი გამოსავალი ადამიანებთან მისვლაა, ისინი თუ გისაშველებენ. აბა, თქვენ იცით, არ დამივიწყოთ. ფრენას რომ შეძლებთ, უსათუოთ მესტუმრეთ.

ჭიამაიებმა პაწაწკინტელა სალი ფრთები შეარხიეს და დაპირდნენ:

– ფრენა თუ შევძელით, უსათუოთ გეწვევით.

– კარგით, კარგით, სადაცაა ავტირდები, ცრემლები მომაწვა. არ გემშვიდობებით, მჯერა, რომ, ისევ შევხვდებით.

– რა კეთილი ბეკეკაა, თუ გადავრჩით, ვეწვიოთ, პაწაწინა რქებზე დავასკუპდეთ, გავამხიარულოთ. მაგრამ ადამიანებამდე როგორ მივიდეთ?

ჭიამაიები გზას გაუდგნენ და ცოტა ხანში ხიდს მიადგნენ. უზარმაზარი წყლის ზამბახის მორკალული ღერო მეორე ნაპირს სწვდებოდა. ნიავის წამოქროლებაზე ხან მაღლა აიწეოდა, ხან დაბლა ეშვებოდა და ნაპირს ელამუნებოდა. ჭიამაიები ჩამოსხდნენ, მოქანავე ღერომ შიში მოჰგვარათ. ჩაფიქრდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს, როგორმე ხელსაყრელი დრო შეერჩიათ, ნიავის დაქროლვაზე, წყალში რომ არ გადაცვენილიყვნენ – როგორც კი ქროლვა შეწყდებოდა, ღეროზე უნდა აბობღებულიყვნენ. ამ სჯა-ბაასში იყვნენ, როდესაც ხიდს ჭიანჭველების ჯგუფი მიუახლოვდა. ჯარისკაცებივით ერთ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ და მწყობრი ნაბიჯებით მოეშურებოდნენ. ხიდთან რომ მივიდნენ, მეთაური მწკვრივს გამოეყო და ჭიამაიებთან მივიდა:

– რას ჩაფიქრებულხართ, რა გაგჭირვებიათ?

ჭიამაიებმა მოკლედ უამბეს თავსდატეხილ უბედურებაზე.

– აბა, ახლა კარგად მომისმინეთ, ჩვენ ამ ხიდზე არაერთხელ გადავსულვართ. ცოტა ირხევა, მაგრამ შიში საქმეს ვერ უშველის. მანამ არ დაიძრათ, სანამ ჩვენ ხიდზე არ შევაბიჯებთ. როცა სვლას დავიწყებთ, გამოგვყევით.

ჭიამაიებმა ჭიანჭველებთან ერთად მშვიდობით გადაიარეს ხიდი. ჭიანჭველების მეთაური ჭიამაიებს გამოემშვიდობა, წარმატებები უსურვა და თავისიანებთან ერთად გზას გაუდგა. მადლობის ნიშნად ჭიამაიებმა ჯანმრთელი ფრთები დაუქნიეს და გვირილების ტყეში შევიდნენ.

– როცა დავფრინავდით, ვერც კი ვამჩნევდით, გვირილები რა მაღლები ყოფილან. დაღლილ-დაქანცული გვირილის ღეროზე აცოცდნენ. გვირილებს კი ჩამავალი მზის სხივებისკენ მიედრიკათ თავები და ოდნავ ირწეოდნენ. მასპინძელმა გვირილამ სტუმრების მობრძანებისას თავი მოაბრუნა, ფართოთ გაშალა შარავანდედად ქცეული თეთრი ფურცლები და შუაგულში ოქროსფერ მაგიდასთან მიიპატიჟა. მაგიდა ისეთი ლამაზი იყო, გეგონებოდა თვით მზე ჩამობრძანებულა და დავანებულა მის გულშიო. ჭიამაიებმა სული რომ მოითქვეს, ისევ აწუწუნდენ, ცრემლები მოერიათ და მოთქმა დაიწყეს:

– რა გვეშველება, უსათუოთ დავიღუპებით! – ღაპაღუპით წამოსულმა ცრემლებმა ყვავილის გულამდე მიაღწია, მერე კი ფესვებისაკენ დაეშვნენ. ჭიამაიებმა, რა თქმა უნდა, გვირილასაც უამბეს თავიანთი სატკივარი.

შეწუხდა გვირილა. დაღონდა:

– რა გიშველოთ, რით დაგეხმაროთ, მე ხომ სიარული არ შემიძლია, – ცრემლმორეულმა თავი მაღლა ასწია და ირგვლივ მიმოიხედა. პატარა ხნის შემდეგ კი მხიარულად წამოიძახა, – აბა, თავები წამოსწიეთ! – ჭიამაიები გვირილის ფურცლებზე აცოცდნენ, – ხედავთ? ჩვენს წინ ბალახებში ჩაწოლილ ტყუპ გოგონებს გვირილებივით მოჩითული კაბები რომ აცვიათ?

– კი, ვხედავთ, რა ლამაზები არიან!

– გოგონებამდე უნდა მიაღწიოთ და უთუოდ დაგეხმარებიან.

ჭიამაიები გვირილას ოქროსფერ გვირგვინს ეამბორნენ, თავქვე ფრთხილად დაეშვნენ და პატარების ფეხებამდე ძლივს მიაღწიეს. მერე ჩამოსხდნენ და მსჯელობა დაიწყეს თუ როგორ გაეღვიძებინათ. გოგონების გარუჯულ წვივებს მზე დასთამაშებდა, მოჩითული კაბა კი მუხლებამდე წვდებოდათ და ყოველი ამოსუნთქვა-ჩასუნთქვისას კაბაზე დახატული ყვავილები ისე ირხეოდა ცოცხალი გეგონებოდა.

– უსათუოთოდ უნდა გავაღვიძოთ, მაგრამ ჩვენ ხომ ლაპარაკი არ შეგვიძლია.

პატარა ფიქრის შემდეგ ერთმა ჭიამაიამ თქვა:

– მოდი, ასე მოვიქცეთ, ფეხისგულებზე მოვულიტინოთ და აუცილებლად გაიღვიძებენ.

გოგონების გაუხეშებულმა ფეხისგულებმა ვერარა იგრძნეს. ცერა თითებამდე რომ მიაღწიეს, გოგონებს გახედეს, პატარები მშვიდად ფშვინავდნენ. მერე თავქვე დაეშვნენ, კოჭებზეც შემოუღიტინეს და შეისვენეს.

– მგონი არაფერი გამოგვდის.

– გამოგვივა, გამოგვივა, – თქვა მეორემ ჯიუტად და წვივს აღმა აუყვა.

ახლა მუხლისთავებზე დაარტყეს წრე. გოგონები ოდნავ შეიშმუშნენ და ფეხები გაატოკეს. ჭიამაიები კინაღამ ძირს გადმოცვივდნენ.

– მგონი გამოგვდის, გამოგვდის, უნდა ვიჩქაროთ, დასვენების დრო აღარ არის, მალე დაღამდება.

ჭიამაიები პატარებს კაბის ქვეშ შეუძვრენ და ბოჭიალ-ბოჭიალით კისრამდე აცოცდნენ. ისე გამალებით უსვამდნენ პაწაწკინტელა ფეხებს, გეგონებოდათ მთიულურს ცეკვავენო. ის ის იყო უნდა ეთქვათ, ამაოა ჩვენი შრომაო, რომ ერთმა პატარამ, რომელსაც ლიზიკოს ეძახდნენ, ჯერ ჩაიფრუტუნა, მერე გულიანად გადაიკისკისა, მუხლებზე წამოიწია, ხელი კისერზე მოისვა და ჰოი, საოცრებავ, ხელში პატარა ფრთახატულა ჭიამაია შერჩა. ლიზიკოს კისკისს კატოს კისკისიც შეუერთდა, მასაც ხელისგულზე ჭიამაია ესვა.

– ნახე, ნახე, რა ლამაზები არიან!

– არა, ჩემი უფრო ლამაზია!

– ჩემი შვიდხალიანია! – ნიშნისმოგებით თქვა ლიზიკომ.

– ჩემიც, - კატომ ხალები გადაითვალა,

– ჩვენსავით ტყუპები ყოფილან! - კისკისებდენ პატარები.

სული რომ მოითქვეს მაშინღა შეამჩნიეს, ჭიამაიებს ფრთები დაზიანებული რომ ჰქონდათ. დაღონდნენ. კატოს ცრემლი მოერია.

– რა ვუშველოთ, რით გადავარჩინოთ. ასე ხომ დაიღუპებიან. ასე ვერ მივატოვებთ! – წიწკინებდა კატო და ცრემლებს იწმენდა.

– ამათ ბაბუა თუ უშველით, – თქვა ლიზიკომ, ბაბუასთან უნდა მივიყვანოთ.

გოგონების ბაბუა ცნობილი სახალხო მკურნალი იყო. მთელი წლის განმავლობაში აგროვებდა მცენარეების ფოთლებს, ბალახის ღეროებს, ყვავილებს, ყვავილის ბოლქვებს და ფესვებს. ჰყავდა ფუტკრის რამდენიმე ოჯახი, რომელთაც თავს ევლებოდა და ელოლიავებოდა. მაგიდაზე გადაშლილი კარაბადინი ედო და ჩაჰკირკიტებდა. სამუშაო ოთახში, რომელსაც თვითონ ლაბორატორიას ეძახდა, ბუნება სუნთქავდა და მისი გამაბრუებელი სურნელი ნისლივით ედებოდა მთელს უბანს. მკურნალობდა როგორც ადამიანებს, ასევე ცხოველებსაც.

– არ იტიროთ, წითელკაბიანებო, ჩვენი ბაბუა აუცილებლად გადაგარჩენთ. მერე იფრინეთ და იფრინეთ, რამდენიც მოგესურვებათ, – გახარებულმა ტყუპებმა ჭიამაიები მუჭში ფრთხილად მოიქციეს და შინისაკენ მოკურცხლეს.

ჯერ კიდევ არ იყვნენ ჭიშკართან მისულნი, რომ ყვირილი მორთეს:

– ბაბუა! ბაბუა!..

ჭიშკარს მხრებით მიაწვნენ და ეზოში შეცვივდნენ, თან გაჰყვიროდნენ:

– ჭიამაია! ჭიამაია!..

სახლის კარი გაიღო და პარმაღს ახოვანი, მხრებგაშლილი, ბრგე მამაკაცი გამოსცდა. მხოლოდ თოვლივით თეთრი თმა მიანიშნებდა მის სოლიდურ ასაკს.

– ისევ ფეხშიშველა დატანტალებთ? რას იტყვის ხალხი? დამლალა თქვენი ფეხისგულებიდან ეკლების ძრობამ.

ბავშვებმა სიყვარულგარეული საყვედური ყურს მიღმა გაუშვეს და ბაბუას მკერდზე მიასკდნენ. მხოლოდ ორი სიტყვა წარმოთქვეს აქოშინებულებმა და გულაძგერებულებმა:

– უშველე, ბაბუა!

მერე კარს ზურგით მიესივნენ და ჭიამაიებიანი ხელი წინ გაიწვდინეს.

შეცბუნებულმა ბაბუამ ყურადღებით შეათვალიერა ფრთეზჩამოყრილი ჭიამაიები. მერე სახლში შევიდა და დაჩვრეტილი, გამჭვირვალსახურავიანი ხის პატარა ყუთი გამოიტანა, ბავშვებს ჭიამაიები გამოართვა და ხის ყუთში ფრთხილად ჩაუშვა.

– ბაბუა, ფრთები აქვთ დაზიანებული, აუცილებლად უნდა ვუშველოთ, – თქვა ლიზიკომ.

– ხო, ბაბუ, გეხვეწები, გეხვეწები! – მხარი აუბა თვალცრემლიანმა კატომ.

– ვცადოთ ბაბუ, ვილოცოთ! მარტო ჩემი მალამო რას უშველის? თუ ღვთის ნება იქნება, უსათუოდ გამოჯანმრთელდებიან!

იმ დღიდან მოყოლებული ბაბუა საჯანმრთელო ლოცვებს კითხულობდა პატარებთან ერთად. წამლობდა თავისი წამლებით და ღმერთს ევედრებოდა შეწევნას. თვალს ვერ უსწორებდა ბავშვების ცრემლმორეულ თვალებს, რომლებშიც დიდი სიყვარული და მოლოდინი იკითხებოდა.

ორი კვირის თავზე ბაბუამ შეამჩნია, რომ ჭიამაიებს ფრთები გასწორებოდათ. ღიმილი მოერია, ბავშვივით გახარებული ეზოში გამოვარდა და პატარებს ახარა.

ტყუპების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ბაბუამ პატარებს განუცხადა:

– ჩვენი ჭიამაიები გამოჯანმრთელდნენ და დღეს საზეიმო გაცილება მოვუწყოთ.

პატარა ხანში ბაბუამ ხის პატარა ყუთს თავსახური ახადა და ჭიამაიები კატოს და ლიზიკოს ხელზე დაუსვა. ჭიამაიები ჯერ გაისუსნენ, მერე მოძრაობა დაიწყეს, ცერა თითებზე აცოცდნენ, იქაც პატარა ხანს შეყოვდნენ, გარემო მოათვალიერეს, ფრთები აბზიკეს, თითებს მოსწყდნენ და სიხარულისაგან თავბრუდახვეულნი ჰაერში შეცურდნენ. ბავშვებმა ტაში შემოჰკრეს, მერე ბაბუას ჩაეფსკვნენ და აღტაცებულნი გაჰკიოდნენ:

– ხომ ვუშველეთ! ხომ გადავარჩინეთ!..

– თქვენ გადაარჩინეთ, ნამდვილად თქვენ! თქვენმა სიყვარულმა გადაარჩინა! – იმეორებდა ცრემლმორეული ბაბუა და პატარებს თვალებს უკოცნიდა.

მეორე დღეს ეზოში გამოსულ ბაბუას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მრავლისმომსწრე თხილის ხე ჭიამაიებით დახუნძლული რომ იხილა. გეგონებოდათ ხეს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი სამეჯლისო კაბა აცვიაო. გაოგნებულმა ბერიკაცმა პირჯვარი გადაიწერა და სახეგაცისკროვნებულმა სწრაფი ნაბიჯებით ბავშვების ოთახისკენ გასწია...



# ნომადი ბართაია

## ახლა გვჭირდება ჩვენ ბუხრის სითბო

როგორც არასდროს, მამაპაპური,
ახლა გვჭირდება ჩვენ ბუხრის სითბო,
ახლა, როდესაც ვიქცევით ისე,
რომ ქართველები არ ვიყოთ თითქოს.

საოცარია, ვართ ეს რა დღეში,
თითქოს წარსული არა გვქონია.
მითხარით ხალხნო, რა ხდება ჩვენ თავს,
ლამის სიზმარში თავი მგონია.

თითქოს არ ვიყოთ „ვეფხისტყაოსნის“,
ანდა „ჩაკრულოს“ შემქმნელი ერი,
ანდა ბალადა „ვეფხვის და მოყმის“
არ ყოფილიყოს შექმნილი ჩვენი.

თითქოს, დიდგორი ჩვენ არ მოგვეგოს,
ჩვენ არ მოგვეგოს ან ბასიანი,
თითქოს, სამება ჩვენი ანბანის
ჩვენ არ შეგვექმნას სახე მზიანი.

თითქოს და ახლა ადამიანის
დავკარგეთ სახე და ვართ ცხოველი,
თითქოს და ისე გვიჭირავს თავი,
ჩვენ არ აგვეგოს სვეტიცხოველი.

ჩვენ არ აგვეგოს თითქოს ბაგრატი,
გელათი, ჯვარი ან ალავერდი,
ო, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენი
აქ ჩამოვთვალო რომელი ერთი.

ვიქცევით ისე, რომ დავიწყება
წარსულის იყოს ჩვენთვის მთავარი,
არა გვყოლოდეს თითქოს დავითი,
არა გვყოლოდეს თითქოს თამარი.

არა გვყოლოდეს ან ქეთევანი,
არა გვყოლოდეს თევდორე ბერი,
არა გვყოლოდეს ხერხეულიძე
ცხრა ძმა, სამასი ან არაგველი.

როგორც არასდროს, მამაპაპური,
ახლა გვჭირდება ჩვენ ბუხრის სითბო,
ახლა, როდესაც ვიქცევით ისე,
რომ ქართველები არ ვიყოთ თითქოს!

## ზესტაფონ-რიკოთის გზაზე

შენი ხევხუვებით და
შენი ბონდის ხიდებით,
ყვირილას გაყოლებავ,
მუდამ ერთად ვიქნებით.

განა მარტო ხიდებით
განა მარტო ბონდებით -
მთის ფერდობებს აქა-იქ
მიმობნეულ ოდებით.

სულ სხვა არის, როდესაც,
მთელი თავის დიდებით,
ერთმანეთთან მიმოსვლა
ხდება ბონდის ხიდებით.

ო, რა სიამოვნებით,
აქეთ თუ მოვხვდებოდი,
ბონდის ხიდით, უთუოდ,
ვინმეს ვესტუმრებოდი.

წარმოვიდგენ შეხვედრას
თანაც სტუმარ-მასპინძლის,
მე რომ გულს გადავუშლი,
ის რომ გულს გადამიშლის.

ნეტავ იტევს ან როგორ
ასეთი რამ მოდის სად?
ეს პატარა მდინარე
ხიდებს ამდენს ბონდისას.

ამ დროს გზაც გაილია,
მორჩა ხიდებ-ბონდები,
საგუშაგოს გამოვცდი,
რიკოთს ვუახლოვდები.

***

გთხოვთ, მაცნობოთ, მეგობრებო,
გამონახოთ ჟამი როცა,
სად და როგორ ელოდებით
მორიგ გაზაფხულის მოსვლას?

იქნებ, სულაც დამირეკოთ,
იქნებ, წერილობით სჯობდეს.
არ მოგწერდით, ამას ჩემთვის
მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს.

## მზეს

შენ ვარსკვლავი ხარ,
არაფერი სხვა შენ არა ხარ,
შენც კარგად იცი,
გეუბნები ამბავს არახალს.

ვინ იცის, შენებრ
რამდენია
ვარსკვლავი ცაზე,
რომ არც კი ჩანს და
არც ჩვენ ძალგვიძს
მათი დანახვა.

აი, ეს იყო, თუ რამ იყო
სათქმელი ჩემი.
აი, ეს იყო, ყველაფრი,
რაც უნდა მეთქვა.

შენ მზედ იქეცი
უჩინარი ვარსკვლავი ერთი,
მხოლოდ იმიტომ,
შორს კი არა –
ახლოს ხარ ჩვენთან.

## მაღაზიაში

არაფერია თითქოს ამაში,
მაგრამ ამაში ყველაფერია,
ვიღაცას სადღაც შარვალ-კოსტუმი
მთლად ჩემი ზომა შეუკერია.

საოცარია, აბა რა არის,
როგორ მომერგო, როგორ დამხატა,
მართლა ბედი მაქვს მე ყველაფერში,
ამ ტანსაცმელმა სულ სხვა გამხადა.

მარტო არა ვარ თან აქ მოსული,
მაქვს ოჯახური აქ იდილია,
თანაც, ფასი აქვს ხელმისაწვდომი,
თანაც, ჩემ ტანზე გამოჭრილია.

## ჩემს ფოტოებს

როგორ შეგიჩერებიათ
სანუკვარი რამ წამები,
როდის სად ვარ,
ვისთანა ვარ,
ზოგჯერ კიდევ
ველარც ვხვდები.

მეშინია ქროლვის წლების
რომ გიყურებთ, უკვე აღარ,
არაერთხელ ჩემ თავს კიდევ,
ვიღაცებთან სად არ ვნახავ.

***

როგორ მახსოვს ყველაფერი,
როგორ ჩამრჩენია გულში,
თითქოს, ოდესღაც კი არა,
ყველაფერი იყო გუშინ.

თითქოს გასულიყოს არც კი
თანაც უთვალავი წელი,
თითქოს აგერ იყო გუშინ
ტანს გვემოსა არაფერი.

დროო, ეს მითხარი, რა ხარ,
დროო, ვით გვადნები ხელში,
საერთოდაც თუ არსებობ,
უკვე მეპარება ეჭვი.

***

არ მომწონხარ, თავო ჩემო,
შენ არა ხარ ჩემი ღირსი,
რამდენი რამ შეგალიე,
შენზე რამდენი რამ ვიცი.

თანაც თავი მოგაქვს როგორ,
ეგონები ვინმეს რამე,
შენს მაგივრად მე მრცხვენია,
მერე როგორ გამამწარე.

მე ცხოვრება, გითხრა, მართლა,
შევალიე შენთან ბრძოლას,
ბედნიერი ვიქნებოდი,
რომ მყოლოდი სულაც რომ არ.

მე გამომდის არაფერი,
შენ გამოგდის ყველაფერი,
მე მარტო ვარ ამა სოფლად,
შენთან არის ერი, ბერი.

სამართალი ქვეყანაზე
ახლა ვინმემ მე რომ მკითხოს,
უნდა მევლო მე ჩემი გზით,
შენ შენი გზით უნდა გევლო.

## ნონეშვილის სალამი

ბედნიერი არის ყველა,
გამორჩება არავინ,
ვისაც ახსოვს რუსთაველზე
ნონეშვილის სალამი.

პოეტისთვის იყო ერთი
უცნობი თუ ნაცნობი,
ურიგებდა სალამს ყველას
თავის კაიკაცობით.

ბედნიერი არის ყველა,
ვისაც ესე რგებია,
ნონეშვილი ვისაც როსმე
სადმე მისალმებია.

და ჰქონია მას არასდროს
არაფერზე ჩივილი,
მოჰფენია ვისაც ერთხელ
ნონეშვილის ღიმილი.

იყო მაშინ დაბნეულიც,
არ იცოდა რა ექნა,
როცა სურდა სათითაოდ
ყველა გულში ჩაეკრა.

და ხდებოდა ეს ყოველი
ო, თქვენი თანდასწრებით,
იყო იგი კაცი, ვისაც
სალამს ვერ დაასწრებდით.

ბენიერი არის ყველა,
გამორჩება არავინ,
ვისაც ახსოვს რუსთაველზე
ნონეშვილის სალამი.

***

ჩემს ქუთაისში თოვლი მოსულა,
მეორე დღეა ბარდნის და ბარდნის.
გახვეულია ქალაქი თოვლში,
მთელი ქალაქი ქუჩებში დადის.

მონატრებია ქალაქს და როგორ
ნამდვილი თოვა, ნამდვილი თოვლი,
ვერ იგონებენ ო, ზამთარს ასეთს,
მთელი ქალაქი სავსეა თრთოლვით.

მონატრებია ხალხს ერთმანეთი,
ო, რა საოცრად ქალაქი გათბა.
ვერავინ გეტყვით, ეს ორი დღეა
შეყვარებული რამდენი გახდა.

გამოსულია ქალაქი გარეთ,
ქუჩაში ხალხის არ არის ტევა,
ყველას სურს ნახოს, „იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფრენა“...

ჩემს ქუთაისში თოვლი მოსულა,
მეორე დღეა ბარდნის და ბარდნის.
გახვეულია ქალაქი თოვლში,
მთელი ქალაქი ქუჩებში დადის.

***

გამოპარულებს ჰგავდნენ სახლიდან,
ცნობისმოყვარე ეგზომ თვალებით,
რიკოთის გზაზე, ჩუმათელეთთან,
ნუშები არასრულწლოვანები.

***

როცა ბაზარში ვყიდულობ რამეს,
ვკითხულობ, სადაურია-მეთქი.
არაფერია იმაზე ტკბილი,
ვიღაცა მაშინ პასუხს რომ მეტყვის.

მეღვრება მაშინ მე სულ სხვა სითბო,
ო, მე იმ სითბოს ვატარებ დიდხანს,
მარტო რაიონს არ დავჯერდები,
აუცილებლად სოფელსაც ვკითხავ.

თითქოს მე მაშინ ვპოულობ ჩემ თავს,
თითქოს მე მაშინ ვგებულობ ვინ ვარ,
განა ბაზარში ნაყიდი რამე,
ოჯახში კითხვა-პასუხი მიმაქვს.

***

ყველა ველი კარგი არის,
მე ყველა ველს შემოვევლე,
მაგრამ მაინც, მე რომ მკითხო,
სხვა გემო აქვს ქართლის ველებს.

საოცარი რამე არის,
გული ამდენს როგორ უძლებს,
ქართლის გზებზე კი არ ვმგზავრობ,
ჩვენში დარჩეს, ველებს ვუმზერ.

თანაც მარტო კი არ ვუმზერ,
ასე კი არ ვკეცავ მე გზებს,
გულში ვმღერი
კალანდაძის,
ო, რა ტკბილად
ანას ლექსებს.

## გრიგოლ რუხაძეს

როგორ გამახარე შენი
წიგნით, ეგზომ სანუკვარით,
გადაფურცლავ, გადმოფურცლავ,
ყველა ლექსი ლექსი არის.

წიგნს, „ასერთი ლექსი“ ჰქვია,
გამახარებ ვიცი კიდევ,
ასერთივე – ყველა ერთი
ამოსუნთქვით წავიკითხე.

რა ყოფილა, რა ყოფილა,
რა ყოფილა ახლა ვხვდები,
ჟრიამული დაწყებითი
კლასის მერხის მეგობრების.

ბავშვობაში ჩარჩენილხარ,
სიბერეში ან რა ჰყრია,
წელი ექვსი ათეული
სულ ტყუილად მოგიყრია...

როგორ გამახარე შენი
წიგნით, ეგზომ სანუკვარით,
გადაფურცლავ, გადმოფურცლავ,
ყველა ლექსი ლექსი არის.

***

ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა,
ასე უცებ, ასე ჩქარა,
შეწყდა ყეფა სადღაც ძაღლის,
ქარავანმა ჩაიარა?

ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა,
დავრჩი ასე ობლად სახტად,
აღარ ისმის ხმა ქარავნის
ზარების და ზანზალაკთა.

ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა,
სულ ეს იყო ყველაფერი,
ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა,
უკვე მოვიჩრდილე ხელი?

ჩაიარა ქარავანმა,
რაღა დარჩა, რაღა დარჩა,
მეგონაო, რომ დაიძრა,
უკვე კუდიც აღარა ჩანს!

ირგვლივ იძვრის არაფერი,
დროც არ გადის, დროც არ გადის,
ქარავანი ერთდროულად
გახდა სიზმარიც და ცხადიც.

ნუთუ მართლა ჩაიარა
ქარავანმა ჟამთასრბოლის,
დატვირთულმა ოქრო-ვერცხლით,
დიბა-ატლას აბრეშუმით?

ნუთუ მართლა ყველაფერი
იყო და არა იყო რა,
ნუთუ მართლა ქარავანმა
ყველაფერი გაიყოლა

ნუთუ მართლა, ნუთუ მართლა
ასე უცებ, ასე ჩქარა,
შეწყდა ყეფა სადღაც ძაღლის,
ქარავანმა ჩაიარა?

***

მადლობა დიდი, მადლობა დიდი,
სამყაროს ასე ლამაზად მომწყობს,
კანონებიდან ყველაზე უფრო
მიზიდულობის კანონი მომწონს.

# ჩემი თავგადასავალი

(დასასრ. დასაწყ. იხ. NN4-6)

შიმშილით რომ ძალიან გამიჭირდებოდა, მოდეგას წავიდოდი ხოლმე, იქნებ პური მაჭამოს ვინმემ. თავისთვისაც არ ქონდათ, მე ვინ მაჭმევდა. ხელით ფშვნეტდნენ თავთავს, იმას ჭამდნენ. ერთ დღეს სახლს დავუყენე ჯანჯღელი ვირშიკაანთ აკოი და წავედი. ბევრი ვიარე მოდეგაში, პური არავინ მაჭამა. ბოლოს შევედი ფაშაანთ ყევანასთან. მაშინვე დაუძახა ქალებს: სიკოს პური მოუტანეთ, მშიერი იქნებაო. მომიტანეს პური. ვჭამე. ჩამოვედი სოფელში. საცხვარეში გადვიხედე, ერთი ჭედილა არ არის, ვუთხარი აკოს. _ რა იქნა, წყალზე ხომ არ წაასხი? ჰო, წავასხი. ვისი ცხვარი შეგხვდა, ანდრესი? ცხვართან ვინ იყო? მოდეგელი გალოშვილი, ვასოი. მათთან ხომ არ გაგერია? არ ვიციო, უთხარი. მაშინ წავიდეთ, ვნახოთ. წავედით ორივენი. ბოსლის კარი რომ შევაღეთ, ოდიდან რაღაც ბრაგა-ბრუგი მოდის. შეველით საცხენეში. დავათვალიერეთ. არაფერი არ არის. მივედით ოდაში, ვუთხარი ვასოს: რა ბრაგუნებდა? _ არაფერი, შეშას ვაპობდი. მივიხედე. სუფრა სისხლიანი იყო. ეს რისი სისხლია? ჩვენი ერთი ცხვარი დავკალით და იმის სისხლი არისო. აბა, თავი ვნახოთ- მეთქი. თავი ერთ საწყალ კაცს მივეცითო. აბა, ტყავი ვნახოთ-მეთქი. მაშინ ველარაფერი მოიგონა. ტახტის ქვეშიდგან გამოიღო, მაჩვენა ტყავი. შემოვატრიალე, დუმის სარჩულზე დავაკვირდი თუ არა, მაშინვე ვიცანი, ისეთი მატყლიანი იყო, რომ დუმის სარჩულზეც მატყლი ქონდა. ტყავი შიგ თავში გადავცხე და ვუთხარი: ეს ჩემი თოხლია, მოიტა ხორცი, ვნახო. გამოიღო. ბაყვი დავინახე, უფრო კარგად ვიცანი. მაშინ ტახტზე ერთი კარგი უზნის სახრე ეგდო, ვტაცე ხელი ამას, გადავკარ თავში თუ არა, მაშინვე მოწყვეტილი ძირს დაეცა. ამას წაქცეულზე ერთი ორი გადავკარი. წამოვარდა, ტახტზე შეხტა. მეც შევხტი ტახტზე. მივცხე და მივცხე, სულ მთლად გალურჯდა. ვეუბნები, თავი მოიტა, ის კი დაეცემა ჩოქზე. ავაყენებ, კიდევ ვცემ. _ თავი მოიტა, თოხლისა! არ მოაქვს. შემდეგში ტახტზე ცული ეგდო, ცულს დავავლე ხელი, შუაზე უნდა გამეჩეხა. მაშინ მოიტანა თავი, ბაგაში ჩაედო, ზედ ბზე დაეყარა. ესეც ასე. თვრამეტი დღე და ღამე მშიერი ვიყავი, მინდოდა წავსულიყავი ჩვენებთან, პური მომეტანა. ერთ დღეს, ჩვენ კარებზე ვდგავარ დაღონებული, ვფიქრობ, ამ მამაძაღლ თათრებმა რა გვიყვეს. ჩვენს კარებს წინ დიდი ნამქერია, იქავე პალეს სახლები სწორედ არც კი ჩანან, სერგო გოგალაძეც პალეს სახლში დგას. ერთი რაღაც თათრული ლაპარაკი შემომესმა, ყური მივუგდე. სერგოს ცოლს, ნინოს ეუბნება, სახლში შემოდიო. ისიც ტუქსავს, უჯავრდება. მაინც არ შორდება. მაშინ ვთქვი: ღმერთო, შენ ამნაირებისთვის დამბადე-მეთქი. გადავხტი ნამქერიდგან, დავინახე ჯანჯღელი ოსკაანთ არდაშაი, ერთი დიდ დათვს გავდა. მოვიმარჯვე შინდის ჯოხი, ამას მივვარდი თუ არა, მე შიგ თავში დავცხე ჯოხი. მაშინვე გაგორდა. თოვლში მივცხე და მივცხე. ნინომ დახედა, არ მოკლასო. მაშინ დაიწყო წივილ-კივილი: ნათლიჯან, ეყოფა, მოკვდაო! ხელებზე შემომეხვია არდაშაი, როგორც იყო დათვივით აბორტყდა, გაიქცა. ესტატეს ძველ კარებზე ჯანჯღელები ბევრნი იყვნენ, მიყვიროდნენ _ დაკა, მოკვდეს სიკო. ვნახოთ, ამ დანადარზე ჯგუფები დადიან, ათიოდე ჯეილი ბიჭები, ჯანჯღელები. ამათაც დავუშინე, ართენას ხიდამდის ვარბენინე. ვუთხარი: ბალანთაში აღარ გაიაროთ, თორემ სულ დაგხოცავთ-მეთქი. მას მერე აღარავის გაუვლია ჯანჯღლაში. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ _ ბალანთაში არ წახვიდეთ, თორემ, სიკო დაგხოცავთ. ვისაც რასაც მოსტაცამდნენ, ჩემსკენ გამოიქცეოდნენ _ არიქა, გვიშველეო. სახლებს ბოძებს აცლიდნენ, მიჰქონდათ ფქვილი, პური, რასაც მოასწრებდნენ. იექაანთ ქონდათ კარგი თივა, პლენებს მოეთიბათ, შეენახათ. ერთი ვნახოთ, მარიას დედა მორბის, ენა ჩავარდნილი, _ არიქა, სიკო, მოგვეშველე, ჯანჯღლიდგან სამი კაცი მოვიდა, რაც თივა გვქონდა, სულ წაიღესო. გამოვუდექი. რომ დამინახეს, _ სიკო მოდისო, ზედ ართენას ხიდზე დაყარეს. გაიქცნენ, სოფლამდის მივყე. გოგალაძე ლექსოს სწყენია, ჩემგან სომხები მაგინებდნენ, სიკომ ხმა არ გასცაო. არ გამიგონია. ყველას ეხმარებოდა და მე კი არ მომეხმარაო. თურმე, ჯანჯღელები ეუბნებოდნენ, ცოცხლები რომ ხართ, არ გიხარიათო? ესეც ასე, შიმშილმა რომ ძალიან გამიჭირვა, მოდეგელ ეზექას ჩავაბარე საქონელი. ჩვენები ბორჯომის რაიონში, სოფელ გომნაში იდგნენ. წავედი პურის მოსატანად. ავიარე მოდეგაში. ეზექას ცოლი პურს აცხობდა. ერთი ლავაში მომცა, კარგად გავღონიერდი. შევუდექი მთას, მაგრამ გზა სრულებით აღარ არის. ბუქში ვიარე, უგზო-უკვლოდ, ქცია რომ გავიარე, ქციის გალმა გვერდიც გავიარე, ვნახოთ, ზედ ფოშტის გზაზე, ქარ-ხვეტილზე, დგას ერთი კაცი, ბარგაკიდებული, პირი იქით, საითაც მივდივარ. ახლოს რომ მივედი, დავახველე. უცბად შემოტრიალდა. ვიცანი, მალრაძე მიხაი. რომ მივედი, დამინახა, მიცნო. სიხარულით გული წაუვიდა. რომ გონზე მოვიდა, ვუთხარი: მიხა, საით მიდიხარ. ხეობაში მივდივართ, ბევრნი ვიყავით, მე ველარ ვიარე. ყველას თავისი თავი უჭირდა, მე დამტოვეს, თვითონ წავიდნენ. მაშ ველარ დადიხარ? ვერა! მუხლები მეკეცება. გამოვართვი ბარგი,



ავიკიდე. ხელი მოვკიდე. ცოტაზე გავატარე. ვერ იარა. მაშინ ვუთხარი: მოდი, ზურგზე ამეკიდე. _ არაო! შენც რომ დარჩე, შენ ჯეილი ხარ, შენ წადი, თავს უშველე, მე აქ დავრჩები. მიხა, რას მეუბნები, მე ეს ღონე და ძალა იმიტომ მაქვს, რომ შენნაირ გაჭირვებულებს გამოვადგე. ავიკიდე, სამი ვერსი ვატარე. ზურგზე ცოტათი გათბა, ფეხებსაც რომ აქნევდა, ცოტათი გალღვა. მითხრა, _ ეხლა ჩამომიყვანე, ცოდო ხარ, როგორღაც შენმა ზურგმა გამათბოო, იქნება ვიაროვო. ჩამოვიყვანე, გზაზე დავაყენე, ხელი მოვკიდე. ის გზაზე ვატარე, მე გზას იქით ვიარე. ისინი როგორც იყო, აბანოს თავზე გადავიყვანე. ჩვენებურებიც ჩასულიყვნენ. თავკალოზე ისვენებდნენ. მითხრა: ეხლა წადი, იმათ მიეწიე, უთხარი _ მიხაიც მოდისო. დაღმართში ვივლიო. წაველ საჩქაროზე, მივეწიე, ვუთხარი: ჰე, მიხაიც მოდის-მეთქი. ძალიან გაეხარდათ. იქ კაცები იყვნენ: ანდრეი, ბაგრატაი, ლუკაი, ლექსოი, სხვაც, ქალებიც. ცოლს ვუთხარი: შენ როგორღა დატოვე ქმარი. მითხარი, მეც ვრჩებოდი, ძლივით გადმოვედი, ავად ვაროო. ბევრი მლოცეს, ამ სიარულით აბანოში ჩავედით. მიხაიც ჩამოვიდა. მიხამ ამოიღო და ათი თუმანი მაძლია, რომ გადამარჩინეო. მე ვუთხარი: მიხა, რას ამბობ, როგორ ავიღებ ფულს მაგ საგანზე, არ ავიღე. პური მაჭამეს. წაველით. ციხიჯვარში, გზაში, დაგვხვდნენ ჯარის კაცები. დაგვიჭირეს, მიგვიყვანეს შტაბში. გვალაპარაკეს. გაგვიშვეს. მე წაველ გომნაში. იმ დღეს უწიე გომნას თორში, დავრჩი. სამსონას ვეწვიე სტუმრად, იმ ღამეს იქ გავათენე. დილით, ადრიან, გადავედი გომნაში. ჩვენებმა რომ დამინახეს, ძალიან გაეხარდათ. თურმის, სიკვდილის ხმა დაეყარათ, თათრებმა მოკლესო. მთელი გომნა მოვიდა, ქალი, კაცი, ყველამ მნახა. ვნახოთ, როგორი ბიჭიაო, თათრებში მარტო დარჩაო. ყველა იძახდა _ კარგი ბიჭი ყოფილაო. ჩემს ძმებს ეუბნებოდნენ: ეხლა თქვენ წადითო, ეგ აღარ გაგზავნოთო. აბა, ისინი რას წავიდოდნენ, მე რომ იმათ ადგილზე ვყოფილიყავი, ცეფს გავარღვევდი, ძმებს ვნახავდი. ისინი არც ერთი ადგილიდგან არ დაიძრნენ. მივედი გომნაში. ორი დღე დავრჩი. პური გამოვაცხობინე. მესამე დღეს დავბრუნდი. ჩვენი იროდინაი თან წამოვიყვანე. სანამ ციხიჯვარში მოვიდოდით, სულ იმას მეხვეწებოდა, ნუ წამიყვან, თათრებს ნუ მოაკვლევინებ ჩემს თავს, ნუ გინდა ჩემი ცოდო. საკოჭავში რომ მოვედით, ვუთხარი: იროდინ, უკან დაბრუნდი! ოჰ, როგორ გაეხარდა, ძალიან გულით დამლოცა. წავიდა. ეჰ, ვთქვი. მშიშარა ამხანაგის ყოლას არ მყავდეს, სჯობია. მოვედი. ციხიჯვრის ზევიდგან დამიხვდნენ ყარაულები. არ გამიშვეს სოფლისკენ, ჩამომიყვანეს შტაბში. ჯარის უფროსები იყვნენ: პავლე კიკნაძე, ეფრემ ვენჯილაშვილი. ამათ მითხრეს, ამ სამ დღეში ჩვენც უნდა წამოვიდეთ ჯარით, ჩვენ გამოგვყევი. მე ვუთხარი, საქონელი მყავს სხვაზე ჩაბარებული, დღეს თუ არ გადავედი, ხვალ თავს გაანებებს, საქონელი დამეკარგება-მეთქი. რა წვალებით საქონელი შევინარჩუნე. მითხრეს: ეხლა ძალმომრეობაა, რომ გადავალთ, მთელი ახალქალაქის საქონელი ჩვენი იქნება, რამდენიც გინდა, იმდენ საქონელს მოგცემთო. მე ვუთხარი: მაგნაირი საქონელი არ მინდა-მეთქი. არ გაგიშვებთო. დავრჩი იმ დღეს. ერთიც, პრიკაზი მოუვიდათ, ანგლიელებიდგან ტაბაწყურმა ჯანჯღელ მღვდელს შეატყობინა, ქართველის ჯარმა ტაბაწყურზე უნდა გადმოიაროს, ჩვენ კეთილს არ დაგვაყრიანო. მღვდელი საჩქაროდ წავიდა ახალქალაქში, შეატყობინა ინგლისის გენერალს: ესეა საქმე, ქართველების ჯარი მოდის ტაბაწყურზე, გთხოვთ აუკრძალოთ, ახალციხეზე წამოვიდნენო. ეგენი როცა გარბოდნენ, მაშინ ტაბაწყურმა უძლვნა მელიციებს, ამიტომ, თუ გადმოიარეს, კეთილს არ დაგვაყრიან. მაშინ ანგლიამ 12 ანგლიის ჯარის კაცი გაგზავნა პრიკაზით: ბაკვრიანში არ შეიძლება ქართველის ჯარმა გადმოიაროს, ტაბაწყურზე, ახალციხეზე წამოდითო. მეორე დღეს გამომიშვეს. მთაში დიდი თოვლი მოსულიყო. გზა სრულებით არ იყო. სულ მუხლის ხოხვით გადმოვედი. ერთი ახალი შარვალი ვიყიდე, ციხიჯვარში სანამ მთა გადმოვიარე, სულ დავხიე, გადმოვიარე მთა. ჩამოველ მოდეგაში. ეზექასთან მივედი. ეზექაი სახლში დამიხვდა. ვუთხარი: ეზექ, საქონელთან ვინ არის! _ ჩემი ძმა ვალოი არისო. ეზექ, საქონელი როგორ არის. საქონელი კარგად არ არის. ორი ძროხა მომპარეს. მერე ვერ გაიგე, ვინ მოიპარა? ეს ზამთარია, კვალი შეიტყობდა, კვალი საით მიდიოდა. კვალი მოდეგისკენ მოდიოდა. მაშ, შენ მოიპარე არა? მე და ჩემმა ღმერთმა, არა. მაშ, გალოშვილები მოიპარავდნენ! არ ვიცი. ჩამოვიხადე საპანე და ვუთხარი: აბა, წავიდეთ, გალოანთა. ჩავედი. გალოანთ კარებზე, კარებ წინ, კედელი ქონდათ. კედელს იქიდგან გადავიხედე. ვნახე, რომ სისხლი და ფაშვის ნაკელი იქავე არის. გამოვტრიალდი და მრისხანედ შევვარდი გალოანთას. დავუყვირე: თქვენ დაგექცათ ოჯახი, როგორც მე დამიქციეთ! თქვე მამაძაღლებო, ერთი ძროხა არ გეყოფოდათ, ორ-ორი არ დაგეკლათ? ასეთი განრისხებული რომ მნახეს, ვასომ სულ კანკალი დაიწყო. კუთხეში მიიმალა. არდაშამ თქვა: მე სულ არ გავრეულვარ! არა, თუმცა, მაშ ვინ ამორეკა? ამომ და ვასომაო. მაგათვე დაკლესო. მაშინ დედამისმა დამიწყო ხვეწნა: გვაპატიე, ეს შეცდომა, რაც ღირს, გადაგიხდით. მაშინ ვუთხარი: ტყავები მომიტანეთო. მომიტანეს ტყავები. წამოვიღე. შემდეგში ორეული ფასი გადავახდევინე. ჩამოველ სოფელში. მითხრეს: შენი ბულა და ევგენას ხარი თათრებს სულეიმან აღასთვის უჩუქებიათ. ჯანჯღელი კუკზას შვილი სერგოი ყოფილა. სულეიმან აღასთან შენი ბულა და ევგენას ხარი გამოუტანებია სერგოსთვის, ჯანჯღლაში მოუყვანია. სულეიმან აღას უთქვამს: ესენი ბალანთელებისაა და წაიყვანე, პატრონებს ჩააბარე. სერგოი ამოვა სოფელში, კითხულობს, ასეთი საქონელი გამომატანა სულეიმან აღამ, ვისნი არიანო. ყველანი ეტყვიან ,ერთი სიკოსია, ბულა ხარი ევგენასია. სიკოი აქ არ არის. ჩვენებური ეტყვის, რომელიც კარგი მეგობარი ყავდა: სერგოს ბულა დაკალი, ხარი ამოიყვანე. რაც ამ მეგობარმა უთხრა, სერგომაც ის გააკეთა. ხარი ამოიყვანა და ბულა დაკლა. ჩვენს მეზობელს ხორციც არგუნა. რა დღესაც მოვედი, მითხრეს მაშინვე. წავედით მე და ფილოი. ჩაველით ჯანჯღლაში. მივედით სერგოსთან. გამარჯობა, სერგო! გაგიმარჯოსო! სერგო, სულეიმან აღას ჩემი ბულა შენთვის გამოუტანებია, მოგვეცი, წავიყვანოთ. სერგო შეკრთა, ფერი ეცვალა. დაიწყო ხელების ფშვნეტა და თქვა: არაფერი მომიყვანიაო. მაშინ ჩამოვუთვალე, რამდენ კაცმაც მითხრა. შენ თვითონ გითქვამს იმათთვის მეთქი. აგერ, მალე მოვლენ ქართველები, გიჩივლებ, ტყავს გაგაძრობენ. მაშინ მითხრა, წადი, ხვალ ამოვალ ,სწორეს გეტყვიო. წამოვედით სახლში. მეორე დღეს ამოვიდა გიო. ნიკოს ძესთან დამიძახეს. სერგომ დიდი ბოდიში მოითხოვა. შევცდი, ერთი მამაძაღლობა მომივიდა, შენი ბულა მე დავკალი. რაც გინდა გადამახდევინე, მხოლოდ ნუ მიჩივლებ. ჩემთვის დიდი სირცხვილია. გადაიხადა 1000 მანეთი ულაპარაკოდ, ტყავიც დამიბრუნა. ესეც ასე. ქართველები მოვიდნენ ახალქალაქში. შემდეგ ბარალეთში მოეწყო მელიცია. მოვიდნენ ჯანჯღაში. მელიციის ნაჩალნიკი კიკნაძე და თანაშემწე ველიჯანოვი ოცი მელიციით, გაიგო ჩვენმა ხალხმა, ჩაცვივდნენ ჯანჯღაში. უჩივლეს ჯანჯღელებს. ძალიან ბევრი სცემეს ჯანჯღელები მელიციებმა. ოთხი-ხუთი დღე ჯანჯღაში იყვნენ ვინც ვისაც უჩივლებდა, ყველას სცემდნენ. ვისაც რა შეეჭამა, სულ ყველას გადაახდევინეს ერთი ორად. მე არავისთვის მიჩივლია, სულ ყველამ თავისით ჩამაბარეს. ესეც ასე. დაბინავდა მთავრობა, გაიმარჯვეს მენშევიკებმა. მოაწყვეს ყველგან სასამართლოები. გამაგრდნენ ბარალეთში, დასვეს წინანდელი ყოფილი გლავა საკ მამოლოვი, ჩემი კარგი მეგობარი იყო. მოველაპარაკე, ინდუსელების წასხმული ცხვრები მოდეგელებმა რომ იყიდეს, მათ დაბრუნებაზე მან მითხრა ძალიან კანონიერი იქნება, მოდეგელებს უჩივლო და გადაახდევინოვო. ხომ იცი, ვინც იყიდა თათრებისაგან. ვუთხარი: ვიცი მეთქი, სულ ყველას გვარი სახელი დავაწერინე. ამათ მე კვირას დავიბარებ, შენც ჩამოდი, ერთმანეთს დაგაპირისპირებთ და იმისდამიხედვით საქმეს დავიჭერთ. წავიდა დღეები. კვირას ჩაველი. ვნახოთ, მოსულან მოდეგელები. ამათ უთხრა: თათრებმა ცხვრები რომ ამორეკეს, თქვენ იყიდეთო? დიახ, ვიყიდეთო. თქვენ იცოდით, ის ცხვრები ბალანთელების რომ იყოვო. თქვეს, არაო! ოჰ, თქვე მამაძაღლებო, როგორ თუ არ იცოდითო. თათრები ცარცვავდნენ, თქვენც თათრებს ეხმარებოდით, ქართველების საქონელს ყიდულობდით, აღარ ფიქრობდით, ესენი მეზობლები არიანო? თათრები წავლენ და ესენი ჩვენთან დარჩებიანო. წადით ეხლავე, როგორი ცხვრებიც იყვნენ, უფრო უკეთესი ცხვრები მიეცით, თორემ, გადაგცემთ მელიციაზე. სულ ტყავებს დაგაძრობინებთ. მაშინ ერთმანეთში მოილაპარაკეს: თათრებს საქონელი აზავრეთში ყავდათ. წავიდეთ, გავიგოთ, თუ ისევ აზავრეთში ყავთ, სიკოი ყოჩალი ბიჭია, წავიყვანოთ, საქონელს თავზე დავაყენოთ. გამიმხრეს, მელაპარაკნენ. მე დავთანხმდი. ამათ გაგზავნეს ფაშაანთ მოსოი. აპრილის დამლევი იყო. ძველზე დიდი დღეები. წავიდა აზავრეთში, გაიგო მოსომ, რომ საქონელი ისევ აქ ყავთო. საღამო პირზე ჩამოვიდა და მითხრა: სიკო, თათრებს საქონელი ისევ აქ ყოლიათ, ხვალ უნდათ წაასხან, თუ წამოხვალ, ჩვენც წამოგყვებით, გაჩვენებთ საქონელს. ვუთხარი: აუცილებლად წამოვალ მეთქი. მაშინ ვუთხარი ჩემს ბიძაშვილს _ გიოს: აბა, ავიღოთ თოფები, შევიარაღდეთ. პატრონტაჟები ჯვარედინათ გადავიყარეთ მხრებზე. წაველით. თან გავიყოლეთ მოდეგელები. შუა ღამისას მივედით აზავრეთში. მოდეგელებს ვუთხარი: სწორედ იმ პლენის სახლში მიმიყვანეთ, იმას ანგარიშს გავუსწორებ. იმათაც მიმიყვანეს პლენის სახლში. პლენი სახლში არ დაგვიხვდა, ძმა დაგვიხვდა. ძალიან კარგი კაცი, თავის ძმას აგინებდა, უშლიდა, არ დაიშალა. ეხლა აქ მაინც ყოფილიყო, პასუხი ეგო. მაშინ ძმას ვუთხარი: სამაგიეროდ პასუხს შენ გაგებინებთ, თუ კარგად არ მოიქცევი. წადი ეხლა, ინდუსელ თათრებს საქონელი აქ ყავთ, თუ წაასხეს ან როდის მიდიან, გაიგე ეს ამბავი და ჩქარა მოდი. მაშინვე წავიდა საჩქაროდ, გაიგო და მოვიდა. საქონელი აქ არის, სანამ არ გათენდება, არ მიდიან. გათენებამდის ცოტაღა უკლდა. მალე გათენდა. ვუთხარი: წავიდეთ სოფლის კამისართან. დავუძახეთ კარში. ვუთხარით, მელიციები გიძახიანო. გამოვიდა კამისარი. ვუთხარით: წაგვიყვანე სადაც ინდუსელების საქონელი არის. წაგვიყვანა კამისარმა, მოგვიყვანა იმ კარებზე, სადაც თათრები იმყოფებოდნენ. დაუძახა კომისარმა. გამოცვივდნენ ხუთი თათარი. მე ვკითხე, სადაურები ხართ. მითხრეს, ინდუსელები. რა გვარი ხართ? ყურდო გილ. მართლაც მგლები ხართ, რათიფასი რა ხართ? ძმები ვართო. გახსოვთ, თებერვალში, ბალანთაში რომ მოხვედით, თალანზე, პირველ დღეს ორი ცხვარი წამართვით, წაიყვანეთ. იმას არ დასჯერდით, მეორე დღეს კიდევ ჩამოხვედით მოდეგიდან, ერთი დეკეულა წამართვით, ცხრა შიშაგი. რომ გითხარით, ნუ მიგყავთ, ბოლოს ინანებთ მეთქი, ეხლა როგორ ხართ, თქვენი ბოლო დღეა, სულ უნდა წავასხა თქვენი საქონელი. ოღონდა ჩვენ ნურას გვერჩი, საქონელი შენი ჭირის სანაცვალო იყვესო როგორც თქვენ მოიქეცით, მეც ისე მოვიქცევი, წადით ერთი უღელი ხარი გამორეკეთ, რომლებიც კარგებია. ერთმა თქვა: აქაური პლენიც ამხანაგი იყოვო. ვუთხარი: თქვენ თქვენი გადაიხადეთ, იმას თავისას გადავახდევინებთ. მაშინ შევიდნენ ორი ძმა, აზავრეთიდან ეყიდათ ხარები, ზაოტები, ისინი გამორეკეს. ესენი წაასხითო. ძალიან დიდი თეთრი ხარები იყვნენ, წამოვასხით. სომხები მეუბნებოდნენ: სულ წაასხით, თქვენზე ალალია. გამოვიარეთ ორი ვერსი და გულმა არა ქნა, თათრის ოჯახი დავღუპე მეთქი. ეს ხარები, ხუთი უღელი ხარი ღირს, ესენი როგორ წავასხა მეთქი. ბიძაშვილ გიოს ვუთხარი: ხარები უკან დააბრუნე, სხვა ხარები წავართვათ მეთქი. გიომ ხარები დააბრუნა. მივრეკეთ თათრებთან. თათრები შეშინდნენ, ალბათ საქონელი სულ უნდა წაასხანო. რომ ვუთხარი, ეს ხარები შერეკეთ და სხვა საშუალო ხარები გამორეკეთ მეთქი, ესენი სიხარულით ცას ეწივნენ. საჩქაროზე გამორეკეს კარგი, საშუალო ხარები და მოვიდნენ. ხუთივემ ხელი ჩამომართვეს, მითხრეს: წადი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ვუთხარი: თქვენი უფროსი რათიფაი სად არის. სოფელში არისო. წადით და რათიფას უთხარით, სადაც შენი თქვაო, იქაც სიმონასი თქვიო. სომხებს სულ გაუკვირდათ, ქართველ კაცში რამდენი ხიჟმიდანგი ყოფილაო, კარგები უკან დააბრუნაო. წამოვასხით, მოვრეკეთ სახლში. სოფლელებს სულ გაუკვირდათ, როგორ გაბედეთ, თათრებს ხარები წაართვითო. გავუშვით ბალახზე. კარგად დასუქდნენ. შემდეგში წავასხი. ერთი ხარი საყოლად გავყიდე 4000 მანეთად, მეორე წალვერში საკლავად, 3000 მანეთად. ესე იგი, შვიდას თუმნად. ამ ფულით შემოდგომაზე 5 ხბო ვიყიდეთ. დანარჩენი პურში მოვიხმარეთ. ამის ამწერი სიკო გიორგის ძე მელიქიძეა.

ძმებო და შვილებო, ჩემს თავგადასავალს რომ წაიკითხავთ, კარგად დაუკვირდით ჩემს მოქმედებას, ასეთი მოქმედება ადვილი არ არის. ვინც რამე საგანი დამიშავა, ყველამ უსაჩივროდ გადმიხადეს. ზედგინიძე სოფრონას ღორი მიეყიდა ალათუმნელებისთვის. ღორი გამოქცეოდათ. აქ ორი კაცი მოვიდა, ღორი მიჰყავდათ. ორივე გავრეკე. ღორი არ გავატანე სანამ სოფრომ არჩილის ძე არ მოვიდა, არ მითხრა, მე მივყიდეო. მაშინ წაიყვანეს. ბევრ გაჭირვებულს ვეხმარებოდი, ამდენი აყალ-მაყალი იყო და ერთ კაცს არავის შეუგინებია. თათრები ვინც დამინახავდნენ, აფსუს, ბიჭო, რა დღეში ჩავარდნილხარო. ყველა ჩემს შეხედულებას ემორჩილებოდა და კარგს თვალზე მიყურებდნენ. თათრულიც კარგი ვიცოდი, თარაქმულ თათრულს ვლაპარაკობდი, ჩვენი მეცხვარისაგან ვისწავლე, გოკიელ ოსმანასაგან. ესე იყო ჩემი საქმე, სხვა თავგადასავალი ბევრი მქონდა, აღარ დავწერე. ეს არის გავათავე, აღარ დავწერ სხვა რამეს.

ამას ვწერ 1953 წლის მარტში. ეს ამბავი მოხდა 1918 წელს. 1919 წელს მეორედ შემოვიდა თათარი.

იბეჭდება უცვლელად

სიკო მელიქიძე,

მასალა მოგვაწოდა

ზაზა მელიქიძემ

იბეჭდება უცვლელად

# ქობარეთი



ს. ქობარეთი მდებარეობს ახალციხიდან აღმოსავლეთით 18 კილომეტრის დაცილებით.[1]

სოფელს მთაგორიანი ადგილმდებარეობა უჭირავს. ქობარეთში ცხოვრობს 180 კომლი მოსახლე, მათში 100 კომლი ქართველია, 80 კომლი გამუსლიმანებული ქართველებია, რომლებშიც ქართული თითქმის სრულებით არ იციან.

როგორც სხვა სოფლებშიც, ისე ქობარეთშიც, ხალხი გატაცებით ისმენს ძველ გადმოცემებს, გულდასმით ათვალიერებენ მაღარა-დარანს.

როგორც შევნიშნე, მეზობლებთან ხშირად თათრულად საუბრის გამო, ზოგიერთს ლაპარაკზე ეტყობა არაქართული კილო.

თათრული ენა ყველამ იცის. ერთმანეთში ქართველები ქართულად საუბრობენ. როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც, ვაკვირდებოდი სოფლელების ცხოვრებას, ენას, ერთმანეთში დამოკიდებულებას. ერთი ძველი ხალხური ლექსი ასე იწყება: „პირველად თქმულა ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა“.

დარბაისლობა მესხებს შერჩენილი აქვთ. მე არ შემინიშნავს ის უშვერი ლანძღვა-გინება, რომელიც თბილისის ახლო სოფლებში გაიგონებს კაცი. უფროსებს, მოხუცებს, პატივისცემით მიმართავენ — არჩილ ბიძა, იორდანე ბიძა და სხვა.

ყველა ცდილობდა ჩვენთვის გადმოეცა, რაც იცოდა. რაც შეეძლოთ პატივი გვცეს.

სოფლელებისგან გამოირჩეოდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხშირად მოდიან სხვადასხვა პირები, ჩაიწერენ საინტერესო ცნობებს და მერე თავისად ასაღებენო.

შესაძლებელია, მართლაც დადიან ბნელი პირები, რომლებსაც ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლიათ.

ახალგაზრდა მასწავლებელს მე უმტკიცებდი, ხალხურ გადმოცემებს, ამბებს, ფასი მაშინ აქვს, როდესაც მთქმელის გვარს, სახელს მოვიხსენიებთ და მის კილოს უცვლელად დავიცავ-თქო.

ახალგაზრდა მასწავლებელი მაინც თავისას ამტკიცებდა, უეჭველია, ცუდს გავლენას ახდენს ცენტრიდან შემთხვევით ჩამოსული პირები, რაც მანქანებით ორიოდე პირი ახერხებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიიღოს დიდი თანხა.

მე არ ვიცი, რა თანხები იხარჯება ზეპირსიტყვიერების ჩასაწერად. პირადად მე არასოდეს არ მიმიღია დახმარება, როდესაც რომელიმე დოცენტი ან „ლინგვისტიკის ასპირანტი“ ახერხებს მიიღოს დიდი თანხა „ხალხში მუშაობისათვის“, ასეთი პირები ხელგაშლით ხარჯავენ ფულს.

ზღაპრის, ანდაზების ჩაწერის დროს აძლევენ საჩუქრებს, პირადად მე ბევრჯერ მინახავს ზოგიერთ ინტელიგენტს „დიდკაცური“ თავდაჭერა „სოფლის ხალხში“.

ხშირად სათვალეების შესწორებასაც თავის მიზანი აქვს გავლენის მოსახდენათ.

„ხალხში“ სიარულს ზოგიერთისთვის თავის მიზანი აქვს, დროგამოშვებით მოევლინება სოფელს, ჩაიწერს ზღაპრებს, ანდაზებს, ლექსებს და სხვა.

ერთ სოფელში შესაძლებელია მთელი ტომი შეიკრიბოს ლექსების.

„სოფლის განმანათლებლებმა“ შესაძლებელია რაღაც ახალი რომ აღმოაჩინონ, თავის ფანტაზია ჩაურთონ.

ენის თავისებურება რომ „დაამტკიცონ“, ან აღმოაჩინონ „ახალი არ ნახული“, შეიძლება სიტყვა შეამოკლონ, ხელოვნური ნიშანი გამოიგონონ მათ მიერ „არ ნახული“ სიტყვის გადასაცემათ.

## „ვერანა სოფლები“ ქობარეთის ახლო

ს. ქობარეთიდან, ½ კილომეტრის დაცილებით, აღმოსავლეთით, მდებარეობს ძველი ქობარეთი. ძველ ქობარეთს მშვენიერი მდებარეობა აქვს. სოფელი მთლიანად გაწყვეტილა მტერთან ბრძოლაში, ახალი ქობარეთი შემდეგ გაუშენებიათ სხვადასხვა სოფლებიდან წამოსულ ხალხს.

ძველს და ახალს ქობარეთს შორის დიდი განსხვავებაა. ახალი ქობარეთი უფრო ხრიოკ ადგილზეა გაშენებული. მესხეთში არის მაგალითები, როდესაც სოფელი სტოვებს ლამაზ ბუნებით შემკულ მდებარეობას და ესახლება ხრიოკ, მიუვალ ადგილას. მაგალითად, ძველი სოფლის — მუსხის მდებარეობა უფრო ლამაზია ახალ მუსხზე. სოფ. მუსხის მდებარეობა ამტკიცებს, რომ მცხოვრებლებს უცდიათ მტრისგან შეუმჩნევლად ეცხოვრათ. ასევე ითქმის ქობარეთზედაც.

იქვე, ახლო, ნასოფლარს მშვენიერი ადგილმდებარეობა აქვს, ახალ ქობარეთში უფრო შესაძლებელია სახლების შეუმჩნევლად გაშენება. სოფელში ბევრ ადგილას შევნიშნე, სახლები სრულებით არ სჩანს, მთლიანად მიწაშია გაშენებული.

მიწის ზევით მარტო ბუხრის თავია. ძველი მესხური სოფლის გამოსარკვევათ დიდ მასალას გვაძლევს ძველი ქობარეთი, შესამჩნევად სჩანს, სახლები ძველად მიწის ზევით სცოდნიათ, ბევრ ადგილას ატყვია ნამოსახლარი, კედლების ნაშთი საძირკველი.

ადგილობრივი მცხოვრების არჩილ ჯვარიძის დაკვირვებით ძველ ქობარეთში 200 კომლამდის მცხოვრები უნდა ყოფილიყო. ძველი სოფლების შესწავლის დროს შესაძლებელია ნამოსახლარი გაიშინჯოს და დაწვრილებით შემოწმდეს რაოდენობა.

ძველი ქობარეთის კულტურის მაჩვენებელია საყდრის ნაშთი, რომელიც ჯერჯერობით მთლიანად არ განადგურებულა, იგი ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის იშვიათი ძეგლია (ძველი ქობარეთის საყდარი ბაზილიკური, სამნავიანი ტიპის შენობაა).

პროფ. ჩუბინაშვილს ბაზილიკური ტიპის შენობებისაგან განსხვავებით აწერილი აქვს შენობები, რომელსაც ის „სამეკლესიან ბაზილიკებს“ უწოდებს.

ძველი ქობარეთის საყდარი თავის გარეგანი ფორმით წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. მაგრამ შიგნით ჩვენ ვხედავთ, რომ დამოუკიდებელი, წაგრძელებული მეტ-ნაკლებ სიმაღლის ოთახია. შუალა ოთახი შესამჩნევათ უფრო დიდია და უფრო მაღალია, ვიდრე გვერდის ოთახები. მეორეში გასასვლელი კარია.

პროფ. ჩუბინაშვილი „სამკუთხიან ბაზილიკების“ დასახასიათებლად ჩამოთვლის სხვადასხვა ნიშნებს. ამ განსხვავებით ხასიათდება ძველი ქობარეთის საყდარიც.

ძველი ქობარეთის საყდრის, ბოლნისის საყდრის მსგავსად, სამივე ნავი დახურული უნდა ყოფილიყო ერთი საერთო ორგვერდიანი სახურავით.

ვისაც უნდა დაამტკიცოს განსხვავება „ელინისტურ და აღმოსავლური“ ბაზილიკის ფორმებში ძველი ქობარეთის და ახლო სოფლების ძველ საყდრებში დიდ ძალს მასალას იპოვის ანდრიაწმინდის, წყორძის, მაჭიხეთის, ძველ ქობარეთის და სხვა საყდრებში, რომლებიც, ასე თუ ისე, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

თუ სწორია პროფ. ჩუბინაშვილის „სამეკლესიანი ბაზილიკის“ არსებობა, ამ შემთხვევაში დასამტკიცებლად გამოდგება ძველი ქობარეთის საყდარი.

სირია, მესოპოტომია, პალესტინა, როგორც ცნობილია, IV-V-VI საუკუნეებში მოფენილი იყო არა გუმბათიანი ბაზილიკის ტიპის შენობებით. ამ მხარეებთან, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, მესხეთს ყველაზე მეტი კავშირი ექნებოდა.

მესხეთის მრავალი ძეგლი შესწავლილი არ არის. ძეგლებს, რომელიც მე დავათვალიერე, ბევრს ვერ ვნახულობ ძველი მკვლევარების გამოქვეყნებულ ნაშრომებში.

შესანიშნავია ერთი გარემოება, — თითქმის ყველა დიდ უპირატესობას ანიჭებს გუმბათიან შენობებს, განსაკუთრებული შესხმითი ქება იწერება ჯვრის საყდრის ირგვლივ.

ბაზილიკური ტიპის და გუმბათიანი საყდრების შენობის ტეხნიკა შეთვისებულია წინააზიიდან. განსხვავება შემდეგ ხანებში უეჭველია არის. ორივე ტიპის შენობები ერთი და იგივე მონდომებით უნდა შევისწავლოთ.

ზემოდასახელებული სოფლების საყდრების მშენებლებს შესაძლებელია თავის საცხოვრებელ ბინისთვის არ გამოეყენებინათ ბაზილიკური ტიპის საყდრის ფორმები.



დარნის კედლები

ძველი ქობარეთის შუა ადგილას ჯერ კიდევ დარჩენილია ძველი კულტურის ნაშთი.

მის ირგვლივ საცხოვრებელი ბინების ნანგრევებია. ამ მხრივ მათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საყდრის გვერდით დიდი შენობის საძირკველია დარჩენილი, რომლის დასავლეთის კედლის ნაშთი საყდრის კედლის 1 ½ მეტრით სცილდება.

აღმოსავლეთის მხარეზე საყდრის და დიდი შენობის საძირკველი თითქმის ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს.

რაღაც ერთი კილომეტრის მანძილზე მოსჩანს სხვადასხვა კულტურის მქონე მესხური სოფელი. ძველი სოფელი საყდრით, იქვე, დაცემის ხანაში აგებული სოფელია ახალი ქობარეთი, მიწაში ჩამძვრალი სახლებით.

ახალ ქობარეთში თვალსაჩინოთ განსხვავდება რევოლუციის შემდეგ აშენებული სახლები.

ჩემს მოხსენებით ბარათში ნათქვამი მაქვს, საჭიროა დაიხატოს ძველი და ახალი ქობარეთი, ისტორიული კუთხისთვის.

საყდრის ეზოში სდგას მეგალითური კულტურის ნაშთი ქალქვა.

„ქალქვის“ შესახებ არჩილ ჯვარიძემ გადმომცა შემდეგი: „ლეკების შემოსევის დროს ერთ-ერთ ქალს გამოუცხვია „ლუხუმი“ (წვრილწვრილად გამოაცხობენ ცომს, ერბოში მოსწავენ) და მუშაში მიქონდა.

შეუხედია ლეკებისთვის, რომლებიც მისკენ მოდიოდნენ. ქალმა ღმერთს შეეხვეწა: ღმერთო, აქვე გამაქვავე და იმ ლეკების ხელში ნუ ჩამაგდებთო. ღმერთს ლოცვა შეუსმენია და იქვე გაუქვავებია. ხალხი დღესაც წმინდა ადგილათ თვლის. ქალები როდესაც ახლოს ჩაივლიან, პირჯვარს გადაისახავენ“.

## ძველი ქობარეთის დარანი

საინტერესოა ძველი ქობარეთის დარანი. როგორც ცნობილია, ძველად, დიდი ხნის დროიდან, ცნობილი იყო გამოქვაბულების კეთება. შესაძლებელია მესხეთში ბევრი გამოქვაბულები ამდროისა იყო. როდესაც ჩვენში არ იცოდნენ ქვითკირით შენება. მეგალითური კულტურის ნაშთი შესაძლებელია მიწის ქვევითაც აღმოჩნდეს.

როგორც სხვაგან, ისე ქობარეთშიც არსებობს დარანი, რომელიც ბოლომდე არავის დაუთვალიერებია. გადმოცემით არავის ახსოვს, რომ ვინმე შესულიყო ბოლომდის.

დარანის დასაწყისი მიჩვენა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბაგრატ ჯვარიძემ. დასაწყისი დარანის ქვებით ჩაუქოლია,

საინტერესოა ის გარემოება, რომ დარანის კედლები ნაშენია და ქვის დიდი ფიქლებით არის დახურული. რა თქმა უნდა, სახურავი ზემოდან არ სჩანს. დათვალიერების შემდეგ გამოირკვევა, რა ხანას ეკუთვნის. საეჭვოა, ხომ არ არის მეგალითური კულტურის ნაშთი ქობარეთის დარანი?

არჩილ ჯვარიძის სიტყვით, რომელსაც დარანის ნაწილი დაუთვალიერებია, დარანი ოთახებივითაა, ოთახებს შორის გასასვლელი ვიწროა და დიდის მოხერხებით არის ნაშენი. მანვე ჩამახატვინა დარნის კედლები:

დარანი დახურულია ქვის ფიქლით.
კედლის ქვის ზომა:
სისქე – 30 სანტიმეტრი;
სიგანე – 1 მეტრი, ზოგან – 2-3 მეტრი;
არჩილ ჯვარიძის სიტყვით, ახალ ქობარეთში რამდენიმე ადგილას გამოჩნდა მაღარა.

„ინასარიძე სოლო იტყოდა ხოლმე (ინასარიძე სოლო ეხლაც ცოცხალია, 54 წლის კაცია) – პაპაჩემი იტყოდა, საყდართან რაჟდენას საბძელში (რაჟდენ ინასარიძე ქობარეთის მცხოვრები. ბ.ტ.) კარების კეთების დროს მაღარა გამოჩნდაო. გავყევით შორს, შიგნიდან რაღაცნაირი ჰაერი წამოვიდაო, კინაღამ დავიხრჩენითო და გამოვიქეცითო. წასასვლელი კარი ბევრი იყო. ერთმა ამხანაგმა ჩოხა დატოვა კარებში, რომ შემდეგ გზა ეპოვა, გზა-გზა ინიშნავდა. შიგნით ლამპა არ ენთებოდა და კვარი გვენთოვო. ამასაც ამბობენ, „მაღარაში“ კაცი დაკარგულა, გზა უკან ვერ გამოუგნიაო.

ქობარეთში კიდევ, შიგ გზაში, ამოვიდა მაღარა. ბიჭები შეძვრნენ შიგ, იგიც ეკლესიისკენ მიემართებოდა.

რაჟდენ ინასარიძის სახლთან, გზის პირას, ნახული მაღარა გამოკვეთილია, ვერანა ქობარეთის კი ნაშენი.

ქვედა უბანში წყაროს „ქვეშა წყაროს“ უძახიან. პაპაჩემი ვასილ ჯვარიძე ასე იტყოდა, — ეს წყარო სიზმრით ვიპოვეო. — თხრის დროს ვნახეო, მივყევით, თანდათან მატულობდაო და მაღარაც გამოჩნდა.
შევედით მაღარაში, ვნახეთ, რომ

➔

1 შენიშვნა: საერთოდ მესხეთში მუსულმან ქართველებს თათრებს ეძახიან, მათი ენა თათრულია.

# გაზეთი "ბორჯომი" – 90

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, როცა უკვე არსებული დროება სამარადჟამოდ ისტორიას ბარდება და განვითარების ახალი ეტაპი იმკვიდრებს ადგილს, წარსული ყოველთვის ტკბილ-მწარე მოგონებებად რჩება. ადამიანთა ყოველდღიური მაცნე – გაზეთები კი შთამომავლობას უნახავენ იმ დღეთა რეალურ სახეს, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ ადამიანები იმხანად.

როდესაც ვფურცლავთ საუკუნის წინანდელი, დროჟამისაგან გაყვითლებული და გაცრეცილი პერიოდული პრესის ფურცლებს, ბევრ საინტერესო ფაქტებს წავაწყდებით ხოლმე, რომელნიც თითოეულ ჩვენთაგანში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

დღეს ადამიანებს ინფორმაციის მიღების განუსაზღვრელად დიდი შესაძლებლობები გააჩნია, თუმცა ძველი, მივიწყებულის ხელახლა წარმოჩენა სხვაგვარ ემოციებს მაინც იწვევს.

გაზეთი ის უტყუარი, ცოცხალი მატეანეა, რომელიც რეალურად ასახავს ეპოქალურ მოვლენებს და დიდ სულიერ საზრდოს აწვდის თითოეულ მოაზროვნე ადამიანს.

ასეა ჩვენი საყვარელი გაზეთი „ბორჯომიც“. რომ იტყვიან, იგი ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს და ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობას ასახავს.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებულმა, ქვეყანაში განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა, ძირეულად შეცვალეს ქართული პერიოდული პრესის შინაარსობრივი სახე. გაჩნდა ახალ-ახალი დამოუკიდებელი ჟურნალ-გაზეთები, მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელმა რამდენიმე უკვე არსებულმა გაზეთმა კი წინამორბედის ბაზაზე სრული რეორგანიზაცია განახორციელა და მის სამართალმემკვიდრედაც დარჩა, – არ მოშალა იქამდე არსებული ბაზა და ნაყოფიერი მოღვაწეობა განახორციელა, მათ შორის გაზეთმა „ბორჯომმაც“, რომელიც დღეს თავისი არსებობის 90 წელს ითვლის და ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციებზე მდგარ, მიუკერძოებელ გაზეთს ორათეულ წელზე მეტია რედაქტორობს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და ბორჯომის საპატიო მოქალაქე **ვალერიან ლომიძე**. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ მრავალი წინააღმდეგობების, კატასტროფული ფინანსური პრობლემების მიუხედავად, გაზეთმა დროს და ყველა გამოწვევას გაუძლო და თავის ერთგულ, მრავალნაცად კოლეგებთან – **უშანგი ჯანგირაშვილთან** (რედაქტორის მოადგილე,) **მონიკა ჭანტურიასთან, ნატო მელიქიძესთან, იზა იანვარაშვილთან, ნუგზარ ქარელთან და რუსუდან სხირტლაძესთან** ერთად ბრწყინვალე შემოქმედებითი ჯგუფი შექმნეს და ყოველთვის მაღალაკადემიური დონის ნაღვაწს აწყვდის თავის ერთგულ მკითხველს.

ვინც კი ინფორმირებულია რეგიონებში გამომავალი პერიოდული პრესის თაობაზე, ალბათ დამეთანხმება, რომ გაზეთი „ბორჯომი“ ერთადერთი და გამორჩეულია როგორც აკადემიურობით, მრავალფეროვნებით, სიხშირით, ასევე სტაბილური გამოცემით და ტირაჟით. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს დღევანდელ ეკონომიურად რთულ პირობებში.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტები ინტენსიურად თანამშრომლობენ რესპუბლიკის სხვადასხვა ავტორიტეტულ გაზეთებთანაც კი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ მაღალპროფესიულ დონეზე. ეს გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიმართებაშიც გამოიხატება.

90 წელი ქვეყნის სამსახურში კალმით დგომა და მახვილივით მჭრელი მართალი სიტყვით ბრძოლა, არაა ადვილი, თუნდაც ეგრერიგად მომრავლებული, სენსაციების მოყვარული ყვითელი პრესის გარემოცვაში. მათი ბრძოლა მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურება – ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

და ამ ბრძოლაში ჩვენს ღირსეულ და ნაცად კოლეგებს დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით გვინდა მივულოცოთ ღირსეული იუბილე და გვჯერა საუკუნოვან იუბილეს დამშვიდებულ და დაწყნარებული საქართველოს პირობებში კიდევ უფრო ამაღლებული განწყობით შეხვდებიან.

ავთანდილ ბერიძე

---

რკინის მილი იყო გაკეთებული და წყალი იქიდან გადმოდიოდაო. ეს წყალი დავმალეთ და დღესაც დის ის წყალი ჭობარეთში.

ინასარიძეს ერთნი ესიენთს უძახიან ჭობარეთში. იმათ სახლში მელოგინე ქალი ძნელად რომ გადარჩეს, ასე ამბობენ: „იმას სახლის ქვეშ, მაღარა არის და დაპატრონებულია ეშმაკები, იმიტომ გაუხარელი არიანო.

ზოგი ამბობს, ამ მაღარაში სოფლის ხაზინა არის, მაგი გულითვინ ძნელად ჩერდებიან.

ამის გამო ზოგიერთი ამ სახლიდან გაიკრიფნენ. ჭობარეთში ხშირად ამოდის ქვევრები და თიხის ჭურჭელი დამტვრეული. არის ადგილი, ერთ არშინზე ამოდის, არის ადგილი – ერთ საჟენზე. ბევრმა ამოღებული ჭურჭელი გამოიყენა, მაგალითად, ჩემმა ბიძაშვილმა ბაგრატამ ქვევრი ნახა, ეხლაც ხმარობს, ყველი ჩაედო შიგ.



ერთ ადგილას, იმ ვერანა ჭობარეთთან, ზედგინიძე სერგომ გადააგორა ქვები. ქვებს ქვემოთ ორმო იყო, ერთი კაცის ჩასაჯდომი, წყლით სავსე.

ადრევე მაგ ორმოში მცხოვრებლები ბანაობდნენ, ქარს შველისო. ამჟამადაც ბანაობენ.

## „საყევარი“

(მთის სახელია)

მთის მიჯნაში რამდენიმე ნასოფლარია: „იქ არის თლილი ქვის საყდარი, უზარმაზარი ქვებით არის ნაშენი. საყდარი დაზიანებულია“.

აროსები – „საყდარი იქაც დანგრეულია“ (აროსები გაუქმებული ყანები, ნამოსახლარი ჩანს. არჩ. ჯვარიძე).

„საყევარში, ეკლესიის გალავანში, არის ზღურბლის ქვა, კარის ქუსლის ადგილიც აქვს“,

## „საბილეთი“

ვერანა სოფლის საბილეთის მიჯნაში, ხევში, კლდეში, ბუხრის ოდენა არის გამოჭრილი. იქვე, კლდეზე, არის კაცის ოდენა ჯვარი.

სახლების ქვემოთ არის მაღარიები. ისეთი დიდი მაღარიები არის, თითო მაღარაში ექვსასი სული ცხვარი შევა.

ყველა დათვალიერებული არ არის. ერთ მაღარაში არის ეკლესია. წინა კედელი ამოშენებული აქვს. თათრები „გაურგვინეის“ უძახიან. ქართულად, როგორც სოფლელები ფიქრობენ, უნდა იყოს „გაუხბინევი“. მთელი ამ ადგილის თათრები გაურგვინეის ეძახიან, იქ დღესაც ამოდის გარეული ჭვავი. დღესაც, თითქოს, ყანა დაუთესიათო“.

## „ოჩანეთი“

„ამ ნასოფლარში ეკლესია არ არის“. „არის მზის გული ფერდები. ამ მზისგულის ადგილზე გაკეთებულია ბაქანი (ტერასები. ბ.ტ.).

სოფლელები ამბობენ: ეს ბაქნები ვენახების ადგილები არისო.

დღესაც იქ ვხვდებით მიწაში ხის ჯირკებს, კვარი ამოდის.

ოჩანეთში ეტყობა ყანები, თითქმის მთის წვერამდი ადის, ვერ ნახავთ ადგილს, სადაც არ ეტყობოდეს, რომ ყანა არ ყოფილიყოს“.

ოჩანეთი 15 კილომეტრზეა სამხრეთით ჭობარეთიდან.

## „ხიკიზე“

„მანდ კიდევ არის დანგრეული ეკლესია. ხიკიზეს აქეთ არის წყვილი მუხა. ხალხს სწამს როგორც წმინდა ადგილი, ხელს არ ახლებენ, დაგვიფარავსო. ხშირად სანთელსაც უნთებენ ხოლმე. ქალები იტყვიან: მთაზე რომ ვიყავი, სანთელი არ აუნთე, ავათ გავხდი“. მიდის, სანთელს უნთებს, ამის შემდეგ თითქოს კარგად ხდება. ხეების სწამს, როგორც ქრისტიანებს, ისე მაჰმადიანებსაც“.

„ხიკიზე“ — ჭობარეთიდან სამხრეთით 14 კილომეტრზეა.

## „მაჭიხეთი“

„მაჭიხეთის მიჯნაში ფაგები ბევრია. გათხრის დროს ამოდის კაკლის ნამწვი ხეები.

წისქვილთან და წისქვილის ზევით არის საყდრები, ყანებში საყდარი მე ვნახე პირველად, ძლიერ დაზიანებულია. იმის ქვევით არის აკლდამა. მაჭიხეთის მიჯნაში არის მაღარა, ორი თანა, დიდრონები“.

მაჭიხეთი ჭობარეთიდან 3 კილომეტრზეა დასავლეთით.

„ყველა ამ გავერანებულ ადგილებზე არის სახლები, კალო, საბძელი, საკუჭნაო, უფრო უკეთესად სჩანს, ვინემ ვერანა ჭობარეთში“.

„გარდა ამ ნასოფლარი ადგილებისა, მარტო ჭობარეთის მიჯნაში არის შემდეგი ფაგები:

1.„ბოსტანიები“;

2. „თივები, ყანების ფაგები“;

3.ჩუხური ფაგები (ჩუხური, თათრული სიტყვაა, ოღროჩოღრო ადგილს ნიშნავს).

4.გორა (გორის ფაგები);

5.კორდების ფაგები;

6.ნინოწყაროების ფაგები.

ამ ფაგებში ზოგან 6-15 მოსახლემდის ყოფილან. ხეოთის ზემოთ ყელამდის რომ იაროთ, სულ ნასაყდრებია და მრავალი მაღარიებია. ბევრ ადგილს გამოშენებული ქვის კარები აქვს“.

*(არჩილ ჯვარიძე, 39 წლის, წერა კითხვის მცოდნე. თვითგანვითარებული).*

როგორც ზაქარია ჭიჭინაძეს აღნიშნული აქვს თავის მოგზაურობის დროს შავშეთსა და ერუშეთში, ოსმალებს შიდა ვილაიეთებიდან მოყავდათ საყდრის დასანგრევათ ხალხი. ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა რამენაირად დაეცვა საყდრები. ოსმალები ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ყველაფერი, რაც ხალხს თავის ეროვნებას აგონებდა.

მთავარი, დიდრონი საყდრების დანგრევის შემდეგ, მაინც დარჩა მრავალი საყდარი. გავერანებულ, გადაშენებულ სოფლებში, ტყეში, მთებში გაბნეული საყდრის დანგრევა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი მისით, დროთა განმავლობაში, ინგრეოდა. მლოცველები, ცხადია, დღისით ვერ გამოჩნდებოდნენ. ადგილობრივ მოსახლეობაში ფეხი მოიკიდა ცრუმორწმუნოებამ.

ხალხზე ზეგავლენას ახდენდა ტყეში, ყრუ ადგილას დარჩენილი საყდრის მხატვრობაც.

მაჰმადიან მოსახლეობაში გავრცელდა ხმა, რომ საყდრებში დაპატრონებულია ეშმაკები.

ამ ცრუმორწმუნეობის წყალობით მრავალი ძეგლი გადარჩა.

მოლებსაც უსარგებლიათ ამ შემთხვევით. ისინიც მრავალ ავადმყოფობას დანგრეულ საყდარს მიაწერენ. მაგალითად, თუ ახლო ვინმემ შეიგინა, ან გააბინძურა და სხვა.

ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც სწამთ, ვინც საყდარს დაანგრევს, ან მის ქვებს გამოიყენებს, ის უეჭველად დაიგრიხება“.

ა. ჯვარიძემ გადმომცა ცრუმორწმუნეობის ნიმუში:

*„ერთი ქვრივი დედაკაცი იყო. მას ყავდა ერთი შვილი. ამ დროს, თურმე, ავადმყოფობა არ ყოფილა. ქვრივის შვილი ავათ გამხდარა. დედა წასულა სოლომონ ბრძენთან, რჩევა უთხოვია. სოლომონ ბრძენს, თურმე, გაუცია ბრძანება. შეკრებილა აუარება ფრინველები და ცხოველები. სოლომონ ბრძენი შეეკითხა მათ, რით არი ქვრივის შვილი ავათო. ყველამ უარი განაცხადა ცნობების მიცემაზე. მაშინ სოლომონ ბრძენმა ერთ ფრინველს ძალა დაატანა. იმ ფრინველმა უთხრა, რომ ერთ გატეხილ საყდარში ნახევარკაცი დავინახეთ, ის უნდა იყოს ავადმყოფობის მიზეზიო. სოლომონ ბრძენმა გაგზავნა კაცი და მოაყვანინა ეშმაკი საყდრიდან. ეშმაკმა უთხრა, ვინ იყო მათი უფროსი. სოლომონ ბრძენმა გაგზავნა იგივე ეშმაკი და მოაყვანინა უფროსი. სოლომონ ბრძენმა უთხრა ეშმაკების უფროსს, ამა და ამ ქვრივის შვილი ავად არის და მიზეზი თქვენ ხართო.*

*ეშმაკების უფროსმა დაუძახა თავის ქვეშევრდომებს, ნახეს, რომ ავადმყოფობის მიზეზი იყო ის ნახევარკაცი, რომელიც ფრინველებმა დანგრეულ საყდარში დაინახეს. შემდეგ სოლომონ ბრძენმა კითხა, რა წამალი განკურნავს ავადმყოფს. ეშმაკების უფროსმა ასწავლა სოლომონ ბრძენს, რა დღეზე დაბადებულს რა ავადმყოფობა ექნება და რაა მისი წამალი.*

*სოლომონ ბრძენმა რომ ეშმაკი დანგრეულ საყდარში ამოაჩინა პირველად ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც სწამთ“.*

ეს ცრურწმენაობა რევოლუციის შემდეგ შენელდა. ამის გამო ხშირია შემთხვევა, ტყეში და მთებში გაბნეული საყდრების დანგრევის ან მათზე აყრილი ქვების საშენ მასალად გამოყენებაში.

**ჩაწერილია ბესარიონ ტაბიძის მიერ, 1938 წელს, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, N97**

**მოგვაწოდა გრიგოლ ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა**

***

„Нов. Обозр»,კვირა. 16 დეკემბრის ნომერში შემდეგი წერილია დაბეჭდილი ა.ხახანაშვილისა:

„თქვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ „საქართველოს ეგზარხოსი, მთავარი ეპისკოპოსი პალლადი, შუამდგომლობს უწ. სინოდის წინაშე ორის სამისიონეროს დასაარსებლად კავკასიაში მწვალებლობასთან საბრძოლველადაო. ამის გამო მე მსურს მივიქციო ადგილობრივ სასულიერო მთავრობის ყურადღება ქრისტიანობის სამწუხარო და სავალალო მდგომარეობაზე ძველ მესხეთში. წმ. მოციქულ ანდრიას დროიდგანვე მოეფინა ამ ქვეყანას ნათელი ქრისტეს ღვთიურის სწავლისა, მაგრამ ოსმალთა მფლობელობამ და მტარვალობამ ორის საუკუნის განმავლობაში ძლიერ დააქვეითა და ამ ჟამად მისი მკვიდრნი არც თუ ბარბაროსნი და არც თუ მაჰმადიანნი არიან. ახალციხის ფაშები მუდამ ცდილობდნენ, გაედევნათ, მოესპოთ, ქრისტიანობასთან ერთად განსაკუთრებული ეროვნული თვისებანიც მკვიდრთა და, მართლა უნაყოფოდაც არ ჩაიარა მათმა ცდამ. მას აქეთ, რაც ეს ქვეყანა რუსეთის სამფლობელოდ შეიქმნა ადრიანოპოლში შეკრულს ზავს შემდეგ, ჩვენ ძლიერ ცოტა ვიზრუნეთ ოსმალთა მიერ განავლების მოსასპობად, თუმცა მაჰმადის სარწმუნოება დამკვიდრებული არ არის, პასკევიჩ-ერევნელის მიერ ქურთების მოწვევისა ამ ქვეყანაში დასასახლებლად და მათთვის სხვა-და-სხვა შეღავათის მინიჭების გამო, ბევრმა ისეთმა მესხმაც მიიღო მაჰმადიანობა, რომელიც ოსმალთა მფლობელობის დროსაც-კი ქრისტიანობის მიმდევარი იყო. „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ მთელი თავისი ყურადღება მარტო ოსეთს მიაქცია და არაფერს არა ზრუნავს ზემო და ქვემო ქართლზე.

„ასეა, მაგრამ ძვირფასი ნიშნები საეკკლესიო ხელობისა უტყუარად ჰმოწმობს, რომ მესხეთში ქრისტიანობა ოდესღაც გაბრწყინებული ყოფილა. საფარის მონასტერი, ვარძიისა, აგარის, ტაძარი აწყურისა, ვალესი, ზოგიც სხვა და ბევრი, ჯერედ აღმოუჩენელი მოწმეა იმისი, რომ საქართველოს სამეფოს ამ კუთხესაც თავისი სიდიადე ჰქონია. ჩემის მოგზაურობის დროს დასავლეთ საქართველოში მღვ. ხახუტაშვილთან ერთად, ჩემის თვალით ვნახე, რომ XI საუკუნის ეკკლესია მაჰმადიანებს მეჩეთად გადაუკეთებიათ. მგონი ამაზედ უკეთესი მაგალითი აღარ შეიძლება ჩვენის უზრუნველობისა და ყურადღებობისა ამ ქვეყნის ძვირფასი ნაშთებისადმი, რომელსაც ჩვენ მიერ აღდგენა სჭირია. ის ქვეყანა, სადაც XI-XII საუკუნეებში განათლება იყო დანერგული, რომელმაც აღზარდა შოთა რუსთაველი, შემოქმედი უკვდავ პოემის „ვეფხის ტყაოსნისა“ და სარგის თმოგველი შემთხზველი „დილარგეთიანისა“, ეხლა მიყრუებული, მიჩუმებული კუთხეა საქართველოსი. იქ ქრისტიანობის მაგიერ ეხლა ისლამი არის მკვიდრთა სარწმუნოება, სწავლის მომფენლად მეჩეთებთან დაარსებული მედრესებია და თვით სწავლულებიც მოლლები-ღა არიან, რომელთაც მხოლოდ ორი-სამი სიტყვა იციან ზეპირად არაბულის ყურანიდგან, ფანატიკობენ და სხვა არაფერი“.

*გაზ. „ივერია“, 1890 წ. N269*

## ძველი შეცდომა

### (ბ-ნ ალ. ხახანაშვილის წერილის გამო)

„Нов. Обозр“-ში (N2406) დაბეჭდილი წერილი, გადმოთარგმნილი „ივერიაშიც“ N269 ახალციხის და ახალქალაქის მაზრების (მესხეთი და ჯავახეთი) შესახებ, ბევრს საგანზე დააფიქრებს და ამოუქოთებს კაცს მრავალს აზრებს. ბევრი რამ ამ ნაფიქრში, ერთმანეთს ეჯახება, ბევრი რამ შეესაბამება და ზოგი ისეთი ღონისძიება, რაც ერთხელ ჭეშმარიტ ჭირის წამლად ჰქონებიათ, სულ გამოუყენებელ ღონისძიებად გამოდგება.

ჩვენი ახალგაზრდა მწერალი ბ-ნი ალ. ხახანაშვილი ყურადღებას აქცევს „Нов. Обозр“-ში ერთს ამბავს იმის შესახებ, რომ ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსი შუამდგომლობს „ორი სამისიონეროს დაარსებას მწვალებლებთან (სექტანტების) საბრძოლველათაო“. ბატონი ხახანაშვილი თავისის წერილით აქაურ „სასულიერო მთავრობის ყურადღებას აქცევს ქრისტიანობის სამწუხარო და სავალალო მდგომარეობას ძველ მესხეთში“. შემდეგ ამბობს, რომ კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ მთელი თავისი ყურადღება მარტო ოსეთს მიაქცია და არაფერს არა ზრუნავს ზემო და ქვემო ქართლზეო“.

მთელი აზრი ბ-ნ ხახანაშვილის წერილისა ისეა გამოხატული, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მესხეთისათვისაც საჭიროა სამისსიონეროს დაარსებაო. მაგრამ გარკვევით-კი ვერ გვესმის, რა მოქმედებაში უნდა გამოიხატოს მისსია ძველ ეკკლესიების მეჩეთად გადაკეთებულების, ჩამორთმევით და მღვდლების დანიშვნით მუსულმან სოფლებში თუ ძველ მონასტერში ბერ-მონაზონთა შტატების დაწესებით, ან მაჰმადიან სოფლებში საავადმყოფოების გამართვით ექიმ მღვდლების ზედამხედველობის ქვეშე ანუ ობოლ-ოხერთა თავ-შესაფრის აშენებით, ანუ სკოლების დაფუძნებით თუ სხვითი რითიმე. აი რამდენი რამ არის შეერთებული სიტყვა „მისსიასა და მისსიონერთან“, რამდენი კიდევ მრავალი რამ შეიძლება კაცმა ჩამოსთვალოს, მაგალითათ, სამისსიონერო ჟურნალის ან გაზეთის დაარსება ადგილობრივ ენაზე, წიგნების ბეჭდვა, სახელოსნოების დაწესება სკოლებთან, სკოლები ადგილობრივ ენაზე ყველა საგნების სწავლებით და სხვანი და სხვანი.

ჩვენ ქართველებში ალალბედად შევხვდებით ლაპარაკს და სამისსიონერო საქმედაც მარტო ისა ჰგონიათ, აი მღვდელი დანიშნეს, კაი ჯამაგირი მისცეს, ან კიდევ, ამა და ამ მღვდელმა ერთი ურია ან ოსი მონათლაო. ბ-ნ ხახანაშვილს, რასაკვირველია, ამ უმეცრებაში ვინ გარევს, მაგრამ რაკი ამ სამისსიონერო საგანს შეეხო და მოუვლია კიდეც მესხეთი, უფრო გამორკვეული აზრი გვეჭირებოდა ამისთანა დროს, როდესაც მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ეხლანდელი ეგზარხოსი მეცადინეობს საქართველოს ეკკლესიის და მის მსახურთა მოქმედებაში მომატებულის სიცოცხლის შემოტანასა.

უნდა აღვიაროთ, რომ „Нов. Обозр“ -ის ამბავი სამის-



სიონეროს დაწესებაზე მწვალებლობასთან ბრძოლისთვის და არა მაჰმადიანობასთან ბრძოლისთვის შორს მხედველს, საქმის და ადგილობრივ გარემოების მცოდნეს შეეძლო. ამიტომ ბ-ნ ხახანაშვილის საყვედური უსაფუძვლოა.

ბრძოლა მაჰმადიანობასთან მთელმა მისსიონერობის ისტორიამ უარჰყო. ჩვენ არ შეუდგებით მრავალ წვრილ და მსხვილ მოლაპარაკეთა მსგავსად ამის მიზეზების გამოკვლევასა; შორს წაგვიყვანს. ისტორიულ ფაქტებს დავაკვირდეთ. დღევანდლამდე ყველგან – აზიაში, აფრიკაში და თვით ავსტრალიის კუნძულებზე ქრისტიანობის გავრცელებით თავი იჩინეს კათოლიკე სამღვდელოებამ. ვერც ინგლისის, ვერც ამერიკის და ევროპის სხვა-და-სხვა პროტესტანტ სამღვდელოებამ ვერ მოახერხა იმოდენა ხალხის გაქრისტიანება, როგორც კათოლიკე სამღვდელოებამ. ამისთანა მოხერხებულს მისსიონერობას თავი უნდა დაენებებინა მაჰმადიანთა შორის ქრისტიანობის ქადაგებისათვის არამც თუ მუსულმან სახელმწიფოებში, არამედ ინდოეთშიაც, სადაც მაჰმადიანობას მოსარჩლე და მფარველი არა ჰყავს. თვით საფრანგეთის საბძანებელ ალჟირშიაც მისსიონერების საქმეში დახელოვნებულმა საფრანგეთის მისსიონერებმა და მათთან იეზუიტებმა ვერა გაიგეს-რა. მათი ყურადღება მიქცეული იყო წარმართ-კერპთ-მსახურებაზე ჩინეთში, ინდოეთში, აფრიკის და ავსტრალიის ველურებზე, ანუ არა კათოლიკე ქრისტიანებზე; სპარსეთში აისორ ნესტორიანებზე, ოსმალეთში კიდევ აისორებზე, სომხებზე, ბერძნებზე, ბოლგარებზე; ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში სხვა-და-სხვა პროტესტანტ მრევლზე.

იმასვე ვხედავთ აღმოსავლეთ მართლმადიდებელ ეკკლესიის მისსიაში, საკუთრად რუსეთისაში: რუსეთის მისიონერობამ ვერაფერი ვერ მოიმოქმედა მაჰმადიანებზე, ვერც ყაზანში ძველ სამეფოში, ვერც ყირიმში, ვერც სამხრეთ ნაწილებში, საცა მაჰმადიანობაა. მისსიონერობამ თუ გაიმარჯვა ისევ წარმართ სიბირის ხალხებში და რასკოლნიკებში. ამისთანა ისტორიული გამოცდილება რომ წინ ედვას კაცსა, განა შეიძლება ამაო შრომად არ ჩასთვალოს მისსიონერობა მაჰმადიანობასთან ბრძოლისთვის? რამოდენა ხარჯი, ჯაფა, დრო, სამღვდელოთა სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩაგდება უნდა მოჰყვეს. უეჭველად ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში შორს-მჭრვეტელ მოსაქმეს, რომელსაც უთხოვნია რასკოლნიკებში მისსიონერობის დაფუძნება.

დავხედოთ ახლა ჩვენს აქაურობას და მოვიგონოთ რა გაკეთებულა.

მისსიონერობის შესახებ სულ პირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას სრულიად უყურადღებოდ არ დაუგდია ახალციხის და ახალქალაქის მხარე, როგორც ისაყვედურება ბ. ხახანაშვილი, 1863 წლიდამ ახალციხე-ახალქალაქისკენ სკოლები გამართა. ეს სკოლები დიდხანს შეინახა, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ვერ იხეირა. მუსულმან სოფლებს ამ სკოლებისაგან სარგებლობა ვერ დაეტყო და ბოლოს დაიკეტა, რადგან ხარჯი უბრალოდ მიდიოდა. აი რა შეიძლება ქრისტ. აღმადგენელ საზოგადოების გამოსარჩლებისათვის ითქვას: აქაც გამოცდილებამ თვალნათლად დაგვიმტკიცა, რომ მუსულმანობასთან ბრძოლა არ შეიძლება და ამ საქმეს თავი უნდა დავანებოთ.

ყოველი ჩვენგანი, ვისაც ჩვენი ქვეყნის და მისი ხალხის სიკეთე სურს, ყველა იმას ფიქრობს, რომ უნდა დავიახლოვოთ ჩვენი მოძმე მუსულმანებიო. ეს დაახლოების აზრი ყველასათვის ძვირფასია, მაგრამ ძველი, შემცდარი აზრია, ვისაც ჰგონია, რომ დაახლეობის ღონისძიება სარწმუნოებააო. ამ სტრიქონების დამწერიც ყოფილა ახალციხისკენ და ბათუმის მხარეშიაც, უნახავს იქაური ხალხის ყოფაცხოვრება და გაკვირვებულა იმ მუსულმანების სიახლოვეს ჩვენზე, რომელსაც თვალითა ხედავს კაცი. ბათუმის მხარეში უფრო მომეტებულს, ვიდრე ახალციხისაში. ჩვეულება, ენა იგივეა, რაც გურიაში, ანუ, საზოგადოდ, იმერეთში. ახალციხის მხარეში განსხვავება ქართველთან დიდია. ბ-ნი ხახანაშვილი მიაწერს ამ ამბავს იმ გარემოებას, რომ ახალციხის შემოერთების დროს აზრუმის მხრიდამ გადმოსახლებულებს, მაგალითად ქურთებს, უფრო მომეტებული შეღავათი ჰქონდათ მიცემული, ვიდრე მკვიდრს ხალხსა. დიაღ, ამისი მიზეზი ბევრი იყო გლეხების მამულებისა, ძველ თავადაზნაურთა (ბეგების) წოდების საქმე; და სხვა ამ გვარები. ამათ შორის ერთიც იყო დაშორების მიზეზი, რომელიც დღეს უნდა მოვიგონოთ.

რუსის კანონი ნებას არავის არ აძლევს ძალით მუსულმანი გააქრისტიანოს, დღევანდლამდე ეს კანონი თან და თან უფრო მკვიდრდება. ეს კარგად იცის ჩვენმა მუსულმანმა ხალხმა ახალციხის მხარესაც. ყოველ მუსულმანს ნება აქვს თავისი სალოცავი ადგილი რამე იქონიოს, ცოლშვილი თავის რჯულზე ჰყვანდეს. ერთი სიტყვით, არავის არ შეუძლიან არც ქრისტიან მღვდელს, არც ქრისტიან მთავრობას, ძალა იხმაროს და მონათლოს ქრისტიანად, ვინმემ რომ გაბედოს და ძალით მონათლოს, ძალით მონათლულს ისევ თავის რჯულზე შეუძლია გადავიდეს და მამნათლელი პასუხის გებაში მიეცემა და ისჯება. ეს კანონი, როგორც ვსთქვით, მუსულმანმა ჩვენმა ძმებმა კარგად იციან ახალციხისკენაც, ახალქალაქისკენაც და ბათუმის სანჯახშიაც, მაგრამ მაინც და მაინც შიშობენ, შორს გვიყურებენ და ეფიქრებათ, არ იქნას და ხელი არ ჩაგვავლონ, ძალათ არ გაგვაქრისტიანონო.

რა მიზეზია ამისი? ის მიზეზია, რომ სულ პირველად ისევ ჩვენი ქართველები, დაბალ ხარისხის მოხელე-ჩინოვნიკები, უაზროდ იქცეოდნენ, როდესაც ახალციხე შემოუერთდა რუსეთსა. ეს ვაჟბატონები დღევანდლამდე ისე ირჯებოდნენ, როგორც არ შეჰფერის გონიერს კაცსა. შეხვდებოდა, ვთქვათ, მუსულმანი გლეხი ქართულის გვარისა და ქართულად მოლაპარაკეს.

– რა გვარი ხარ? ჰკითხავდა.

– კოპაძე ალია, შენი ჭირიმე, უპასუხებდა გლეხი.

– კოპაძე, ბიჭო, ქართველი ყოფილხარ.

– არა, შენ გენაცვალე, პაპის პაპა ყოფილა, მე ქართველი არა ვარ, ეუბნებოდა გლეხი.

– როგორ, ქართველი არა ხარ? გვარი ქართველისა გაქვს, ქართველი ხარ, ქართველი. ქართულსაც კარგად ლაპარაკობ; რა გაკლია ქართველობას. მოდი შვილო, მოინათლე და გათავდა საქმე.

– არა, შენ გენაცვალე. რა რჯულზედაც დავბადებულვარ, იმ რჯულზე უნდა მოვკვდე, მამა-პაპა მუსულმანი ყოფილა, მეც იმათ რჯულზედ უნდა დავრჩე.

– ბრიყვი ხარ, არა გესმის-რა. საჩუქარს მიიღებ, მო-



ინათლე. ეუბნებოდა ცეტი წვრილფეხა მოხელე.

გამოდიოდა დაღონებული მუსულმანი გლეხი, შესჩიოდა თავის მეზობლებს და ერთი ვაი ვაგლახი შეუდგებოდათ, უსწავლელი, გაუგებარი სოფლის ხალხი ათასგვარად ატრიალებდა ამ ლაპარაკსა და ბოლოს იქამდინ მიიყვანა, რომ საზოგადო აზრი დაიბადა მთელს ახალციხის მაზრაში, ძველი ქართული გვარი აღარავინ არ დაირქვას; ქართულ ლაპარაკში თავს ნუ იჩენს და ეცადოს ოსმალურად ილაპარაკოს შინაც და გარეთაც; თუ ვინმემ ჰკითხოს ქართველობის ჩამომავლობა, უარი სთქვას, იმიტომ, რომ ქართველი ქრისტიანსა ნიშნავს! ვინც ასე არ მოიქცევა, ჩააცივდებიან ხალხსა და ბოლოს ძალით დანათლავდნენ ქრისტიანათაო, ამისთანა ხმებმა ხალხი დააშინა და უკანასკნელ ომის წინად ახალციხის მაზრის რამოდენიმე სოფლიდამ ხალხი გადასახლდა ოსმალეთში.

ბათუმი შემოგვიერთდა ახალციხეს ორმოც-და-ათ წელს შემდეგ; დიდმა ხანმა გაიარა და ამიტომ ის შეცდომა, რაც ახალციხეში მოხდა, უფრო ნაკლებად ენახათ ბათუმის სანჯახში. ხალხი უფრო მიხვედრილი იყო, რომ სარწმუნოების მხრით შიში არ უნდა ჰქონოდა, წვრილფეხა მოხელე ჩინოვნიკები, ქართველები, უფრო გონივრულად ირჯებოდნენ, ვიდრე ახალციხისაში. ყველა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც და მაინც სარწმუნოების შიში დიდი იყო. და ასე ფიქრობდნენ, რაკი წინად ჩვენ ქართველები (ესე ეძახიან ქრისტიანს) ვყოფილვართ, აწი გვეტყვიან, მოინათლეთო, და ამიტომ აღარ იქნება ჩვენი აქანა გაჩერებაო“. სხვა მიზეზებს შორის ერთი უმთავრესი მიზეზი გადასახლებისა ეს იყო. დიდძალი ხალხი აიყარა ქობულეთიდამ, ქვედა-აჭარიდამ, მაჭახელადამ, მურღულიდამ და სხვა ადგილებიდან.

დღეს ხალხი დამშვიდდა, ის შიში ცოტათი დაწყნარდა და ამისთანა დროს მწერლობაში ვხედავთ ხალხის შემაშინებელ აზრსა?! ეს მეტად სამწუხაროა.

ჩვენს გაზეთებს კითხულობენ, წაკითხულის აზრი ხალხში იფინება მითქმა-მოთქმით, ათას გვარის დამატებით. ქართულს გაზეთს თვით კითხულობენ და რა უნდა იფიქრონ ჩვენ მწერლობაზე? ზოგან ასე ჰგონიათ, რასაც გაზეთში სწერენ, მთავრობაც, მმართველობაც ამას ფიქრობსო. ამიტომ ამან დაგვაწერინა ეს წერილი, რომ ცრუ აზრი არ ჰქონდეთ ჩვენ ლაპარაკზე და ჩვენ სურვილზე. დარწმუნებული ვართ, არც „Новое Обозрение“, არც „ივერია“, ბ. ხახანაშვილის წერილის თანახმა არ არის, და თუ დაბეჭდეს, ისე დაბეჭდეს, როგორც ერთი კაცის აზრი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ორსავე გაზეთს ერთგვარადა სურთ, რომ ყოველ კაცს სრული თავისუფლება ჰქონდეს, იმ რჯულზე იყოს, რა რჯულზედაც ნებავს და მუსულმანობასთან ბრძოლას ტყვილა-უბრალო ბრძოლად სთვლის.

რაც შეეხება იმას, ბ. ხახანაშვილი რომ ამბობს, ძველი ეკკლესიები ინგრევა, ან ჯამეთ გადაუქცევიადო, ამაზე იმას ვიტყვით, რომ

➔

საცა ძველი საყდარი ჯამედ გადაუქცევიად, დღევანდლამდე ხელ-უხლებლად დარჩენილა; (მაგალითად ოსმალეთში პარხალს, ახალციხესთან წახანს), რომელი საყდარიც-კი ჯამედ არ შეცვლილა (მაგალითად აწყურს), იქ დანგრეულა, არქეოლოგიურის განზრახვით შენახვა ეკლესიებისა სულ სხვა საგანია და არა მისსიონრობისა.

მაშ თავი უნდა დავანებოთ იმ ძველ გზას, ძველ მოსაზრებას, რომელზედაც ისტორიას თავისი განაჩენი დაუდვია, ნუღარ შევაშფოთებთ ჩვენს მუსულმანს ძმებსა. რჯულზე, სარწმუნოებაზე ნუღარას ვლაპარაკობთ. არც მმართველობა ლაპარაკობს ამაზე, არც ქრისტიანე სასულიერო მთავრობა და ჩვენ ლაპარაკს პრაქტიკული მნიშვნელობა არცა აქვს და სარგებლობას არ მოგვცემს.

ამაზე გვეტყვიან, მართალია ეგ მოსაზრებაო, მაგრამ ჩვენის ძმების დაახლოვება მაინც უნდა გვსურდესო. დეე, ისევ მუსულმანები იყვნენ, მაგრამ მათ ბევრი გაჭირვება აქვთ, ბევრს გაჭირვებას ხედვენ; ამაში ხომ უნდა დავეხმაროთო. ეს ხომ რჯულის საქმე არ არის!

ეგ, დიახ, სხვა სიტყვაა. თუ გული შეგტკივა, მართლა მათ სიკეთე უნდა შევმატოთ, ბევრი საჭიროება აქვთ, ბევრი რამ დღევანდლამდე უყურადღებოდ არის დატოვებული. აი ამ საჭირო საგნებზე უნდა ლაპარაკი და მოსაზრება, ვრცლად გასინჯვა და მეცადინეობა, რომ საზოგადოებამაც იცოდეს, რას მიაპყროს ყურადღება და შეძლებისა დაგვარად მთავრობასაც და მმართველობასაც აცოდინოს.

**ჩვენის ღონისძიების დაგვარად აღვნიშნოთ ის საჭირო საგნები:**

1. საჭიროა ადგილ-მამულის საქმეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ბოლო მოეღოს. დღევანდლამდე მამულები ამ მაზრებში სოფლის გლეხებს სადაოდა აქვთ, ზოგი ბეგებთან, ზოგი გადმოსახლებულ მოვაჭრე მყიდველებთან, რომელთაც პასკევიჩის დროიდგანვე ხელში ჩაუგდიათ უკანონოდ და ბატონობენ. ბათუმის სანჯახში ამ გვარი არეულ დარეულობა მარტო ქალაქ ბათუმშია. დანარჩენ ადგილებში შეუცვლელად დარჩა ძველი მფლობელობა და კარგადაც მოხდა, ბევრჯელ გაზეთებში ლაპარაკი არის ხოლმე, რომ საჭიროა ბათუმის სანჯახში (ესე იგი ბათუმის და ართვინის ოკრუგში) ადგილ-მამულის მფლობელობის საქმე შეიცვალოსო. ეს სურვილი ეკუთვნის ართვინის და არტანუჯის მედუქნე ვაჭარ აზრუმელებსა, რომელთაც უნდათ ხელში ჩაიგდონ ორ გროშად გლეხების მამულები; ეჩიჩინებიან, ეხლავე მამულების გაყიდვასა და ოსმალოში გადასახლებას. მადლობა ღმერთს, რომ მათ სურვილს არავინ ყურს არ უგდებს. რაც შეეხება ქალაქ ბათუმს, იქ საკვირველი ამბები მოხდა. თუმცა მმართველობამ არ შესცვალა ძველი წესი, მამულები ვინ გინდა, არ დაიტაცა და ამის გამო ისეთი არეულობა მოხდა, რომ ვგონებთ ასი წელიწადი მოუნდეს დავების გადაწყვეტასა. რაც უნდა იყოს, ძველი კანონის შეუცვლელობა ბათუმს გარეთ მთელს სანჯახის სოფლებს არაფერს ზიანს არ აძლევს და გლეხები დაიცვა მშვიდობიან მდგომარეობაში. როგორც ვთქვით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრას ეჭირება მიშველება.

2. ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში ძველ თავად-აზნაურთა ჩამომავლობის განხილვა დიდი ხანია გაათავა მმართველობის კომისიამ, მხოლოდ აქამდე მათი უფლება არ დამტკიცებულა, ბათუმის სანჯახში არც-კი დაწყებულა ეს საქმე. იქაც მრავალნი არიან თავად-აზნაურთა ჩამომავალნი, რომელთაც უნდა მიენიჭოს იგივე უფლება, როგორიც ეკუთვნისთ. ამ გარემოებას, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების და აგრეთვე ბათუმის სანჯახის თავად-აზნაურობას უფლება მიენიჭოს, ადგილობრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა მცირე მნიშვნელობა მიაწერონ თავად-აზნაურთა წოდებას საქართველოში, მას ის ფასი აქვს, რომ ქვეყნის ავისა და კარგის გაგებით, სწავლით, გამოცდილებით, უფრო წინა სდგას სხვა წოდებათა შორის. მმართველეობის განკარგულების აზრს ის უფრო მალე მიხვდება და ამ მხრით მმართველობას კეთილ-განზრახვის ასრულებაში სამსახურს უწევს; აგრეთვე საქვეყნო საჭიროებას მთავრობის და მმართველობის წინაშე ადგენს და შუამდგომლობს კანონიერს დაკმაყოფილებას. ამ ჟამად მთელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში და ბათუმის



სანჯახში კანონის ამხსნელი, ცხოვრების ავ-კარგიანობის ჩამგონებელი მედუქნე ვაჭრები არიან, ჩვენებურს უსწავლელ ვაჟებს განა შეუძლიანთ იმდენი სიმართლით მიხვედრა და საქმის გაგება, როგორც ჩვენ თავად-აზნაურობას, რომელსაც მარტო ვაჭრული ანგარიში და სიხარბე კი არ ალაპარაკებს, ადამიანური, პატიოსნური აზრის გაგებაცა აქვთ მედუქნეებზე მაინც მომეტებული, რამდენ სარგებლობას მოუტანდა სამცხე-საჯავახოს და ბათუმის სანჯახს იქაურ თავად-აზნაურთაც რომ მიეცეს ისეთივე უფლება, როგორც ქუთაისისა და ტფილისის სხვა მაზრებსა აქვთ, ესე იგი, ნება ჰქონდეთ თავად-აზნაურთა კრებისა, მაზრის მარშლების ამორჩევისა და საგუბერნიო კრებაში დასწრებისა და მათთან მუშაობისა. ქართლ-კახეთ-იმერეთის თავადაზნაურთა ყრილობაში, აზრით და მხედველობით დაახლოვდებოდნენ, სწავლა განათლების საქმეს მომეტებულად შეიტყობდნენ და მიჰყვებოდნენ კეთილ მაგალითებსა, მოქალაქეობრიობა ფეხს წინ წარსდგავდა ჯერ გარეგანის მხრითა და მერე შინაგანის მხრითაცა. დღევანდლამდე-კი იქაური თავად-აზნაურობა მოწყვეტილია ჩვენ თავად-აზნაურობას და დაახლოებულია მედუქნე ვაჭრებთანა, რომელთაგან ვერაფერს ვერ სწავლობს.

3. ბათუმისა და ახალციხე-ახალქალაქის მუსულმან თავად-აზნაურთა შვილებს გზა გაუხსნან და ყოველ გვარი შეღავათი მისცენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის ყოველ გვარ სასწავლებლებში და პანსიონებში. დღევანდლამდე ძალიან ცოტა მოსწავლეა ამ ადგილებიდამ და არც ერთი მხარე არ არის ისე მოკლებული ნასწავლ ახალგაზრდობას, როგორც ეს მაზრები.

4. გლეხებისათვის ქართულს ენაზე სასოფლო სკოლების გამართვა და მასთან უეჭველად რჯულის მასწავლებელი ხოჯა დიდად დაეხმარება გლეხობას გონების გამოფხიზლებასა და ჩვენთან დაახლოებაში. ამისთანა სკოლებში კარგი მომზადებული ქართულად მოლაპარაკე და მცოდნე მასწავლებელია საჭირო და არა ყაზანის თათარი, რომელმაც სოფლის გლეხობის გასაგონი ქართული ენა არ იცის, ვერც არას შეასწავლის ყმაწვილებსა და ვერც სოფლისათვის იქნება გამოსადეგი.

5. ახალციხე-ახალქალაქის მუსულმანი სამღვდელოება, ხოჯები და მოლები, ექვემდებარებიან კავკასის აქეთა მუფთს, ბათომის სანჯახს საკუთარი მუფთი ჰყავს, რომელსაც ბათუმში აქვს ბინა. საქართველოს მუსულმანთ მაზრები ჩვენის აზრით უკეთესი იქნებოდა ბათუმის მუფთს ექვემდებარებოდეს და ამ გვარად ქართველ მუსულმანობას ცალკე მიეცეს შინაგანი და გარეგანი მართვა. ეს მით არის სასურველი, რომ ეხლა საქმეთა სიმრავლისა გამო ტფილისის მუფთი და მასთან დაწესებული მეჯლისი ვერ უძლვება, ბათუმის მეჯლისი უფრო დაახლოებული იქნებოდა თავის მრევლთან და მის საჭიროებას უფრო ადვილად დააკმაყოფილებდა.

6. ამ გვარად შეერთებულს მაზრებისთვის სასწავლებელი იქნებოდა საჭირო, როგორც დღეს ტფილისში არის ხოჯების სასწავლებლად გამართული. იგი მოამზადებდა უფრო შეგნებულ და რჯულის მცოდნე კაცებს, ვიდრე დღეს არიან. ამისთანა სასწავლებელში უეჭველად საჭირო იქნებოდა ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის სწავლება, რომ ხოჯებმა შეიძლონ ხალხის გასაგონის ენით ელაპარაკონ და აუხსნან რჯულის საქმე. დღეს მოუმზადებელი ხოჯები ოსმალურ ენაზე უხსნიან რჯულის საქმესა, რომელიც არ ეყურება ხალხს, მეორეს მხრით ოსმალური ენის შემოღება მუსულმან ჩვენ ხალხში, ვისთვის რა საჭიროებაა? ხალხის გასაგონ ენის უარ-ყოფამ ის შემოიტანა, რომ არას დროს კავკასიის მუსულმან ხალხებში, ქართველებში, ლეკებში, ჩერქეზებში, ჩაჩნებში, ყაბარდოელებში და სხვა არა თურქ ხალხებში ოსმალურს ენას ისეთი წარმატება არ ჰქონია, როგორც ეხლა და ეხლა ვხედავთ, ეს შედეგი ჰქონდა დედა გასაგებ ენის უარ-ყოფას, რომელიც შემოიტანეს ჩვენში ოსმალეთში ნასწავლ ხოჯებმა. ბათუმში რომ სასწავლებელი გაიმართოს ქართულის ენისა, ლიტერატურის და ისტორიის სწავლებით, ხოჯებს შეუძლიათ ადვილ გასაგონი ენით ასწავლონ და აუხსნან. ხალხიც ადვილად მიხვდება ნათქვამსა. უკეთესი წესით და რიგით სწავლება რჯულისა, ყურანის რიგიანი თარგმნა, სხვა-და-სხვა საზოგადო სასწავლო საგნების შესწავლა მაღლა დააყენებს ნასწავლ ხოჯებს ხალხის თვალშიაც, პატივისცემა იქნება და ავისა და კარგის გარჩევაც ეცოდინება ვიდრე ეხლანდელ ხოჯებსა.

აი რა-და-რა განსაკუთრებული საჭიროება აქვთ ჩვენ მუსულმან ძმებსა, ამის გარდა, რაც ჩვენ გვეჭირვება, დღეს ამ მოხსენებულ საჭიროებას მეტის-მეტი ყურადღება ეჭირვება და ჩვენმა საზოგადოებამ ეს უნდა იცოდეს, დაუფიქრდეს, გამოარკვიოს და დაეხმაროს მის დაკმაყოფილებასა. დროა, ამას მიუხვდეთ და თავი დავანებოთ ძველ ტყუილ უბრალო ლაპარაკსა, ისევე სჯობს ნამდვილ პრაქტიკულ მოსაზრებას დავადგეთ, რომელიც კანონიერის გზით აღსრულებულია, სასარგებლოა ჩვენის ძმებისათვის და მათთან ჩვენის დაახლოვებისთვისაც. ნუღარას ვლაპარაკობთ ისეთს, რაც სარწმუნოებას შეეხება. პატივი ვცეთ ყველა რჯულს ერთგვარად.

***გაზეთი „ივერია“, N2, 1891 წელი***

## სიტყვის წიაღი

# კაჭიჭა

ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ სიტყვათა მარაგი არც ისე დიდია. ამ მხრივ ყოველ ლექსემას სჭირდება ზრუნვა და მოფრთხილება. უაღრესად საჭიროა მათი გენეზისის დადგენა, კულტურულ ფორმად დაღვინებისა და ჩამოყალიბების ისტორიის გარკვევა. ყოველივე ამას ეროვნულ–კულტურული ღირებულება აქვს.

ნაირფეროვანია საქართველოს საღვინე ვაზის კულტურული ჯიშები. ,,კოლხეთის კერის ტიპობრივი წარმომადგენელია“ შავყურძნიანი საღვინე ვენახი **კაჭიჭი** (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 5, 1980, 446). უმეტესად იგი გვხვდება გურია–სამეგრელოსა და აფხაზეთში. მისგან მომჟავო არომატული შავი ღვინო დგება. ყურძნის ჭამის დროს ადამიანს სპეციფიკური სიმჟავის გამო ბაგეები სასიამოვნოდ ეწვის. ამგვარი ეფექტი არ აქვს არც ერთი სახეობის ყურძენს. ვენახის ეგ სახეობა იტანს და კარგად უძლებს შავი ზღვისპირეთის ამინდის კაპრიზებს (სწრაფი გადასვლა პაპანაქებიდან დაბალ ტემპერატურაზე). იგი არც დიდ შრომა-გარჯას მოითხოვს. მწერალი **ადამ ბოლდუელი** მას გურიის ერთგვარ სიმბოლოდაც კი წარმოგვიდგენს (ბოლდუელი ადამ, კეისარი, თბ., 2007, 165, 281, 319).

ერთობ საინტერესოა ამ სიტყვის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ამბავი. აღნაგობით იგი ძალიანა ჰგავს კარგად ცნობილ და გავრცელებულ რამდენიმე სიტყვას. საძიებელი ცნების კვლევა სწორედ ამ სიტყვების მონაცემთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს ფორმებია: **რქაწითელი, ჭიქა, ქარახსი, კაჭიჭი.** ჩვენი აზრით, ყოველ ამ ფორმაში ზოგჯერ აშკარად, ზოგან ფარულად იკითხება **რქა.**

კომპოზიტი **,,რქაწითელი“** თავის თავზე მჭევრმეტყველურად ღაღადებს. ამ ჯიშის ვაზს აქვს წითელი ყუნწი, ანუ რქა. რთული სიტყვის აგებისას გამოყენებულია ჩვეულებრივი სიტყვაწარმოებითი წესი: ჯერ საგანია ნახსენები (რქა), შემდეგ – მისი თვისება. ამ ტიპის წარმოება მეტად გავრცელებულია *(მამა ბატონი, ასლან ბეგი...).* თუ რომელიმე უცხოური ენიდან არ მოდის, მაშინ ამ ტიპში შემოვა ლექსემა **ქარახსი,** იგივე **,,რქა–რახსი“**. აქაც წინ დგას საგანი, მისი განმარტება-დაზუსტება კი უკანა პლანზე გადადის.

სწორედ ამ ტიპის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ კაჭიჭი, რომელშიც ,,**კა**“, როგორცა ჩანს, ნაშთია სიტყვისა ,,რქა“.

მაშ, ასე: ,,**რქა-ჭიჭი**“, ოღონდ რასა ნიშნავს **,,ჭიჭი„?**

ჯერ კიდევ 1970–იან წლებში პროფესორმა **გ. როგავამ** გაარკვია გენეზისი ლექსემისა **,,ჭიქა“**. მისი მოსაზრებით, **,,ჭიქა შედგება ორი ნაწილისაგან – ,,ჭი“ და ,,ქა“. ,,ჭი“ მეგრულში ახლაც ნიშნავს პატარას (,,ჭიჭე“). სამაგიეროდ უცნობია ,,ქა“, მაგრამ გვაქვს ,,რქა“, რომელიც, როგორცა ჩანს, უწინ იმავე ყანწის მნიშვნელობით იხმარებოდა. მართლაც, რქის სასმისები უნდა ყოფილიყო გამოყენებული იმ უძველეს პერიოდში, როცა მინის ან თიხის ჭიქები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ანდა რქის სასმისებთან შედარებით არაპრაქტიკული იყო“** *(როგავა გიორგი, ჭიქა, გაზ. ,,სახალხო განათლება“, 1974, 20 სექტემბერი, გვ. IV).*

ამრიგად, ჭიქა გამოდის შენაერთი ორი სიტყვისა **ჭიჭე** და **რქა.**

აქ უკვე წარმოება-თხზვის სხვა მექანიზმია მომარჯვებული: ჯერ გამოყენებულია განსაზღვრება, მერე – საზღვრული: პატარა რქა. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ რქაწითელში ორივე სიტყვა ქართულია, ჭიქა ლექსემაში **ჭიჭე** მეგრულია.

ენობრივი თვალთახედვით, კაჭიჭი სწორედ ამგვარად ნაწარმოებია. მეორე სიტყვა აქაც მეგრულია: **ჭიჭე: რქა-ჭიჭე რქა-ჭიჭი, ქა-ჭიჭი,→კაჭიჭი.**

ამრიგად, თუ ერთ შემთხვევაში გვეძლევა ჭიჭე-რქა (ჭიქა), მეორეში რიგი შებრუნებულია: რქა-ჭიჭე//რქა-ჭიჭი (კაჭიჭი).

თუ პროფესორ გ.როგავას მოსაზრება ჭიქა ლექსემთან დაკავშირებით მისაღებია, მაშინ მისაღები უნდა იყოს ჩვენი დაკვირვებაც: კაჭიჭი მიღებულია ქართულ–მეგრულ ლექსემათა შეერთებით – **რქა+ჭიჭე.**

ოღონდ საქმე ამით როდი ამოიწურება.

არის კიდევ ერთი პარადიგმული მაგალითი, რომლითაც უთუმცაოდ დასტურდება: კაჭიჭი ნამდვილად მომდინარეობს კომპოზიტიდან **რქა + ჭიჭე.**

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ,,კაჭიჭი“ ერთობ რაფინირებული ლიტერატურული ფორმაა და ასე, ამგვარად გურიაში მას არ წარმოთქვამენ. ჩემს სოფელში, ძიმითში, ასევე დედულეთში, დვაბზუში, სიტყვას ასე (გურულ ყაიდაზე) ახმოვანებენ – **კაჭიჭა.**

მაშ, დავიხსომოთ ფორმა კაჭიჭა.

იმავე სოფელში ხშირად მსმენია ამგვარივე აგებულების სიტყვა **ღვაჭიჭა. დვაბზუ** – ძიმითის მეზობელ დასახლებებში მსმენია ცნების სხვაგვარი ფონეტიკური ჟღერადობაც – **ყვაჭიჭა.**

ორივე ნიშნავს პატარა ბაყაყს.

ეჭვი არაა, აქაც გამოიყოფა ორი მდგენელი: **ყვა** და **ჭიჭა.**

ჭიჭა რაც არის, უკვე კარგად ვიცით: მეგრული ჭიჭე იგივეა, რაც პატარა, მცირე, კნინი (სხვათა შორის, ამ ჭიჭე ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული სიტყვები: **წიწი, წიწია, მოწიწება,** სახელი **წიწოლა,** ,,ვეფხისტყაოსნის“ **მოვაწიწე** ...).

**ყვა,** გინდა **ღვა** — ნაშთია სიტყვისა **მყვარი.** ,,მყვარი“ სულხან-საბას არაერთხელ უხსენებია და აუხსნია კიდევაც. შევიხსენოთ მისი იგავი **,,იხვი და მყვარი“,** ხოლო ,,სიტყვის კონაში“ იგი ასეა განმარტებული: **,,მყუარი (მყვარი) – ბაყაყი“** *(სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1991, 537).*

კომპოზიტ **ღვაჭიჭას** პირველი მდგენლის ფონეტიკური მეტამორფოზა ცხადზე უცხადესია:

**მყვარ + ჭიჭე → ყვარ + ჭიჭე → ყვა + ჭიჭა → ღვა + ჭიჭა.**

ამრიგად, ღვაჭიჭა და კაჭიჭა სრულიად იდენტურად ჩამოყალიბებული წმინდა ქართული სამეტყველო ერთეულებია. ამ ცნებებს ძალზე კარგად იცნობს **დვაბზუ-ძიმითაკეთ-მამათ- სილაურის** მოსახლეობა.

მურმან თავდიშვილი
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

# ბორჯომი-ბაკურიანი

## ამიერკავკასიის რკინიგზის ბაკურიანის ხაზის მოკლე გზამკვლევი

ვიწყებ რა ამიერკავკასიის რკინიგზის ბაკურიანის ხაზის გზამკვლევზე თხრობას, თვალწინ კიდევ ერთხელ მეხატება კავკასიის ამ მშვენიერი კუთხის უამრავი სილამაზე. უნებლიედ მიჩნდება კითხვა: შეიძლება თუ არა აღიწეროს ამ კუთხის ყველა მშვენიერება, ეს აუარება მშვენიერება, რომლითაც იგი ბუნებამ დაასაჩუქრა, მნახველის თვალწინ რომ იხსნება უსასრულოდ მრავალფეროვანი ჯადოსნური სურათების კალეიდოსკოპით ერთიმეორეზე უკეთესი, ეს მაცოცხლებელი მთის ჰაერი და მზის სხივების ნაზი სითბო, რომელიც გესალბუნება. ეს ყველაფერი აღწერას და, არა მოცემულ შემთხვევაში, კალამსაც არ ექვემდებარება.

გზამკვლევის მიზანია დასახელებული ხაზით მგზავრობის დროს მოგვცეს საჭირო მონაცემები და, ამასთანავე, მკითხველს გააცნოს მისი მიდამოები და ღირსშესანიშნაობები.

აქ უამრავი, მშვენიერი სასეირნო ადგილებია, რომელიც ჯანმრთელობისთვის არის სასარგებლო. ეს ამიერკავკასიის რკინიგზის საუკეთესო ნაწილია და სირცხვილია განსაკუთრებით მათი, ვინც ზაფხულობით ცხოვრობს საქართველოში და არ სარგებლობს ამ მოგზაურობით.

რკინიგზის ხაზი, თავისთავად, არა თუ აფუჭებს საერთო შთაბეჭდილებას, არამედ, პირიქით, სრულ ჰარმონიაშია მის გარშემო მდებარე ბუნებასთან თავისი საოცარი გზით, რომელიც მთის კალთებზე მიიკლაკნება ბუნების ამ საოცარ პანორამაში.

საკმარისია ითქვას, რომ არ ყოფილიყო ეს ხაზი, არ იქნებოდა მარტივი იმის თქმა, რომ ამ ადგილზე რკინიგზას შეეძლო გავლა, რომ აქ, ამ ადგილზე, მთებში, შეიძლება გაისმას ორთქმავლის სტვენა და, გაოცებულები ნანახით, თქვენ სათანადო პატივს მიაგებთ ამ მშენებლობის ხელოვნებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის ბაკურიანის ვიწროლიანდაგიანი ხაზი იწყება სადგურ ბორჯომიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით სადგურ ბაკურიანამდე. მისი სიგრძე ბორჯომიდან 25 ვერსია (34,75), რომელიც ადის 2863 ფუტის სიმაღლეზე ბორჯომიდან და 5425 ფუტის სიმაღლეზე შავი ზღვის დონიდან.

ამ ხაზის მშენებლობაზე ბევრი შრომა დაიხარჯა. იგი გაიხსნა 1902 წლის იანვარში.

პირველდაწყებითი საინჟინრო მოკვლევა მშენებლობისთვის 1896 წლის ადრეულ გაზაფხულზე დაიწყო. თავიდან შემოთავაზებული იყო ფართოლიანდაგიანი გზის გაყვანა ბორჯომიდან სოფელ წაღვერამდე (მეორე სადგური ბორჯომიდან) გუჯარეთის ხეობის გავლით. ასეთი სახელწოდება მდინარე გუჯარულას სახელს უკავშირდება, რომელიც სადგურ ბორჯომიდან ჩაედინება მდინარე მტკვარში და არასწორად იწოდება „შავ წყლად“.

იმავე წლის აგვისტოში ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და ხელახლა დაიწყო გამოკვლევები. ამჯერად ვიწროლიანდაგიანი, 90 სანტიმეტრი სიგანის გზისთვის ბორჯომიდან ბაკურიანამდე, მდინარეების – გუჯარულას, ბორჯომულას და ბაკურიანულას ფერდობებზე გავლით. ეს ადგილები თითქმის გაუვალი იყო. მშენებლობის პროცესში უზარმაზარი წინააღმდეგობების გადალახვა გახდა საჭირო. სამუშაოები დაკავშირებული იყო დიდ საშიშროებებთან, მიუდგომელ კლდეებთან, უღრან ტყესთან და სხვა წინააღმდეგობებთან, რის გამოც მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

პირველი მოკვლევა 1897 წლის აპრილის ბოლოს დასრულდა, მაგრამ ხაზის მიმართულების პროექტი არ დამტკიცებულა. ამიტომ მიმართულების საბოლოო არჩევისთვის ხელმეორედ მოხდა ამ ადგილმდებარეობის ძირფესვიანი გადაღება და შედგენილი იქნა მეორე პროექტი. პირველი პროექტი ითვალისწინებდა ხაზის გაყვანს ბორჯომიდან დაბის და ცემის გავლით, წაღვერის გვერდის ავლით, ხაზით 4 ვერსი, დაბიდან წაღვერამდე,



შემდეგი გამოკვლევები დაიწყო 1898 წლის აპრილში და დამთავრდა იმავე წლის სექტემბერში, რის შემდეგაც დაიწყო დღეს არსებული ხაზის მშენებლობა.

1901 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა მატარებლის მოძრაობა წაღვერის სადგურამდე, ხოლო 1902 წლის 2 იანვარს, დანარჩენ მონაკვეთზე, ბაკურიანამდე. მშენებლობა ჭიანურდებოდა იმის გამოც, რომ ოქტომბრის ბოლოდან აპრილის დასაწყისამდე





სამუშაოები წყდებოდა დიდთოვლობისა და წვიმების გამო (ბაკურიანის ხაზის მშენებლობაზე დაიხარჯა 2 მილიონი მანეთი).

რკინიგზის ხაზის გაყვანამდე, ბორჯომის ეს შემოგარენი, ინფორმაციის უქონლობის გამო, საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი. ბაკურიანის ხაზის გაყვანის შემდეგ კი ამ მხარეს, რომელიც მდიდარია მინერალური წყლებით, უდიდესი პერსპექტივა გაუჩნდა.

თავდაპირველად რამდენიმე სიტყვა ბორჯომზე და ბორჯომის მამულზე, რომელზეც გადის ბაკურიანის ხაზი. ბორჯომი არის კავკასიის მარგალიტი. ამ სათაურით გამოიცა გ. ჯანშიევის ბორჯომისა და მისი შემოგარენის მშვენიერი აღწერა. მას დამსახურებულად ეკუთვნის ეს წოდება – „კავკასიის მარგალიტი,“ თავისი ადგილმდებარეობის გამო. ამ კურორტს საფუძველი ჩაეყარა 1838 წელს და მას შემდეგ უამრავი ადამიანი სტუმრობს მას.

ბორჯომი ტიფლისის გუბერნიის, გორის მაზრის დაბაა. ჩრდილოეთის განედის 41გრად. 511 და სამხრეთის განედის 43 გრ. 24 1 (გრინვიჩ.) ზღვის დონიდან 2576 ფუტის სიმაღლეზე. განლაგებულია 37 ვერსის სიგრძის ხეობაში, აჭარა-იმერეთისა და თრიალეთის ქედებს შორის (ქართლში გასასვლელით) მდინარე მტკვარი ბორჯომულასა და გუჯარულას შეერთებით, თითქმის ამ ხეობის შუაშია.

მთელი ეს ადგილი, ბორჯომიდან ბაკურიანამდე, წარმოადგენს დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულის ბორჯომის ფართო ნაკრძალის ნაწილს, რომელსაც 71 000 დესეტინა უჭირავს, საიდანაც 50 008 დესეტინა ტყეა, უპირატესად წიწვოვანი.

ეს მამული მანამდე ქართველი თავადების – ავალიშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც შემდეგ ხაზინის ხელში გადავიდა და 1871 წელს იგი საჩუქრად მიიღო მისმა უდიდებულესობამ, დიდმა თავადმა, რომელიც მაშინ კავკასიის მთავარმართებელი იყო.

სადგური ბორჯომი (სადგური ორი საჟენით ქვემოთაა დაბიდან) განლაგებულია იმ ადგილას, სადაც მტკვარს უერთდება მთის მდინარე – გუჯარეთის წყალი, ანუ გუჯარულა, სოფელ გუჯარეთის სახელიდან, საიდანაც იღებს სათავეს მდინარე და მას არასწორად უწოდებენ შავ წყალს, როგორი სახელწოდებაც მიეკუთვნება მდინარე ბორჯომულას და ეს სახელწოდება დამკვიდრდა. გუჯარულასა და და ბორჯომის მთელი ეს ნაწილი შავი წყლის სახელწოდებას ატარებს.



აქ სადგურის გარდა არის ბორჯომის მამულის მინისა და ხე-ტყის სახერხი ქარხნები.

თითქმის მოპირდაპირედ, მტკვრის მეორე მხარეს, საფოსტო სადგურია. ამ ადგილზე ადრე იყო ნაგებობა, რომელიც იცავდა ხეობის შემოსასვლელს.

ვინაიდან სადგური მინერალური წყლების პარკიდან მოშორებითაა, შეტყობინებების მოხერხებულობისთვის, აღნიშნულ პარკთან ახლოს და ბორჯომის ცენტრთან, გვერდზე 2 ვერსზე (1,76) სადგურიდან, მოეწყო სადგური „ბორჯომ-პარკი“, რომელიც უერთდებოდა სადგურ „ბორჯომს“ ვიწროლიანდაგიანი გზით. ამ სადგურებს შორის გაცხოველებული შეტყობინენები მიმდინარეობდა, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა მატარებლები ბაკურიანში მიემართებიან „ბორჯომ-პარკის“ სადგურიდან. პირველი გაჩერება სადგური „ბორჯომია“. გზის ეს 2 ვერსი მტკვრის მარჯვენა მხარეს მიემართება, შემდეგ კი მატარებელი, რომელსაც წინ უძღვის პატარა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ორთქლმავალი, შედის გუჯარულას ვიწრო ხეობაში და მიემართება დაკლაკნილ აღმართზე სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ორთქლმავლები პორტერისა და ბალდვინის სისტემისაა. პირველი გამოწერილი იყო ინგლისიდან, მეორე კი ამერიკიდან, რომლებიც სპეციალურად მთიან გზებზე გამოიყენება. ორთქლმავლის ძლიერი ხმა მედიდურად გაისმის მთებში და იძლევა ექოს შორ მანძილზე. ამ ორთქლმავლების სიმძლავრის მიუხედავად, მატარებლის შემადგენლობა 5 ვაგონია – სატვირთო, დიდი აღმართებისა და დაღმართების გამო, მიქსი (შერეული) ½ კლასისთვის, 2 ვაგონი მესამე კლასისთვის და ღია მოძრაობის. საშუალო სიჩქარე საათში, გაჩერების გარეშე, 10 ვერსია. ღია ვაგონები სახურავიანია, გარშემორტყმულია მხოლოდ გისოსებით და მოხერხებულია გასეირნებისთვის. რაც პანორამის ტკბობის და მთის ჰაერის სუნთქვის სრულ შესაძლებლობას იძლევა. კარგ ამინდში, გასეირნების დროს, უჰაერო ვაგონში, როგორც გალიაში ჯდომა, მოსაწყენი იქნებოდა.

გ.ჯანშიევი როცა იწყებს ბორჯომის ხეობის აღწერას, აღნიშნავს, რომ მოგზაურობისას უპირატესობას ანიჭებს რკინიგზას, თუმცა კავკასიის ვაგონებში „ღია გალერეები“ არ არის. ეს საყვედური, როგორც ჩანს, ბაკურიანის ხაზს არ ეკუთვნის.

ღია ვაგონებში ადგილები შეუძლიათ დაიკაონ პირველი და მეორე კლასის მგზავრებმა. გასეირნება, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა თბილ ამინდში, ანუ ივნისში. უფრო ადრე ცივა.

1902 წლის დაკვირვებით ტემპერატურა (ცელსიუსით) ბორჯომში შემდეგი ტაბულით გამოიხატება:

იანვარი – 3; თებერვალი – 0,3; მარტი – 4,7; აპრილი – 10,1; მაისი – 14,2; ივნისი – 17,5; ივლისი – 20,9; აგვისტო – 20,5; სექტემბერი – 16,5; ოქტომბერი – 11,5; ნოემბერი – 4,6; დეკემბერი – 0,0.

და აი, მატარებელი დაიძრა. ბორჯომის სადგურიდან 50 საჟენის შემდეგ, იგი გადაივლის ხიდს გუჯარულას მარჯვენა მხარეს (ამ ადგილზე მდებარეობს სატვირთო სადგური), უხვევს მკვეთრად მარჯვნივ, პირდაპირი გზა მიხაილოვოსკენაა (ხაშურისკენ). 200 საჟენის გავლის შემდეგ ხიდით ისევ გუჯარულას მარცხენა მხარეს ბრუნდება და მის ხეობაში შედის.

გზის მარჯვენა მხარეს მხოლოდ დიდი ფერდობებია, რომლებიც დაფარულია ტყით, ფრიალო კლდით. მარცხნივ, ქვემოთ, ხმაურობს დაუღალავი გუჯარულა. მის შემდეგ, იგივე მიმართულებითაა ახალქალაქის შარაგზა, უკან და მარჯვნივ, ზემოთ, ვორონცოვის პარკია.

წინ იშლება ხედი შორეული მთებისკენ, გარშემო ყველაფერი მწვანეთაა შემოსილი, არაჩვეულებრივი ჰაერია. ახალქალაქის შარაგზა გრძელდება ბორჯომიდან ქალაქ ახალქალაქისაკენ, რომელიც ბაკურიანის გავლით, გაყვანილია 1875-1877 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ შარაგზით განუწყვეტლივ მიმდინარეობს ტყის მასალის გამოტანა. ბაკურიანიდან ბორჯომამდე 30 ვერსია, შემდეგ 50 ვერსი – ახალქალაქამდე. ვორონცოვის პარკი განლაგებულია ვორონცოვის პლატოზე, რომელიც ემსახურება წყლის გამყოფად გუჯარულასა და ბორჯომულას, ან შეიძლება ითქვას, არის მათი ხეობის საზღვარი. შემდეგ ეს პლატო იცვლის სახელწოდებას სადგერით, რომლის სიგანე არა უმეტეს 80 საჟენია, იქ მდებარე სოფელ სადგერის გამო.

ბორჯომის პლატოზე ასასვლელი

(ვორონცოვის პარკამდე, რომელიც ბორჯომზე 500 ფუტით მაღლაა) ბორჯომიდან სოფელ სადგერამდე, პლატოს გავლით, 5 ½ ვერსამდეა.

ეს პატარა სოფელია, 40 - მდე კომლით და ეკლესიით. აქ მღვდელი ცხოვრობს, რომელსაც ნაღვერის და ცემის მრევლიც ეკუთვნის. ეკლესია არ არის დიდი, ქვისაა. შემოსლებული აქვს 1 ½ საჟენი სიმაღლის ქვის კედელი.. დგას პლატოს დასავლეთით, ვიწრო გამონაშენზე, ჩამოშლილი კიდეებით. ამ გამონაშენზე შესასვლელი ეკლესიის მხრიდანაა, რომელსაც მაღალი კედელი და ჭიშკარი აქვს.

სოფლიდან 150 საჟენზე ისევ ქვის კედელია, რომელიც კვეთს პლატოს და, როგორც ჩანს, ძველ დროში, წინაღობას წარმოადგენდა, რომელიც იცავდა პლატოს შესასვლელს.

ამ კედლის შემდეგ გადის გასასვლელი ციხისჯვრის გზისკენ, რომელიც ბორჯომიდან მოდის სადგერის და ბაკურიანის გავლით. ციხისჯვარი და შემდეგ ცხრაწყაროს მთებით ახალქალაქის მაზრაა. სადგერში დაბიდანაც შეიძლება მისვლა, აქ კლდოვანი საფეხმავლო ბილიკი, რომელიც ციხისჯვრის გზაზე გამოდის, დაბიდან 2 ვერსამდეა (ეს ბილიკი რკინიგზის სადგურიდან მოდის, დაბის მონასტრის გავლით).

სადგერიდან 2 ½ ვერსში, აღმოსავლეთით, პლატოზე არის სადგერის ტბა (სოფელ ტბის მიდამო) თითქმის ოვალური ფორმის, 2 დესეტინის ფართობით. ეს ნახევრად ტბა და ნახევრად ჭაობი 1 ½ საჟენის სიღრმისაა და იქვე 20-30 საჟენში მდებარე პატარა სოფელ ტბაზე ავრცელებს ციებ-ცხელების დაავადებას.

ბორჯომიდან პირველი სადგურია დაბა, რომელიც მიდის გუჯარეთის შარაგზის გასწვრივ, მარცხენა ფერდობზე, 0,028 სიმაღლეზე. ბოლო გზა, ამ ორ სადგურს შორის, 75 საჟენის სიგრძის ფართობზეა. 9 ვერსის (8.67) გავლის შემდეგ ადის 658 ფუტზე და ჩერდება სადგურ დაბაში.

ეს სადგური განლაგებულია გუჯარულას ნაპირზე, პატარა, ღია მდინარეზე, ზ.დ.-დან 3220 ფუტზე. სადგურიდან აღმოსავლეთით, მდინარის იქით, 100 საჟენში, არის პატარა სოფელი დაბა. შარაგზით ბორჯომიდან დაბამდე 10 ვერსია.

მოსახლეობა ბორჯომსა და ბაკურიანში ძველ დროში მხოლოდ ქართველებისაგან შედგებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში ეს მხარე თურქეთის გამგებლობის ქვეშ მოექცა და მოსახლეობის ნაწილი, ძირითადად, ქართლში გადასახლდა, ნაწილი კი დარჩა და მაჰმადიანობა მიიღო. ამ მხარის რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1829 წელს, გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის აღების შემდეგ, მაჰმადიანები გადასახლდნენ ვორონცოვის მთავარმართებლობის დროს და ამ ადგილებში დასახლდნენ იმერლები, ოსები და, უპირატესად, პოლტავის გუბერნიიდან გადმოსახლებული მალოროსიები. დღეისათვის მალოროსიელების გამორჩევა ქართველებისაგან თითქმის შეუძლებელია, მათ თავიანთი ეროვნული სახე დაკარგეს, ენა დაივიწყეს და მათი ჩაცმულობაც სუფთა ქართულია. მოსახლეობის უპირატესი საქმიანობა ხე-ტყის ჭრა და გატანაა. ასევე თესავენ ხორბალს და სიმინდს, რომელსაც თვითონ იყენებენ.

დაბის სადგურიდან ნახევარ ვერსზე, ნაღვერის სადგურის მხარეს, რკინიგზის ხაზის მარჯვნივ, დაახლოებით ¾ ვერსზე, არის დანგრეული და მიტოვებული, რამდენიმე საუკუნის წინ აგებული, დაბის მონასტერი, საქართველოს უძველესი კულტურის ძეგლი. იგი ამაღლებულ კლდეზე დგას და ზაფხულში დაფარულია მწვანე საფარით, რის გამოც 15 ნაბიჯში ძლივს ჩანს. აგებულია სუფთად თლილი ქვებისაგან, ჭრელი მორთულობით, სახურავიც ქვის ფილებითაა გადახურული. მონასტრის სახურავზე საუკუნოვანი ფიჭვი იყო ამოსული და მხოლოდ 1895 წელს იქნა მოჭრილი. კლდიდან გამოდის კრისტალივით გამჭვირვალე ორი წყარო.

ცოტა მოშორებით, ნაღვერის მიმართულებით (დაბამდე ერთ ვერსში), მარჯვნივ, 30 საჟენში, არის მშვენიერი ჩანჩქერი, რომელიც 20 ფუტის სიმაღლიდან ეშვება და სათავეს იღებს პლატოს წყაროდან. მონასტრის მხრიდან ჩანჩქერთან რომ მივიდეთ, მაშინ უნდა დავბრუნდეთ ჯერ რკინიგზის სახლამდე, ეს ძალიან ლამაზი კუთხეა, სულ მწვანეში ჩაფლული.

დაბის სადგურიდან ნაღვერის სადგურამდე გუჯარეთის ხეობა უფრო განიერია, თუმცა არ აღემატება 100 საჟენს, გზა არ ადის გუჯარულამდე 1 ½ - 2 საჟენზე მეტად, მიდის ცოტა დაბალი სიმაღლით და 12 ვერსზეა, ჭრის მდინარე ბაკურიანულას, რომელიც ამ ადგილას გუჯარულას უერთდება.

მე-13 ვერსის ბოლოს, დაბიდან 4,066 ვერსზე, ზ.დ. 3,367 ფუტის სიმაღლეზე და დაბიდან 147 ვერსზე, სწორ, ღია ადგილზე, სადგური ნაღვერია, რომელიც თავისი რკინა-ტუტოვანი წყაროთია ცნობილი. ეს წყარო პატარა აუზის სახითაა, რომელიც მცირე ფართობზე მიწაშია ამოთხრილი, სადგურიდან სამხრეთით მდებარეობს, მისგან ¾ ვერსზე, ვიწრო ხეობაში, რომელიც იწყება ფანჩატურთან ახლოს, საიდანაც წყარომდე ხეობით მიდის ბილიკი. ეს ფანჩატური სადგურიდან ჩანს. ვინაიდან მატარებელს სადგურზე დგომა 5 წუთი აქვს, წყაროზე წყლის დალევის მოსწრება ძნელია, ამიტომ მგზავრებისთვის სადგურის ბაქანზე დაყენებულია ფილტრები, რომელიც მატარებლის ყოველი მოსვლისთანავე ივსება წყაროს ახალი წყლით. წყალი სუფთაა, ტემპერატურა ცელსიუსით 9 გრ. ამ წყლის ქიმიური ანალიზით ირკვევა, რომ იგი შეიცავს ბევრ რკინას და ნახშირმჟავას (ეს წყალი ყველაზე მეტად ჰგავს რიპოლსდაუსის ვენცელის წყაროს).

ერთ ლიტრ წყალში (1000 გრამში) შედის:

ნატრიუმის ნახშირმჟავა 0,7206;
რკინის „...................“ 0,0700;
მარგანეცის „..............“ კვალი;
კალცის „...................“ 1,1733;
მაგნიუმის „.................“ 0,7249;
გოგირდმჟავა კალცის „..........“ 0, 0479;
ბორის მჟავა მაგნის კვალი;
ნატრიუმის ქლორის „.........“ 0,4918;
ნატრიუმ იოდის „..........“ 0,0004;
ნატრიუმ ბრომის კვალი;
კაჟმიწის „..............“ 0,0532;
ორგანული ნივთიერებების „.......“ 0,0008.
სულ მყარი ნივთიერებები – 3.2829;
ნახშირმჟავა ნახევრად – 1,7210;
ნახშირმჟავა თავისუფალი – 0, 7215.

ეს წყალი გამოიყენება სისხლნაკლებობის და მის ფონზე ნერვიული აშლილობის, საყმაწვილოს და სხვა დაავადებების დროს. იგი დიდხანს არ ინახება.

სადგურიდან 5 ვერსში, სამხრეთით, სახურგესთან, არის მინერალური წყლის წყარო, რომელიც გემოთი სასიამოვნოა. საერთოდ, მთელი გზა ბორჯომიდან ბაკურიანამდე სავსეა მინერალური წყაროებით და მომავალში აქ აუცილებლად გაშენდება ბევრი სამკურნალო კურორტი.

დღეისათვის ნაღვერში არის ორი აგარაკი, აფთიაქი და 2-3 დახლი, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ პირველადი საჭიროების საგნები. თუმცა, ბორჯომი ძალიან ახლოსაა და რამე სერიოზული უხერხულობა ამით არ იქმნება.

ნაღვერიდან 3 ვერსზე, სამხრეთით, არის სოფელი ტიმოთესუბანი და მისი მონასტერი. მისკენ გზა მიემართება მდ. გუჯარულას ვიწრო ხეობით ბაზალტის კლდეებს შორის. მონასტერი ნანგრევებშია, კედლები აგურისაა, გუმბათი დაფარულია ცისფერი ემალით და მშვენიერადაა შემონახული ჯვრის ზედა ნაწილის გარდა, რომელიც ჩამოგდებულია.

შემდგენელი პ.ლინევიჩი,
ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრაობის რევიზორი,
12 ივნისი, 1903 წელი
თარგმნა თამარ მანველიშვილმა
(დასასრული იქნება)

პოეზია

# კობა მოდებაძე

## უფალო

იქ გიფენდნენ პალმის რტოებს...
აქ ბზის რტოებს გიფარდაგებთ,
გაგცეს, – მაინც მიუტევე,
გაცვეს, – მაინც იქადაგე...

დღემდე ისევ გღალატობენ,
თუმც იციან, რას სჩადიან,
ამბორს გძღვნიან საჩვენებლად,
იუდას წეს-ადათიანს.

იქ გიფენდნენ შესამოსელს...
აქაც შენსავ სახელს ვაქებთ,
გაგცეს, მაინც იწყალობე,
აღსდექ, ისევ იქადაგე...

***

რა ბედენაა,
თუკი მხოლოდ
გნატრობ და შეგთხოვ...
აღდგომას ველი უმარხულოდ,
შემინდე, ღმერთო!

## ჯერ ყველაფერი იწყება იით

ჯერ გაზაფხული იწყება იით,
მერე ასკდება აპრილს კვირტები,
და სიხარულის ცრემლები წვიმით
ბრწყინავენ, როგორც მარგალიტები.

ჯერ ყველაფერი იწყება იით,
ყოჩივარდით და უფრო ენძელით,
რა იქნებოდა, რომ ეს ღიმილი
და სიყვარული იყოს დღეგრძელი.

ჯერ გაზაფხული იწყება იით,
მერე გრძელდება ვარდით, ტიტებით,
ცა იგალობებს ჩიტების ლხინით,
ოცნებავ, როცა გააპრილდები.




## ქალთა თვეა

ქალთა თვეა,
მარტს ზამთარი შერჩენია,
არა მხოლოდ ამ სამ და რვამარტობით,
არ ვიკითხავ, რა ყვავილი გორჩევნიათ...
სიხარული გქონდეთ მილიარდობით!..

მეყვავილეს სხვა სიამე შესძენია,
ამდენ მყიდველს სიხარულად განიცდის,
ჩემთვის ამის გაკვირვება მხლებელია,
ყვავილს ჰყიდის და სახელი არ იცის.

ქალი მზეა,
რომელს ჩუქნი, სულ ერთია,
ენძელაა, მიმოზა თუ ნარცისი,
მიუძღვენი უცნობს, ნაცნობს, სიკეთეა,
რა შავდება თუ სახელი არ იცი?!

***

ვერ მქნა ბოროტად,
ვერ მომწუსხა მაინც სიხარბით,
ცხოვრებამ მრუდმა,
უწაღმართომ და უსამართლომ,
სააქაოდან საიქიოს
არ წავალ ვალით,
ჩემი სიკეთით სანამ ვსუნთქავ,
უნდა გაგათბოთ.

***

შენზე ახია, სიკვდილო,
სიცოცხლეს ძვრა ვერ უყავი,
გედსამანიის გაცემის
მოლოდინშია უფალი.
შენზე ახია, ღალატო,
იუდას აღარ უხარის,
აღდგომას ველი სანაცვლოდ
ამ ჯვარცმის ჭირისუფალი.

***

გზაგაუვალთან განა მარტო ვარ?
ცივი ლოდების ტვირთი აწეე,
ის მენატრება, როცა ახლოა
კაცთა მოდგმაში სულის სიმწიფე.

## ივერიის პრინცს

თ.ნ-ს

წავიდა და
გულს დაგვედო ნაღვერდალი,
სევდისაგან წითლდება და
ღვივის,
გაფრინდა და
თუ სადმეა ნარ-ეკალი,
გვესობა და
ემატება ტკივილს.

ამ კაცს ახლო-შორებელში
რას გაარჩევ,
როცა ყველას შინაურად თვლიდა,
გააჩერეს დედამიწა
და შენც ჩახველ,
რაც იმზადე
ხომ ათასწლად ღირდა!..

***

ციდან უფლის ლოცვა
მოდის,
მზის სხივებად,
როცა მოყვასისთვის
მადლი იმზირება.
ამ დროს დედამიწას
ფეხსაც არ ვაკარებ,
ისე მსუბუქია
სული მონარნარე.

***

ღმერთო, ულხინე
ყველა სნეულს,
მცივანს და მშიერს,
მათზე მონაღვლეთ
შესაწევნად მრავალი მიეც...
ღმერთო, დალოცე
ყველა შვილი,
კურთხეულ მიწის,
ამ სამშოზე
ვინც მოყვასის დანდობა იცის.

***

რამდენი ვეძებე,
მაინც მივაგენი
უთვალავ ნაღველში
იმედის სარკმელი...
თოვლის სამოსელი
მინდოდა, ვნატრობდი,
მერე კი, მერე კი,
ნანატრსაც ვნანობდი.
ოცნებას საზღვარი
ოდეს ვინ გაუბა?
ცასავით უფსკეროს,
წრფელსა და სანუკვარს,
ახდენა, ახდენა,
ესაა მთავარი,
ბავშვური ხალისი
ზეცად აღმავალი...
დგას თოვლის ბარდანი
გულთბილი იერით,
რას განებებს ზამთარი
თუ ხარ ბედნიერი?!

## სასკოლო ცხოვრება

სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლა 2020 - 2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან ჩართულია ახალი სკოლის მოდელში, რომლის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ორი პროექტი – „მართე შენი ფინანსები“ და „ისწავლე უსაფრთხო გარემოში“.

# ახალგაზრდობის ინფორმირების მიზნით



პროექტის – „მართე შენი ფინანსები“ მიზანი იყო, მოსწავლეები გაცნობოდნენ ფინანსური კულტურის საფუძვლებს, პირადი ფინანსების დაგეგმვისა და ფინანსური უსაფრთხოების ძირითად წესებს, რომელიც ითვალისწინებს მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებმა შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება და გადაწყვეტილების მიღება, მოზარდებს გამოუმუშავდეთ საკუთარი ფინანსების ეფექტურად მართვის უნარები.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე აქტივობა: სასკოლო საზოგადოებისთვის პროექტის მიზნისა და შინაარსის გაცნობის შემდეგ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა აღნიშნული სკოლის მოსწავლეებთან გაიმართეს შეხვედრა თემაზე – „რა არის ფული?“ ხოლო შემდეგ შეხვდნენ „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც ისაუბრეს თემაზე – „როგორ გავარჩიოთ ნამდვილი ბანკნოტი ყალბისაგან“.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა კომპლექსური დავალება, კითხვარის შედგენის სწავლება „ფორმსის“ დოკუმენტში. უფროსებისგან ფინანსების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. გამოცხადდა კონკურსი „ქაღალდის ფულის ბანკნოტის მოხატულობაზე“.

სკოლის ადმინისტრაციამ გააცნო მოსწავლეებს ბიუჯეტის შაბლონი, რის შემდეგაც თავად მოსწავლეებმა შეადგინეს ბიუჯეტი, გაწერეს ბიუჯეტი სამი სხვადასხვა შემთხვევისთვის.

რაც შეეხება პროექტს „ისწავლე უსაფრთხო გარემოში“, აღნიშნული პროექტის მიზანი იყო მოსწავლეები და მასწავლებლები გაცნობოდნენ სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისულ სიტუაციებში ქცევის წესებს. სკოლაში უსაფრთხო გარემოს განმტკიცებით, ხელი შეეწყოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევასა და – უსაფრთხო გარემოზე ზრუნვა იქცეს სასკოლო კულტურის შემადგენელ ნაწილად.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა: მინი-ლექცია „სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვისა და კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების სტრატეგიების შესახებ“; კომიქსების შექმნა – „როგორ ავირიდოთ საფრთხეები“, პლაკატების კონკურსი, კომპლექსური დავალება – „ცხოვრება პანდემიისას“;

2021 წლის 17 და 18 მაისს სსიპ ქალაქ ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ექვსი მოსწავლე დაესწრო ევროპის დღეების ფარგლებში გამართულ სემინარს, რომელიც სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. აღნიშნული სემინარის მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების შესახებ, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაცნობა საზოგადოებისთვის და მასში მოსახლეობის ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობა.

სემინარის მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ დამადასტურებელი სერტიფიკატები.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტის – „ოლიმპიზმი სკოლებში“ – ფარგლებში გამართულ სპორტულ ვიქტორინაში. მოსწავლეებს გადაეცათ მონაწილეობის და გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ლელა ხითარიშვილი,
ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის დირექტორი

# ღომის რჩეული
(იგავი)

ერთ მიყრუებულ სოფელში ორი მეგობარი – ვირი და გიჟი კაცი ცხოვრობდა. სოფლელებს ძალიან უყვარდათ ისინი. რატომ? – ეს უბრალო ამბავი იყო.

ვირი ყველას ესაქმებოდა, – ვის შეშას მიუტანდა, ვის – წისქვილიდან საფქვავს. თავისუფალ დროს, სოფლის მოედანზე, ბავშვებს ასეირნებდა. მოკლედ, ვირი თავისი სოციალური მდგომარეობით ყველას ევირებოდა, გიჟი კი, ერთი ხუმარა და ტაკიმასხარა გახლდათ. თავისი გიჟური საქციელით და ენამოსწრებულობით, ყველას ამხიარულებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბერიკას სამოსელში ვირზე ამხედრებული სიმღერითა და დოლის ბრახუნით მთელ სოფელს ჩამოუვლიდა. აი მაშინ იყო ნამდვილი სანახაობა – ცირკის ვერცერთი ტაკიმასხარა ვერ შეედრებოდა, – იყო ერთი სიცილ-ხარხარი, გნიასი, ტაშისკვრა. პატარების სიხარულს კი ბოლო არ უჩანდა.

მოკლედ, ამ გამოყრუებულ სოფელში ვირსაც და გიჟსაც დიდი სიხალისე შეჰქონდათ. უფრო მეტიც, უსაათოდ დარჩენილთ დროს ვირი განსაზღვრავდა, – დღეში სამჯერ ყროყინობდა: დილით – საუზმისას, შუადღისას – სადილობისას და საღამოთი – ვახშმობისას. მისი ზარივით გამყინავი ხმა თავისუფლად სწვდებოდა მთელ სოფელს.

ერთ დღესაც ვირი და გიჟი, სოფლის სიახლოვეს, ტყის პირას, ნაცრად ქცეულ მინდორზე, სეირნობდნენ.

სწორედ ამ დროს სანადიროდ გამოსულიყო ნადირთა მეფე – ბებერი ლომი.

არც ვირს და არც გიჟს აქამდე არ ენახათ ლომი, ასევე ლომსაც არ ენახა არც ვირი და არც ადამიანი. ერთ ხანს გაფაციცებით უყურეს ერთმანეთს და, ბოლოს, ვირსაც და გიჟსაც, თავზარი დასცა ლომის გამოხედვამ, – ვირს შიშით ბალანი აეშალა, კუდი მაღლა ასწია და ისეთი ყროყინი მორთო, რომ მისი ხმა ჭექა-ქუხილს უფრო გავდა, ვიდრე განწირული ვირისას, ცუდად ენიშნა სოფლელებს ტყის მხრიდან რიგგარეშედ ვირის ყროყინი. ვირის ხმას დაეფრთხო ხეზე მჯდომი ყვავ-ყორანნი, დიდნი და მცირე ზომის ფრთოსანნი და შიშით გასცლოდნენ ნაცრიან ველს. ვირის ყროყინს არც გიჟი ჩამორჩა. ვირზე ამხედრებულმა, როგორც ჯამბაზმა, ომახიანი, გამყინავი ხმით ვირს დეზი ჰკრა და ასიოდე მეტრით მოცილდნენ გამძვინვარებულ ლომს. ვირმა გარბენილ ადგილას ისეთი ბუღი დააყენა, როგორც ნაცარქექიამ ერთ ქართულ ზღაპარში.

ამ მტვერსა და უბედურებაში ლომი ვერ ხედავდა ვერც ვირსა და ვერც გიჟსა.

გაკვირდა ლომი. მას აქამდე არ ენახა მხეცთა და კაცთა შორის ასეთი ხმისა და შემართების პატრონნი. ქარიშხალს გავდა მის ფეხთაგან ავარდნილი მტვრის კორიანტელი, ხოლო ხმა, მას ნუღარ იკითხავთ!

თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა ლომს. ვირშიც და გიჟშიც შეიცნო ის დიდი ძალა, რომელთაც მემკვიდრეთა შორის ვერ ხედავთა.

ბრძანა ლომმა, მიეგვარათ მისთვის ვირიც და გიჟიც.

შიშისაგან დაზაფრული ვირი და გიჟი მუხლებზე დაეცნენ, მაგრამ დახეთ საოცრებას, – კეთილად უღიმოდა ლომი განწირულთ. მათაც გული მიეცათ. შიშდაკარგულებმა თამამად ამოიდგეს ენა. გიჟისა და ვირის სიტყვა-პასუხმაც ფრიად მოხიბლა ნადირთა მეფე და ბრძანა: ეს ორფეხა ცხოველი დღეიდან ჩემი პირადი მრჩეველი იქნება, ხოლო ოთხფეხა – მთავარი ვეზირი. შურით აღივსნენ ლომის მხლებელნი. ვირის დანახვაზე კი ნერწვს ყლაპავდნენ დამშეული მგლები, მაგრამ ნადირთა მეფის შიშით ვინ გაბედავდა სიტყვის შებრუნებას.

გავიდა ხანი. ლომის საბრძანებელში ყველაფერი თავდაყირა დადგა. სავირეთად და საგიჟეთად იქცა მთელი სამხეცეთი.

ერთ დღეს ვირსაც და გიჟსაც გაახსენდათ მშობლიური სოფელი.

და, აი, ვირდავიწყებული და გიჟდავიწყებული სოფელი უცებ დიდი სანახაობის მომსწრე გახდა:

სოფლის შუაგულში, მთავარ ქუჩაზე, მტაცებელ ცხოველთა პროცესია გამოჩნდა. დაიზაფრა სოფელი. შიშისაგან თავზარდაცემულნი კეტავდნენ სახლის კარებს, დარაბებს. შეშინებული ყეფდნენ ძაღლები. ბოლოს ყველაზე გაბედულნი თოფითა და ხმალ-ხანჯლებით გამოვიდნენ დაუპატიჟებელი სტუმრების დასახვედრად და, ჰოი საოცრებავ, სასწაული იხილეს:

მოოქროვილი ტახტრევანით, ვითარცა ფარაონი, ისე მოყავდათ მგლებს უკვე დიდი ხნის უკან უგზოუკვლოდ დაკარგული ვირი და გიჟი თანასოფლელი. ვირად და გიჟად დაბადებულნი, ახლა უკვე განდიდებულნი კი, კეთილი თვალით უყურებდნენ თანასოფლელთ.

– ჩვენი ვირუკა და გიჟუკა ყოფილან, ხალხნო! – აღმოხდა დამშვიდებული ხმა ვიღაცას და ხალხს მოუწოდა, გამოსულიყვნენ ორღობეებიდან და ჩირგვებიდან.

სოფელი ტახტრევანს მიაწყდა...

ბოლოს, ერთმა სოფლელთაგანმა, როგორც იქნა, შეუტია და ტახტრევანში მჯდომთ მოუწოდა:

– ჩამოდით ტახტრევნიდან, უთქვენოდ ძალიან მოვიწყინეთ, იქნებ ახალი რამ გვიჩვენოთ ან გაგვაცინოთ!

– ამაზე სასაცილო ამბავი რაღა უნდა გიჩვენოთ, ან რა უნდა გითხრათ. ვერ ხედავთ, რა დღეში ვართ?! – ჩამოსძახა გიჟმა ტახტრევნიდან.

მინაწერი: სასაცილოა ის ქვეყანა, რომელსაც მსგავსი ვირნი და გიჟნი განაგებენ!

რობერტ ბერიძე

## ფოლკლორი

### ძილის ლოცვა
ვარიანტი I

დავწვები, დამეძინება,
პირს ჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავქვეშ დამესვენება,
ერდოს ფარი, კარსა ჯვარი,
ღმერთო, შენ დამწერე
შენი წმიდა ჯვარი...
ჯვარი მწყალობდეს ჯვარცმული,
მე რას მიზამს მაცდური,
ჯვარი პატიოსანი,
ოქროს გვირგვინოსანი.

მთქმელი ქეთო აფრიამაშვილი. ადიგენის რაიონის სოფ. უდე, ჩაიწერა ირმა მერაბიშვილმა

### ძილის ლოცვა
ვარიანტი II

დავწვები დემეძინება,
პირს ჯვარი დემეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავქვეშ დამესვენება,
ერდოს ფარი, კარსა ჯვარი,
ღმერთო, შენ დამწერე
შენი წმიდა ჯვარი...
ჯვარი მწყალობდეს ჯვარცმული,
მე რას მიზამს მაცდური,
ქრისტეს ხელით დაბეჭდილი,
ძილი პირველი სიკვდილია,
სახლი, სიბნელე, ჯოჯოხეთია,
მათე, მარკოზ ლუკა, იოანე –
ოთხსა სახარებისასა,
საცა თქვენ იხსენიებოდეთ
გააქრეთ და გააფუჭეთ ის წყეული ეშმაკები.
ამინ!!!

### აღდგომის ლოცვა

ნუ სტირი, დედავ, მარიამ,
ძე შენი ამაღლებულა,
ჩვენც ვნახეთ მისი საფლავი,
ედემს სანთელი ნთებია,
სუდარა დაკეცილიყო,
შიგ იესო ქრისტე ყოფილა,
ასი ურემი ქვა-ქვიშა
უხელოდ გადაღებულა.
ტაფაში შემწვარი კალმახი
ზღვაშიგან შეცურებულა,
კეცში ნაცხობი ქადები
ერდომდე აჯეჯლებულა,
შვიდი წლის დაკლული მამალი
ქანდარას აყივლებულა,
ეს ურჯულო ურიები
ჯერამც არ მორჯულებულა.
ყოვლად წმიდის ბაღშია,
თეთრი თუთა ასხია,
იქ მარიამ გასულიყო,
ნათელი ადგია,
ვინც რომ დღეში სამჯერ იტყვის,
დავამკვიდრამ: – მამასთანა, ძესთანა,
სულიწმიდა ღმერთთანა.
ამინ!!!

მთქმელი შუშანა თათოშვილი-სტანჩიკოვა,103 წლის, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფ. უდე. ჩაიწერა ირმა მერაბიშვილმა 2021 წელს

### ძილის ლოცვა
ვარიანტი III

დავწვები, დამეძინება,
პირს ჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავქვეშ დამესვენება,
ერდოს ფარი, კარსა ჯვარი,
იესო, შენ დამწერე
შენი წმიდა ჯვარი...
ჯვარი მწყალობდეს ჯვარცმული,
მე რას მიზამს მაცდური,
მე ქრისტესი, ქრისტეს ხელით
დაბეჭდილი, ძილი პირველი, სიკვდილი,
თეთრ პერანგა, სუდარა,
სახლი, სიბნელე, ჯოჯოხეთი,
მათე, ლუკა, იოანე – სამსა სახარებასა...
გააქრე და გააფუჭე ის წყეული ეშმაკები.
ამინ!

მთქმელი ქრისტინე გიქოშვილი, გაგონილი აქვს ბებიამისისგან – თეკლე აფრიამაშვილისაგან. ჩაიწერა ირმა მერაბიშვილმა 2001 წელს

### ღმერთო, შენ წყალობა მიყავ
### ლოცვა

ღმერთო, შენ წყალობა მიყავ,
დამფარე და შემინახე,
ანაზდეულად ნუ მომკლავ,
ქრისტიანად შემინახე.
შენ, შენი ღონის პატრონი
ყოველ ჟამს მომაგონდები,
ყოვლად წმინდავ, გეხვეწები,
ანგელოზი გვილაღადებს
და მეორე მოსვლისათვის
პეტრე გვიღებდეს ჩვენ კარსა.
ჩავივლი სუფრისნის კარსა
ვიკითხამსა ხარებასა
ვინც, რომ დღეში სამჯერ იტყვის –
ის ნახავს სასუფეველსა,
დავამკვიდრებ მამასთანა, ძესთანა,
სულიწმიდა ღმერთთანა,
სულით ვაცხონებ,
ხორცით გავახარებ.
ამინ!!!

მთქმელი თეკლე აფრიამაშვილი, ადიგენის რაიონის სოფ. უდე. ეს ლოცვა მას უსწავლია დედამთილისაგან. ჩაუწერია მის შვილიშვილს – 56 წლის ქრისტინე გიქოშვილს, რომლისგანაც ჩაიწერა ირმა მერაბიშვილმა 2000 წელს

## მესხური გამონათქვამები

***

– გიჟის ფულები ჭკვიანის ჯიბეში მიდისო;
– კატა ვინც მოიკიდა ზურგზე, პასუხიც იმან უნდა აგოსო;
– მე გეუბნები, აგერ დათვი, შენ მეუბნები აგერ კვალიო;

მთქმელი გრიგოლ (გრიშა) ზაზაძე, 87 წლის, ახალქალაქის მუნიც. სოფ. გოკიო

***

– არაი, ქვაზე მაგარიაო;
– ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო;
– დედამ, მუცლიდან ჭირი იშოვაო;
– ქმარს შეხედე, დიდი ლუკმა ჩაიდე, ძმას შეხედე – პატარაო;
– მეფიენცა არაფერი, დედოფლიენცა – ბრაგა-ბრუგიო;
– ეგეც ისე იბლინძება, გეგონება, ყოველდღე ზვილბიათებს ჭამდესო;
– ოჯალში კაცი იყოს და გინდა მარტო თავი გორანდესო;
– ოჯალშიკაცის ქუდი არ გამოგილიოთო;
– სარეცხის გამრეცხავმა, ერთი არშინი თოკი გადაყლაპაო;
– ოჯახის ქალს, ცალი ხელი უკან უნდა ჰქონდესო.

*(აქედან ერთი ამბავი: პატარძალი მოიყვანეს.დედამთილმა, რძალი დაარიგა: ოჯახში შემოხვედი, უკვე დიასახლისი ხარ და იცოდე, ცალი ხელი უკან უნდა გქონდესო. პატარძალმაც, რამდენიმე დღე უკან ხელებდაწყობილმა იარა.*

*დედამთილმა ჰკითხა: ეგრე რათა შვრებიო? – შენ არ მასწავლეო?!*

*–მერე, ეგრე კი არ გასწავლე,...ხელებდაწყობილმა იაროო?*

*იეგრე იმიტონ გითხარი, რომ ოჯახში ეკონიამია იცოდეო.*

მთქმელი ქენია ზაზაძე-ასპანიძე, 85 წლის, ახალციხის მუნიც. დაბა ვალე

***

შვილმკვდარი დედა, მზი ჩასვლის მერე, პურს არ შეშჭამს, თუ შეშჭამს, ვახშამს რომ ჩამოურიგებენ საიქიოში, ეტყვიან: შენი წილი დედაშენმა შეჭამაო.

მთქმელი სოფიო (სონა) ზედგინიძე. 85 წლის, ახალციხის მუნიც. დაბა ვალე

***

– ძაღლიც გავა გაზაფხულზე, ნახო ერთი ტყავს ჰკითხეო;
– შვილმკვდარ დედას მარიამობამდე ვაშლი არ ეჭმევაო.

მთქმელი შუშანა ზაზაძე, 81 წლის, ქალაქი ახალციხე

***

– ჭიქა ვის ხელშიც არის, სუფრის თამადაც ის არისო;
– ნათლი-ჯალაბის ერდოზე, ფეხს არ დაადგამენო.

მთქმელი ნოდარ ნათენაძე. 83 წლის, ქალაქი ახალციხე

***

– შადმანათ ქალები, შვიდი ერთად არ ღირდაო.

მთქმელი ნადია (თამარ) სუდაძე-ასპანიძე, ქალაქი ახალციხე. ჩაიწერა ციური ასპანიძე-მესხიშვილმა 2021 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com